ადამიანები

ალექსანდრე
ლეჟავა

ეძღვნება თემუკასა და ნიკოლოზის დედას,
ლიკა სხირტლაძეს

1997 წელი

ალექსანდრე ლეჟავა

ტეშიროგი

რედაქტორი
კახა გაბუნია

ISBN

გამომცემლობა მერიდიანი

თბილისი
2020

წინასიტყვაობა ავტორისგან

იაპონიაში, იბარაკის პრეფექტურის ქალაქ ცუკუბაში, 10 წელიწადზე მეტი გავატარე ჩემს ოჯახთან ერთად, სადაც მე და ჩემი ცოლი ლიკა, სამეცნიერო სამუშაოთი ვიყავით დაკავებულები. სამსახურის ყოველდრღიურ ფერხულში ჩაბმულებს ჩვენი ბიჭები, თემუკა და ნიკოლოზი, თვალსა და ხელს შუა წამოგვეზარდნენ. ცოლ-ქმარს, ცოტა არ იყოს, გულში ხინჯი გვქონდა იმის გამო, რომ შვილებს, რომლებსაც ჩვენ გარდა სხვა ახლო ნათესავები გვერდში არ ჰყავდათ, ფიზიკური მოუცლელობის გამო, საკმარის დროს ვერ ვუთმობდით... სამაგიეროდ, საქართველოდან ასე მოშორებულ ამ უცხო ქვეყანაში იაპონელებისაგან დიდი სიკეთე და სიყვარული მივიღეთ! და ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ იაპონია ჩვენთვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა.

ერთხელ, მორიგ მივლინებაში მიმავალს, ჩქარ მატარებელში, თემუკას და ნიკოლოზის სხვადასხვა მონათხრობები გამახსენდა და, გაღიმებულმა, ერთ-ერთი მონაყოლის ჩანახაზი გავაკეთე ჩემს უბის წიგნაკში. ამას შემდგომ რამდენიმე ისტორიაც დაემატა და საბოლოოდ ამ ყველაფერმა მოთხრობის სახე მიიღო, სადაც ჩემი ორივე ბიჭის სკოლისა და სპორტის ირგვლივ გადახდენილი თავგადასავლებია გაერთიანებული. მათი ცხოვრების ამ ლაღი წლების აღწერის და მშვენიერი სპორტის, ხელბურთის პოპულარიზაციის გარდა, ამ მოთხრობის დაწერის კიდევ ერთი მთავარი მიზანიც არსებობს: მე მინდოდა გადმომეცა, თუ როგორი განურჩეველი იყო ეს ორი ქართველი მათი იაპონელი თანატოლებისაგან და რომ, მიუხედავად უცხოური წარმომავლობისა, იაპონიის საზოგადოება მათ თავის სრულფასოვან ნაწილად აღიქვამდა.

ეს გულით დაწერილი მოთხრობა ცუკუბას მაცუშიროს სამეზობლოსთანაა დაკავშირებული, სადაც ალბათ ყველა გვიცნობდა და ყოველდღიურად იაპონელებისათვის დამახასიათებელი გამოუხატავი სითბო და უთქმელი თანადგომა ტრიალებდა ჩვენ ირგვლივ.

საღამო იზაკაიაში[1]

სამუშაო დღე რომ დამთავრდა, პარასკევ საღამოს, ახალგაზრდა თანამშრომლებთან ერთად იქვე, სამსახურთან ახლოს, საყვარელ იზაკაიაში შევიკრიბეთ. ნელ-ნელა სასმელმა და შინაურმა ატმოსფერომ იქ მყოფნი კარგ ხასიათზე დაგვაყენა და შენობაში თანდათან ბუნებრივმა ყოველდღიურობამ - ხმამაღალმა ლაპარაკმა, სიცილმა და ჟივილ-ხივილმა იმატა.

სამსახური ახალი დაწყებული მაქვს და ჯერჯერობით ძალიან მომწონს. დიდმა კომპანიამ ამიყვანა სამუშაოდ, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე მყარადა აქვს ფესვები გამდგარი და გასაკვირი არაა, რომ ახლაც, ამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საქმეები კარგად მისდის. მთავარი ოფისი გინზაზეა[2] და მეც იქ ვმუშაობ. როგორც მოსალოდნელი იყო, იაპონიაში გაზრდილი უცხოელი საერთაშორისო განყოფილებაში გამანაწილეს და საქმესაც უცბად მოვერგე. ეს, ალბათ, უფრო ჩემი ჯგუფის დამსახურებაა: თვალს მადევნებენ და როგორც კი რამე მჭირდება უმალ მეხმარებიან, ისე რომ თხოვნასაც კი ვერ ვასწრებ. ჩემს თანამშრომლებს რომ ვუყურებ, ყოველთვის მაოცებს მათი საქმისადმი დამოკიდებულება, ოპერატიულობა. არაა აქვს მნიშვნელობა თუ რა თანამდებობაზე არიან, მათი პასუხისმგებლობისა და სამსახურისადმი ერთგულების გრძნობა მართლაც რომ შესაშურია. თანამშრომელი ქალებიდან

---

[1] ***იზაკაია*** - იაპონური სტილის დუქანი.

[2] ***გინზა*** - ტოკიოს ერთ-ერთი მთავარი ქუჩა.

ერთერთი განსაკუთრებით მესიმპათიურება _ ნაიტო-სანი[3]: მას ყოველთვის ლამაზად და აკურატულად აცვია; რა თქმა უნდა, მისი სამუშაო მაგიდაც ძალიან მოწესრიგებულია. თან ნაიტო-სანი ძალიან კარგად მექცევა, ყურადღებიანია და ხშირად კარგ და გამოსადეგ რჩევებსაც მაძლევს ხოლმე. ასაკით ჩემზე უფროსი ჩანს და საკვირველია, რომ ეს, ასე რომ ვთქვათ, უნაკლო ქალი, გაუთხოვარია... მაგრამ რას გაუგებ ამ ცხოვრებას, რომელიც ყველას თავისებურად და სხვადასხვაგვარად წარემართა...

ჩვენი კარგი ურთიერთობა არ გამოეპარა ერთ უფროსი ასაკის თანამშრომელ ქალს, კოჯიმა-სანს (აბა კომპანია რისი კომპანიაა, თუ თანამშრომლებს ეს გამოეპარებათ! თან იაპონიაში!), რომელიც ასევე ძალიან კარგად მექცევა. ის ასაკით ყველაზე უფროსია ჯგუფში და თან შიგადაშიგ აკონტროლებს სიტუაციას. ერთხელ, ლანჩის დროს, თანამშრომლებთან საუბრისას, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩემს ოჯახზე ჩამოვარდა სიტყვა და აღვნიშნე, რომ ახალგაზრდა მშობლები მყავს; მათი ასაკი რომ გაიგო, კოჯიმა-სანმა მითხრა: „უი, ჩვენი ნაიტო-სანის ტოლი ყოფილა დედაშენიო“... ამ ერთი სიტყვით ჩემმა სიმპათიებმა ნაიტო-სანის მიმართ მთლიანად სამსახურებრივი ფორმა მიიღო...

[3] ***სან(ი)*** - თავაზიანი ფორმა, ბოლოში დაერთვის გვარს.

* * *

იზაკაიაში კი ამასობაში საღამო კარგად შეხურდა, მიმტანები ლუდის კათხებით აქეთ-იქით სულმოუთქმელად დარბოდნენ, მხიარულებამ კიდევ უფრო იმატა და, როგორც მოსალოდნელია სამუშაო კვირის ბოლოსათვის, დარბაზი მთლიანად შეივსო. უცებ ჩემმა მობილურმა დარეკა, ალბათ დიდხანს რეკავდა, ვინაიდან ხმაურში ზარის ხმა ძლივს გავარჩიე. მობილურის დისპლეიზე ნაკაიგავას სახელი დაიწერა. ცოტა არ იყოს, გამაკვირვა და, რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა ბავშვობის მეგობრის უეცარმა ზარმა; მაგიდასთან მსხდომთ ბოდიში მოვუხადე და შედარებით წყნარ ადგილას გავედი სალაპარაკოდ.

- ნაკაიგავა? საიდან სადაო! როგორა ხარ? - ვკითხე გახარებულმა.

- თემუკა, შენ როგორ ხარ? კარგა ხანია, აღარ მომიკითხავხარ, რა არის ახალი?

- რა ვიცი, როგორც ადრე მოგწერე, კომპანიაში დავიწყე მუშაობა და ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ. მადოკასთან ისევ ისე ვარ, ხან ვჩხუბობთ, ხან კარგად ვართ. მოკლედ, თუ ჩემს ამ ყოფას თავის სახელს დავარქმევ, ალბათ ბედნიერი ვარ... შენკენ რა ხდება?

- სკოლის მასწავლებლად გამანაწილეს ჩიბას პრეფექტურაში. სამუშაო მომწონს, თავიდან ცოტა გამიჭირდა შეგუება, ხომ იცი, სკოლაში ბევრი საქმეა, თან მარტო ვარ... თუმცა ახლა არაფრის დრო არ მაქვს. შაბათ-კვირას ბავშვებს ხელბურთს ვასწავლი და, მოკლედ, ნორმალურადაც კი ვერ ვისვენებ. ჰო, რატომ გირეკავ: შემთხვევით

გავიგე, რომ მარტში ჩვენი სკოლა ტეშიროგი-ჩუ[4] ონომურა-სენსეის[5] გაცილებას უწყობს. არ ვართ დაპატიჟებულები, თუმცა, მინდა რომ წავიდეთ.

ძალაუნებურად ნახევარწამიანი პაუზა გავაკეთე: „ონომურა უკვე პენსიაზე გადის...?!“ და ამის მერე ნაკაიგავას ვუპასუხე:

- ჰო, მოვდივარ, აბა რა... სად შევხვდეთ? მოდი, პირდაპირ სკოლაში მოვალ, დათქმულ დროს... ბიჭებს შენ დაურეკავ?

- ჰო, ვისაც შემიძლია, დავუძახებ.

- მეც ვეცდები, კიკუჩის და სხვებს დავუკავშირდები...

- აბა, კარგად!

ნაკაიგავასთან ლაპარაკი დავასრულე თუ არა, უმალ მეორე ზარი გაისმა, ეს მადოკა იყო და, როგორც ყოველთვის, მისაყვედურა: „გირეკავ და ამდენ ხანს ვის ელაპარაკებოდიო“. იქვე ახლომახლო ყოფილა და უცებ ჩვენთან გაჩნდა. ჩემს თანამშრომლებთან უკვე რამდენიმეჯერ მოასწრო შეხვედრა და თავს მათს საზოგადოებაში საკმაოდ შინაურულად გრძნობდა. ამიტომ, როცა შემოგვიერთდა, ლუდი მოითხოვა, დალია და უმალ კარგ ხასიათზე დადგა.

უკვე 3 წელია, რაც მე და მადოკა ერთად ვართ, ხან ვშორდებით და მერე ისევ ვრიგდებით. მოკლედ, წარამარა ვჩხუბობთ. ერთი მხრივ, ძალიან მივეჩვიეთ ერთმანეთს, მაგრამ, მეორე მხრივ კი - შეიძლება ჭკუაზე გადავიდე, როგორც კი წარმოვიდგენ, რომ ასეთი ურთიერთობა მთელი ცხოვრება უნდა მქონდეს...

---

[4] ***ტეშიროგი*** - ქალაქ ცუკუბას ერთერთი უბნის სახელწოდება. ***ტეშიროგი-ჩუ*** - ტეშიროგის ჩუ გაკკოს ანუ საშუალო სკოლის შემოკლებული სახელი.

[5] ***სენსეი*** - მასწავლებელი.

ისე, მადოკა მაგარი გიჟია: ერთხელ, „ფართის“' დროს, უაზროდ დალია და ჩემზე ისე იეჭვიანა, რომ ერთი გოგოსკენ გაიწია, ჩხუბს უპირებდა... ის კი არა, გასაშველებლად შუაში ჩამდგარს მომადგა და ხელში ჩანგლის ჩარჭობაც კი სცადა... საბედნიეროდ, მოქნეული ხელი დავუჭირე და „ცივი იარაღი" წავართვი; „ცხვარი ცხვარიაო და, თუ გაცხარდა“... მაგაზეა ნათქვამი. იაპონელები გარეგნულად ძალიან წყნარები არიან, თუმცა, შიგნით რა მძვინვარებს მათში, ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, ჯერაც ამოუცნობია.

* * *

საღამომ ტრადიციულად მხიარულად ჩაიარა. მადოკას გამოჩენამ სუფრაზე ერთიორად მეტი ხალისი შემოიტანა. სამუშაო კვირის ბოლოს მოქანცულმა, მაგრამ კმაყოფილმა თანამშრომლებმა ნელ-ნელა დაშლა დაიწყეს. გარეთ თებერვლის ბოლო იდგა და ტოკიოს ზამთარი უკვე გატეხილი იყო. ქუჩაში ყოფნისას სიცივე ისე აღარ ჯდებოდა ძვლებში და ბახუსის ქვეშ დახუთული იზაკაიადან გამოსვლისას ასეთ ამინდში გავლა სასიამოვნოც კი იყო. ჰოდა, როცა თანამშრომლები სხვადასხვა მიმართულებით ტაქსითა თუ მეტროთი მიმოიფანტნენ, მე და მადოკამ ღამის ტოკიოში ფეხით გასეირნება გადავწყვიტეთ. ქალაქს არ ეძინა და მისი შუქები ცათამბჯენებს კიდევ უფრო მეტ სილამაზეს ანიჭებდა. მშენებარე ახალი ანძა „Skytree" ზემოდან დაჰყურებდა მთელ ტოკიოს და შორი მანძილიდანაც კი კარგად ჩანდა. ორნი მდუმარედ მივსეირნობდით, გვიანი საღამოს ქალაქის დუნე ხმაური გვსიამოვნებდა და ამ გრძნობის დარღვევა თითქოს არ გვინდოდა... რამდენიმე წუთის მერე მადოკამ ამომხედა და სახელო ნაზად ჩამომქაჩა: „თემუკა, თემუკა

რაზე ფიქრობ? მოდი მარტში ჰავაიზე[6] წავიდეთ. აქ ჯერ ცივა, იქ კი მშვენიერი ამინდებია, ახლა ამერიკაში დაბალი ფასებია და ტურის აღება იაფად შეიძლება...“ თანდათან შეხურდა და დააყოლა: „თან ჰონოლულუში მაგრად „ვიშოპინგებ“... რა კარგია!“ - თავისივე იდეით აღფრთოვანდა მადოკა: „მოდი, წავიდეთ, რა!“

მცირე ყოყმანის შემდეგ, მის ამ უტოპიურ გეგმას უარით ვუპასუხე:

- არ ვიცი, მადო-ჩან* (ზოგჯერ მოფერებით ასე ვეძახდი ხოლმე), ვნახოთ, მარტში რაღაც საქმეები გამომიჩნდა, სამსახურიდანაც რამდენიმე დღეს ვერც ავიღებ, ბევრი საქმეა და თან, ხომ იცი, ახალი დაწყებული მაქვს...

- ჰავაი აქვეა, ხალხი 2-3 დღით გადაფრინდ-გადმოფრინდება, 23 მარტს დასვენებაა, ჰოდა, თუ დავამთხვევთ, მარტო ერთი დღე გამოგივა სამსახურის გაცდენა! - არ იხევდა უკან მადოკა.

- კი, მაგრამ 10-ში ისედაც მინდა ნახევარი დღე ავიღო, სკოლაში ჩემი მასწავლებლის გაცილებაა და იქ უნდა ვიყო, თორემ, აბა, ჰავაიზე წასვლაზე უარს როგორ გეტყვი, - გულდაწყვეტილმა ვუპასუხე.

- ეგრეც ვიცოდი! - აინთო მადოკა, - ალბათ ბიჭებმა გთხოვეს და შენც უარი ვერ უთხარი, არა? თან, ვინ იცის, იმ ვიღაც მასწავლებელმა რამდენჯერ გაგამწარა!

---

[6] ***ჰავაი*** - ჰავაის კუნძულები, იაპონელების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დასასვენებელი ადგილი.

[7] ***-ჩან*** - იგივე „სან“, მაგრამ უფრო მოფერებითი ფორმა

მადოკას ამ სიტყვებზე უნებურად გამეღიმა... პირიქით - ონომურას აქეთ გამწარებული სახე რომ გამახსენდა. ჩემმა უადგილო ღიმილმა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გააწიწმატა მადოკა:

- ჰო... კიდევ იღიმები, დამცინი?! მე რომ რამეს გთხოვ, ეგ შენთვის არაფერს ნიშნავს, არა?

- კარგი რა, მადო-ჩან, სულ შენს სურვილებს არ ვასრულებ?!

- ახლა კი გულწრფელად გავუღიმე, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მადოკას ხელი ჰქონდა აწეული და ტაქსიც იმ წამსვე გაჩნდა. ტაქსიში მადოკამ ვერ მოისვენა და ერთი ეგ მითხრა: „თუ შენ არ წამოხვალ, მარტო წავალ!“ - მაგრამ ჩემი ცივი მზერა რომ დაიჭირა, რაც იცოდა, კარგის მომასწავებელი არ იყო, უცებ დააყოლა: „დედაჩემთან ერთადო“... თუმცა, ამ ბოლო სიტყვებით მაინც ვერ შემომირიგა. ჰოდა, ამის მერე თითქოს დაწყნარდა და ცოტა ხანს ჩუმად იყო, მაგრამ ერთი-ორი წუთი თუ გაძლო და მერე ისევ ლაპარაკი წამოიწყო. სხვადასხვა თემაზე მელაპარაკებოდა, ძირითადად ამხანაგებზე ჭორაობდა. მისი ამ სახის ტრადიციული მონოლოგები მაინცდამაინც არ მაინტერესებდა და თან სულ ნაკაიგავასთან საუბარი მიტრიალებდა თავში; ამიტომ მადოკას კითხვებზე გრძელი პაუზების შემდეგ მიმოფანტულად ვპასუხობდი. ჩემი ფიქრები სადღაც შორს, ბავშვობაში იყვნენ გაბნეულნი...

ცუკუბაში გამგზავრება

დათქმულ დღეს ნახევარი დღე ავიღე და ცუკუბასკენ[7] პირდაპირ სამსახურიდან გავემართე. ცუკუბას ექსპრესში აკიჰაბარის სადგურში დავჯექი. შუადღის მატარებელში ბევრი ხალხი არ იყო. ნახევრად ცარიელ ვაგონში არხეინად მოვკალათდი, იქვე სადგურზე ნაყიდი გაზეთი ამოვიღე და გადავფურცლე, თუმცა ამას ალბათ მექანიკურად ვაკეთებდი, ფიქრებში წავედი, სკოლა მეგობრები და ცუკუბაში გატარებული წლები გავიხსენე.

12 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი ოჯახი ამერიკიდან იაპონიაში გადავიდა საცხოვრებლად. მამაჩემი სამუშაოდ მიიპატიჟეს და, შესაბამისად, მე და ჩემი პატარა ძმა, ნიკოლოზი, ჩვენდა უნებლიეთ, დედ-მამასთან ერთად იაპონიაში აღმოვჩნდით.

წესით, მშობლების ასეთ გადაწყვეტილებას ჩემი პროტესტი უნდა გამოეწვია, ვინაიდან მომთაბარე ცხოვრება მომბეზრდა და, ამასთანავე, თავიდან უნდა მოვრგებოდი ახალ გარემოსა და ამხანაგებს. ამერიკაში საკმაოდ ბედნიერად ვგრძნობდი თავს და არსად არ მინდოდა გადასვლა. 2 წლის იქ ყოფნის მერე, ინგლისურშიც საკმაოდ გავიწაფე და სწავლაშიც არავის ტოლს არ ვუდებდი. საქართველო, იაპონია, ამერიკა და ახლა ისევ იაპონია... ეს უკვე ნამეტანი იყო ჩემი ცხოვრების 12 წლისათვის... თუმცა, როცა მშობლების გადაწყვეტილება გავიგე, არ მიწუწუნია, ვინაიდან ვიცოდი, რომ სხვა არჩევანი მაინც არ გამაჩნდა. საბედნიეროდ, იაპონური ენა შენარჩუნებული მქონდა, ვინაიდან ამერიკაში ცხოვრებისას ჩემები შაბათობით იაპონურ სკოლაში მატარებდნენ

---

[8] ***ცუკუბა*** - - ქალაქი იბარაკის პრეფექტურაში.

[9] ***აკიჰაბარა*** - ტოკიოს ერთერთი ცენტრალური უბანი

ხოლმე. ჩემი ძმა ნიკუშა იმ პერიოდში ჯერ მხოლოდ სამი-ოთხი წლის იყო და ამიტომ იაპონიაში გამგზავრებაზე მის დაყოლიებას დიდი ხვეწნა-მუდარა არ დასჭირვებია.

ქალაქი ცუკუბა, სადაც ჩემები მსახურობდნენ, ეგრეთ წოდებული მეცნიერთა ქალაქი იყო, რომელსაც მაინცდამაინც ტიპური იაპონური იმიჯი არ ჰქონდა. დიდ ფართობზე გაშლილი ქალაქი შედარებით ფართო ქუჩებით, მრავალი პარკითა და სპორტული მოედნებით გამოირჩეოდა. საცხოვრებლად ცუკუბას ერთ-ერთი ცენტრალური უბანი, მაცუშირო[8] ავირჩიეთ; იქ ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები ცხოვრობდნენ და ჩემი ტოლი ბავშვებიც მრავლად იყვნენ. დასაწყისში თითქმის მთელი დაგროვილი ფული ჩემებმა ბინის გადასახადებში გადაიხადეს და ამიტომ სახლის მოსაწყობად თანხა აღარ დარჩათ. „რას იზამ, იმედია, ნელ-ნელა შევიძენთ ყველაფერს!“ – აწყნარებდა დედაჩემს მამაჩემი (ლიკას სანდრო), მაგრამ ისიც იცოდა, რომ აგვისტოს სიცხეში კონდიციონერის გარეშე ყოფნა იაპონიაში ადვილი საქმე არ იყო. ეს სიძნელე ძირითადად ჩემზე, ნიკუშასა და ლიკაზე გადადიოდა, ვინაიდან სანდრო მთელ დღეს ლაბორატორიაში ატარებდა. ამ პერიოდში ჩვენ სამის მთავარი გართობა იქვე მახლობლად გაშლილი მაცუშიროს პატარა პარკი და მიმდებარე, ასევე პატარა, შოპინგცენტრი იყო, სადაც ხეების ჩრდილქვეშ შედარებით გრილოდა. გასაკვირი არც იყო, რომ დედაჩემი ლიკა საკმაოდ უკმაყოფილო იყო ახალი პირობებით და ამერიკული ცხოვრების სილაღეს მისტიროდა. „არა უშავს, ერთი-ორ წელს ვიცხოვრებთ აქ და მერე საქართველოში დავბრუნდებით!“ _ ასე იწყნარებდა თავს დედა... თუმცა, მაშინ რა იცოდა, რომ იაპონური

[10] ***მაცუშირო*** _ უბანი ცუკუბაში.

ცხოვრების რითმში ჩაებმებოდა და ცუკუბაში 10 წელზე მეტს გაატარებდა.

სკოლაში, იქვე ახლოს, ტეშიროგის „შიოგაკოს“[9] მეექვსე კლასში ჩამრიცხეს და, მამაჩემის ინიციატივით, სკოლის ფეხბურთის სექციაშიც შევედი. ეს გასაკვირი არაა, ვინაიდან საქართველოში, საიდანაც ჩვენ ვართ წარმოშობით, ფეხბურთი ნომერი პირველი სპორტია და სანდროსგან გადმოცემით ვიცოდი, რომ სპორტის ამ სახეობას ყველა ბიჭი თამაშობდა. თან თურმე სად და როგორ არ თამაშობდნენ: ეზოში, ასფალტზე, წვიმის დროს - სადარბაზოში, ხშირად საკლასო ოთახშიც კი, დასვენების დროს იმპროვიზებულ „კლასრუმ“ ფეხბურთს თამაშობდნენ და მასწავლებლების გულისწყრომასაც იმსახურებდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბაბუაჩემი კარგი ფეხბურთელი იყო და სახელოვან თბილისის „დინამოშიც“ კი ჰქონდა ნათამაშევი. მანამდე ფეხბურთის სექციაზე არასოდეს მივლია, თუმცა მამაჩემთან ერთად ბურთით ყოველთვის ვერთობოდი ხოლმე. ფაქტობრივად, მამამ მასწავლა ფეხბურთის ანაბანა და, საერთოდ, სპორტთან დამოკიდებულება. რაც მთავარია, როცა რამე კარგად გამომდიოდა, მამაჩემი ყოველთვის ამაყობდა და ამბობდა: „მთავარი აზროვნებაა და ამ ბიჭს ეს არ აკლიაო“. ამ ფრაზას, რა თქმა უნდა, დედაჩემის სიცილი, არა, უფრო სწორად, „ნიჭიერი" მამა-შვილის დაცინვა მოჰყვებოდა ხოლმე: „შენს თავს ხომ იქებ და იქებ და ახლა თემუკაზეც გადახვედიო“... ხშირად ოჯახურ ფეხბურთში ჩემი პატარა ძმა ნიკოლოზიც მონაწილეობდა და თამაშს კიდევ უფრო ახალისებდა. ნიკუშამ იაპონურ ბაღში დაიწყო სიარული და ნელ-ნელა ენაც აითვისა, რაც მის ასაკში დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.

---

[11] ***შიოგაკო*** - დაწყებითი სკოლა.

ვარჯიშები, მამებისა და შვილების ტრადიციული მატჩი

ფეხბურთის სექციაზე ჩემი თანაგუნდელები ერთი სამი წელი მაინც ვარჯიშობდნენ ერთად და, ასე თუ ისე, „შეთამაშებულები“ იყვნენ. მწვრთნელად ახალგაზრდა, ასე, 22-23 წლის სტუდენტი იყო, რომელსაც საკმაოდ შეფერებული ჰქონდა დაწყებითი კლასების გუნდის მთავარი მწვრთნელობა. რა თქმა უნდა, მშობლებიც თავს ევლებოდნენ და ამით ტანაკა ქოუჩი[10] კიდევ უფრო შედიოდა თავის როლში. ის ძირითად შემადგენლობას საკმაოდ გამოცდილად მიიჩნევდა და შეჯიბრებებზე სულ მათ ათამაშებდა. მე კი, როგორც ახლად შესულს, ძირითადად სათადარიგო სკამზე, ანუ „ბენჩზე“, მიხდებოდა ჯდომა და ტანაკა ქოუჩი ზოგჯერ თამაშის ბოლოს თუ გამომიყვანდა ხოლმე. ახლა რომ ვუფიქრდები, ეს დიდად გამართლებული ნაბიჯი არ იყო, ვინაიდან გუნდი დიდი შედეგიანობით მაინც არ გამოირჩეოდა და უმჯობესი იქნებოდა, თითოეულ წევრს რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკის საშუალება ჰქონოდა. მით უმეტეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ დაწყებითი კლასების ფეხბურთი იყო, სადაც სულ 11-12 წლის ბავშვები ვთამაშობდით...

თამაშების დროს „ბენჩზე“ ყოფნა მაინცდამაინც არ მაღელვებდა, ვინაიდან ვარჯიშებზე საკმაოდ ვიხარჯებოდი და თამაშებზე დაკვირვებით ბევრ ახალს ვსწავლობდი... მე არა, მაგრამ მამაჩემი მართლა განიცდიდა ამ „უსამართლობას“ და, ის კი არა, გაბრაზებულმა ქოუჩს მეტსახელად „ბისმარკიც“ კი შეარქვა მისი ამპარტავანი შესახედაობის გამო.

---

[12] *ქოუჩი* - მწვრთნელი.

დაწყებითი სკოლის ბოლო წელი იყო და ოქტომბრის ბოლოს მშობლებსა და ბავშვებს შორის ტრადიციული შეჯიბრება დაიგეგმა, რომლის დროსაც მამას ვთხოვე, რომ მონაწილეობა მიეღო.

- აბა, როგორ ვითამაშო, შვილო, ხომ იცი, მუხლის ოპერაცია 4 თვის წინ გავიკეთე და სირბილი კი არა, ჯერ წესიერადაც ვერ დავდივარ, მუხლის გაშლაც კი მიჭირს, _ მიპასუხა მამაჩემმა.

- მამა, არა უშავს, ნუ ირბენ. რაც მთავარია, ისე გამოდი, მონაწილეობა მიიღე! - ვუთხარი.

- თუ ეგრეა, გამოვალ, ბევრს ვერ გავინძრევი, ისე ვიდგები დაცვაში და თუ ბურთი მოგორდება ჩემთან, დავარტყამ და მოვიშორებ...

თამაში ბიჭებმა შეტევებით დავიწყეთ სრულ უპირატესობასაც დავეუფლეთ. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან მამებს შორის ნაკლებად იყვნენ ფეხბურთის მცოდნეები. უფროსი თაობა ხომ ძირითადად ბეისბოლზე იყო გაზრდილი. თუმცა, ერთი-ორ მშობელს არა უშავდა, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ შვილების ხათრით თავიანთ შესაძლებლობებზე ერთი-ორად უფრო მაგრად ირჯებოდნენ, თამაში ნელნელა გაწონასწორდა და საერთო ჯამში თანაბარი ხასიათი მიიღო. მამაჩემი კოჭლობით გავიდა მოედანზე, დადგა თავის პოზიციაზე და ერთი-ორჯერ თუ წაჰკრა ბურთს ფეხი. ვიცი, რომ ფეხბურთს კარგად თამაშობდა, ეს ბიჭებთანაც მქონდა ნათქვამი და, ცოტა არ იყოს, შემრცხვა. ჰოდა, არც ვაციე, არც ვაცხელე, მივირბინე სანდროსთან და ვუთხარი:

- კარგი რა, ცოტა მაინც გააკეთე რამე... ყველა გვიყურებს და რას იტყვიან!

ამ სიტყვების გაგონებაზე სანდროს მწვანე ფერმა გადაუარა სახეზე, ყელში თითქოს რაღაცა გაეჭედა, ცივმა ოფლმა დაასხა და

მერე უცებ მითხრა: - კარგი, ცოტას ვირბენო... მაშინ, რა თქმა უნდა, ვერც აღვიქვამდი, მაგრამ ახლა კი ჟრუანტელი მივლის, რომ მახსენდება, იმ თამაშის დროს მამაჩემი ნაოპერაციები ჯვარედინი მყესით რომ დარბოდა, ჩემმა საყვედურმა ყველაფერი დაავიწყა, ის კი არა და, გოლიც კი გაიტანა. საბედნიეროდ, მუხლმა არ უმტყუნა და ბიჭებმაც მითხრეს: „ვა, მამაშენი რა მაგარი ყოფილაო!“

„შოგაკკოს” - ბოლო თამაში

დრო გადიოდა და კარგა ხნის განმავლობაში ფეხბურთის სექციაში დიდად არაფერი შეცვლილა: ბენჩი ბენჩობდა და ბისმარკი ბისმარკობდა... და აი, დადგა „შოგაკკოს“ უკანასკნელი შეჯიბრების დღე და ჩვენც წავედით მეზობელ უბანში იქაურ „ნინომიას“ სკოლასთან სათამაშოდ. მამაჩემმაც მოიცალა და წამომყვა - შენს თამაშს უნდა ვუყურო.

თებერვლის მიწურული იყო და გარეთ მზიანი ამინდი იდგა. ასე რომ, ფეხბურთისათვის კარგი სათამაშო დღე გამოვიდა. ვიცოდი, რომ ვითამაშებდი და კარგ ხასიათზე ვიყავი. ბოლო თამაშზე ტანაკა ქოუჩს (ბისმარკს), გინდა არ გინდა, ყველა უნდა გამოეყვანა მოედანზე, ასეთი დაუწერელი კანონი იყო. დასაწყისიდან მე, რა თქმა უნდა, ჩემს საყვარელ“ ბენჩს მივაშურე და ჩემი „ბენჩელი“ ძმაკაცი ჰიროკიც იქ დამხვდა. ვგრძნობდი, რომ 6-თვიანმა სისტემატურმა ვარჯიშმა თავისი შედეგი გამოიღო და ჩემი გუნდიდან უკვე არავის ჩამოვუვარდებოდი – ბევრს, ალბათ, ვჯობდი კიდეც. მამაჩემიც, რა თქმა უნდა, ამ აზრზე იყო და ამბობდა: „თემუკამ რომ მოუმატა, ყველასათვის ცხადია და ბისმარკს კი ამის დაჯერება არ უნდა და მაინც არ ათამაშებსო“...

ნინომიელებთან ტეშიროგის დიდი ხნის მეზობლური პაექრობა აკავშირებდა და ამიტომ ჩვენი მათთან თამაში ყოველთვის პრინციპულობით გამოირჩეოდა. იმ წელს ნინომია ბევრად კარგად თამაშობდა და რამდენჯერაც შევხვდით, იმდენჯერ წავაგეთ. ბოლო თამაშშიც მოგების იმედით გამოვიდნენ და თან თავდაჯერებულობას მათ „საკუთარი კედლებიც" ჰმატებდათ. დაიწყო თამაში და, ასე იყო თუ ისე, პირველად ჩვენ გავიტანეთ რაღაც უაზრო გოლი. მათმა მცველმა ბურთი ცუდად დაარტყა და

ჩვენს ფორვარდს მოხვდა, იმანაც ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა და გაიტანა. ნინომიელები მალე მოვიდნენ გონს და ტაიმის მიწურულს ზედიზედ ორი ბურთი გაგვიტანეს. ბისმარკს არ უნდოდა ბოლო თამაშის წაგება და ამიტომ თავისი ნაცადი ძირითადი შემადგენლობის შეცვლას არ ჩქარობდა. აი, პირველი ტაიმიც დასრულდა და მეორე დაიწყო, ჩვენებს კი თამაში არ გამოსდიოდათ, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ცდილობდნენ... მათ კიდევ ერთი ბურთი გაგვიტანეს კუთხურიდან და ანგარიში 3-1 გახდა, 7-8 წუთით ადრე, ეტყობა, ბისმარკი შეეგუა წაგებას და 3 კაცი, „გამობრძმედილი“ ბენჩისტები, გამოგვიყვანა მოედანზე. ახალმა ცვლილებამ მოულოდნელად გაამწვავა თამაში. დაცვაც უკეთ აეწყო და, ფაქტობრივად, ბურთი ძირითადად ჩვენ გვქონდა. ჰიროკის რა დაემართა, არ ვიცი: გიჟივით დარბოდა და მოწინააღმდეგეს არ ახარებდა. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე, როგორც იქნა, ერთი ბურთი გავქვითეთ. ეს ნამდვილად დამსახურებული გოლი იყო, ვინაიდან დიდი ზეწოლის მერე „მოვამწიფეთ“ და გუნდელმა ტეცუნორიმ შორიდან დარტყმით გაიტანა... 3-2!

გოლის მერე ნინომიელები გააქტიურდნენ, ეტყობოდათ, რომ მოგების შენარჩუნება უნდოდათ. ახლა უკვე მათ ჩაიგდეს ხელში ინიციატივა. ნელ-ნელა თამაშის დროც იწურებოდა და ბოლო წუთი დაიწყო. ჩვენმა დაცვამ შეტევა მოიგერია და ჰიროკიმ ბურთი წინ უმისამართოდ გადააგდო. ამ დროს მე მოედნის შუაში ვიდექი და ბურთთან ჩვენებიდან ყველაზე ახლოს აღმოვჩნდი... ჰოდა, გავიქეცი... ამავე დროს, აქეთ-იქიდან ბურთისკენ ორი ნინომიელი გავარდა. ვხვდებოდი, რომ თუკი მე პირველი მივასწრებდი ბურთს, მარჯვენა ფლანგიდან მეკარისკენ გზა მეხსნებოდა. ბურთთან, ფაქტობრივად, სამივემ ერთდროულად მივირბინეთ. მათ თითქოს

ოდნავ შეახეს კიდევაც ბურთს ფეხი და ერთდროულად ორივე მხრიდან ჩამკეტეს. ახლაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე _ ალბათ დიდი სურვილი მქონდა: ბოლო ძალები მოვიკრიბე, სხვებს ფეხის წვერით წავასწარი, ბურთი წინ გავიგდე, ორივე ფეხბურთელი ჩამოვიტოვე და წინ გავედი. კარებს საშუალო მანძილზე რომ მივუახლოვდი, დავარტყი... ვიგრძენი, რომ ბურთი კარგად მომაჯდა ფეხზე და მოხდენილი დარტყმა გამომივიდა. ბურთი ყუმბარასავით შევარდა კარში. გოლის გატანა გამიხარდა, თუმცა, მაინდამაინც დიდად სახეზე არ გამომხატვია... ჩვენს გულშემატკივრებს ცალი თვალით გავხედე და მამაჩემის სახეზე ბედნიერებას ზღვარი არ ჰქონდა... არც ბისმარკი ახსოვდა და არც ის ტკივილი, ყოველ თამაშზე ჩემი „ბენჩები“ რომ აყენებდა. თამაში 3-3 დამთავრდა და ისე გამოვიდა, რომ „შოგაკოს“ სიმბოლური ბოლო გოლი ტეშიროგიდან მე გავიტანე. მერე ბიჭებმაც მითხრეს: „რა მაგარი გოლი გაიტანეო“, მაშინ გოლის გატანა მაინცდამაინც ვერ აღვიქვი. ეს დიდად აღსანიშნავი რამე ნამდვილად არ ყოფილა, თამაშიც კი არ მოგვიგია... თუმცა, როგორ არა, პირადად ჩემთვის, ალბათ, მნიშვნელოვანი იყო: იმ გოლმა ხომ რწმენა მომცა _ იმის რწმენა, რომ არავისზე ნაკლები არ ვიყავი... აი, მამაჩემისთვის კი ეს ისტორია დღემდე დაუვიწყარია, წლები გავიდა და დღესაც ის ლამაზი გოლი და მის ირგვლივ განცდები მისთვის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო და საყვარელი თემაა, განსაკუთრებით - ოჯახურ ან მეგობრულ სუფრაზე.

როგორ დაიწყო ხელბურთი

კლასში ნაკაიგავასთან ვმეგობრობდი. სკოლის მერე ხან რით ვერთობოდით და ხან _ რით. ხშირად საბავშვო კარტებით[11] ვთამაშობდით, ან ვიდეო თამაშებზე ვიღლიდით თვალებს. ვიცოდი, რომ ნაკაიგავა და კიდევ ჩემი რამდენიმე კლასელი სადღაც ხელბურთს თამაშობდნენ. ვინაიდან ხალხი სულ აკლდათ, მათ უნებლიეთ დროდადრო თანაკლასელი გოგო ნაგისა უერთდებოდა: ის სკოლის გვერდზე ცხოვრობდა და სკოლის ეზოში ხშირად თამაშობდა ხოლმე. ერთხელ ნაკაიგავამ შემომთავაზა: „თემუკა, იქნებ შენც სცადო ჩვენთან ვარჯიში, მაღალი ხარ და კარგად გამოგივაო“.

ხელბურთზე, როგორც სპორტზე, სახელის მეტი არაფერი მქონდა გაგონილი, თუმცა - „რატომაც არა-მეთქი“, ვუპასუხე. მით უმეტეს, რომ საგაზაფხულო არდადეგები იწყებოდა და ბევრი არაფერი მქონდა საკეთებელი. ასე რომ, რამდენიმე კაცმა გადავწყვიტეთ, ყოველ დილას ხელბურთში გვევარჯიშა.

მეორე დილასვე შევიკრიბეთ, ვირბინეთ და მერე ხელით „პასები“ გადავუგდეთ ერთმანეთს. „ერთი „გლოვი“ [12]გვაკლია, თორემ იგივე ქეჩბოლია[13] მეთქი“ - ვუთხარი. ნაკაიგავამ: „თამაშს რომ დაიწყებ, მერე მაგრად მოგეწონებაო“... კი დავეთანხმე, მაგრამ გულის სიღრმეში რაღაც უაზრობა მეგონა. მაშინ ვერც კი წარმომედგინა, თუ რამდენად მართალი იყო ნაკაიგავა და რას ვიფიქრებდი, რომ ხელბურთი ასე ჩამითრევდა.

---

[13] ***საბავშვო კარტები*** - იგულისხმება არა ტრადიციული კარტები, არამედ მულტფილმების გმირებით ან სპორტსმენებით ილუსტრირებული საბავშვო კარტები, მათი შეგროვება პოპულარულია ბავშვებში.

[14]***გლოვი*** - ბეისბოლის ხელთათმანი.

[15]***ქეჩბოლი*** - ბეისბოლისტების ვარჯიში ბურთის დაჭერაში.

ვარჯიშები შაბათობით ჩვენს ახლომახლო, მაცუშიროს სკოლაში იყო და რამდენჯერმე მეც მივედი. ყველაზე ძალიან კარში ხელით დარტყმა მომეწონა. თუმცა, ნავარჯიშევი რომ არ ვიყავი, დარტყმისას მოძრაობა ისე სხარტად ვერ გამომდიოდა და ბურთიც ლამაზად არ მიფრინავდა. გადავწყვიტე, მევარჯიშა და დამეხვეწა ჩემი დარტყმა. ჰოდა, ასე დავიწყე ვარჯიში ყოველდღე, შევყევი და შევყევი... დავრბოდი და მერე ბურთით ვთამაშობდი. ზოგჯერ, თუ ბიჭები საკმარისად შევიკრიბებოდით, ცალ კარში ანგარიშზეც კი ვთამაშობდით. ნაგისას ჯერ ვეღრიჯებოდით, რომ დაგვმატებოდა, მერე და მერე კი ისე შევეჩვიეთ, რომ ვარჯიშის დაწყების წინ შევუვლიდით ხოლმე და ისიც სიხარულით გვიერთდებოდა.

რამდენიმეჯერ ჩვენი სახლის ეზოშიც ვივარჯიშე კარში დარტყმაში, რის ფუნქციასაც სახლის კედელი ასრულებდა. ის კი არა, ერთ კვირა დღეს მამაჩემი დავაყენე კარში და ბურთის მომტანად კი ჩემი პატარა ძმა დავასაქმე. მამაჩემს საქართველოში ტელევიზორში ჰქონდა ხელბურთი ნანახი და, ამის მიხედვით, ვითომდა მეკარის მოძრაობას ხუმრობით ბაძავდა. განზრახ ფეხებს და ხელებს სასაცილოდ იქნევდა და მე და ჩემს ძმას ძალიან ბევრს გვაცინებდა. დარტყმის წინ ნიკუშა მაქეზებდა და იყო ერთი ამბავი. ეს აყალმაყალი, ჩვეულებრივ, ლანჩამდე[14] გრძელდებოდა. ზოგჯერ კვირაობით დედაჩემი გვანებივრებდა და მონატრებულ ქართულ საჭმელს, ხაჭაპურს გვიცხობდა მე, ნიკუშას და მამაჩემს. ჩვენც გემრიელად შევექცეოდით და კოკა-კოლასაც ზედ ვაყოლებდით. ასე უდარდელად გადიოდა საგაზაფხულო არდადეგები.

---

[16] ***ლანჩი*** - სამხარი (ინგლისურიდან გადმოტანილი).

ნამდვილ ხელბურთელთან შეხვედრა

ერთ დღეს ვარჯიში საღამოსკენ დავნიშნეთ და ისე გამოვიდა, რომ მარტო მე და ნაკაიგავა მივედით. სხვები _ ზოგი სად და ზოგი სად _ მიმოიფანტნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ, იქვე, მაცუშიროს პარკში გვევარჯიშა, ჯერ ვირბინეთ პარკის ირგვლივ და მერე იქვე გაშლილ ადგილას ბურთით პასებით ვთამაშობდით.

მაცუშიროს პარკი პატარა, მაგრამ საკმაოდ ლამაზი ადგილი იყო და თავისი კოპწია ტბაც კი ჰქონდა, სადაც ზამთარ-ზაფხულ გედები დაცურავდნენ. პარკი არცთუ ისე ხალხმრავალი იყო, თუმცა, დაბინდებამდე სულ ვიღაც-ვიღაცები იყვნენ. ბავშვები მშობლებთან ერთად უფრო მდელოზე თამაშობდნენ, მოხუცებიც მოდიოდნენ ხოლმე სასეირნოდ. ახალგაზრდა წყვილებიც საკმაოდ ხშირად სეირნობდნენ, განსაკუთრებით _ ტბასთან ახლოს.

ამჯერადაც ასე იყო: შევნიშნე, რომ ჩვენს თამაშს სკამზე მოკალათებული ერთი წყვილი ადევნებდა თვალს. ასე, 21-22 წლისანი, ალბათ სტუდენტები იყვნენ. მე და ნაკაიგავას არ გამოგვპარვია მათი ყურადღება, ვიფიქრეთ, ჩვენი თამაში მოსწონთ და კიდევ უფრო მონდომებით გავაგრძელეთ პასები... უცებ ახალგაზრდა ბიჭი სკამიდან წამოდგა, თავის მეგობარ გოგონას რაღაც უთხრა და ჩვენი მიმართულებით გამოემართა. საკმაოდ მაღალი ჩანდა და სიარულისას მისი ჯანსაღი ტანის სიმსუბუქე თვალში საცემი იყო. ჩვენ ძალაუნებურად გავჩერდით. რომ მოგვიახლოვდა, გაღიმებული მოგვესალმა, ბურთი მოითხოვა და რამდენჯერმე პასებით გაგვეთამაშა. ადვილად შევატყვეთ, რომ ხელი სულ სხვანაირად ჰქონდა დაყენებული; ბურთის დაჭერისა და გადაგდების დროს ეტყობოდა, რომ ზედმეტად ერთი კუნთიც კი არ

უტოკდებოდა. აშკარა იყო, რომ ხელბურთს თამაშობდა. მე და ნაკაიგავა ერთმანეთს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები და თან ნიშნის მოგებით ვუყურებდით, ვერ წარმოგვედგინა, თუ როგორ გაჩნდა მაცუშიროს პატარა პარკში „ნამდვილი" ხელბურთელი. ხელბურთელმა მოძრაობა გამისწორა და მითხრა: „ეცადე, დარტყმის დროს მხარი ხელს გააყოლოო“. ამის მერე ნაკაიგავასაც მისცა ერთი-ორი მარტივი რჩევა. მერე გამოგვკითხა, თუ საიდან ვიყავით და გვირჩია, რომ გაგვეგრძელებინა ხელბურთის თამაში, თან დააყოლა: „მონაცემები გაქვთ და თქვენგან კარგი მოთამაშეები გამოვაო“. დამშვიდობებისას გვითხრა, „ცუკუბას უნივერსიტეტში[15] საღამოობით ვარჯიშებია და, როცა მოგეხერხებათ, საყურებლად მოდითო“. ამის მერე „სტუმარმა" დიდხანს აღარ დააყოვნა და თავის, ასევე მომღიმარ, მეგობარ გოგონას მიუბრუნდა. მალე ისინი ტბის მიმართულებით გაუჩინარდნენ.

მე და ნაკაიგავა პარკში დავრჩით და აღგზნებულები შთაბეჭდილებას დიდხანს ვუზიარებდით ერთმანეთს.

ერთმანეთს ვუსწორებდნენ მოძრაობას და, ის კი არა, კამათიც კი მოგვივიდა _ არა, ასე გამისწორა და არა _ ისეო. „რა კარგია, დღეს მაცუშიროს პარკში რომ გადავწყვიტეთ ვარჯიში, არა?!“ - ბოლოს ვუთხარი ნაკაიგავას; „აბა, კიდევ კარგი! აი ეგრეც უნდათ, რომ არ მოვიდნენ ვარჯიშზე... არ უნდოდათ ნამდვილი ხელბურთელის ნახვა?! რა მაგარი იყო! თან რამდენი რამე გვასწავლა, ხვალ რომ მოვუყვებით, გაგიჟდებიან!“ მიპასუხა ნაკაიგავამ. „კიდევ კარგი, რომ

---

[17] ***ცუკუბას უნივერსიტეტი*** - ცნობილი უნივერსიტეტი, მდებარეობს იბარაკის პრეფექტურის ქალაქ ცუკუბაში, კურსდამთავრებულები-დან სულ ცოტა სამი ნობელის ლაურეატია; ასევე, უნივერსიტეტი ცნობილია სტუდენტების მღელვარებით 70-იან წლებში.

დღეს არ შევიკრიბეთ, თორემ სკოლაში ვივარჯიშებდით და მას ვერც შევხვდებოდით“... დაბნეულები მერეღა მივხვდით, რომ ხელბურთელს სახელიც კი არ ვკითხეთ...

მართლაც, მეორე დღეს მე და ნაკაიგავამ ყველას მოვუყევით, თუ როგორ ვითამაშეთ ნამდვილ ხელბურთელთან და მონაყოლი, რა თქმა უნდა, ერთი-სამად გავაბუქეთ. იმ არდადეგების დროს ხელბურთით გართობამ დიდად მასიამოვნა და მართლაც გული მწყდებოდა, რომ ამ თამაშს ვეღარ გავაგრძელებდი ტეშიროგის საშუალო სკოლაში ანუ „ჩუგაკკოში”[16], ვინაიდან ხელბურთი ამ სკოლის ბუკაცუში[17] არ შედიოდა.

---

[18] *ჩუგაკკო* - იაპონური. საშუალო სკოლა.

[19] *ბუკაცუ* - იაპონური. სკოლასთან არსებული სექციები.

ფიქრები მომავალზე

ერთხელ, დილის ვარჯიშის შემდეგ, ნაკაიგავა, ნაგისა, (მეკარე) იუია, ჩუმა და მე შევრჩით და, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკი გავაბით. რა თქმა უნდა, საუბრის ძირითადი თემა ახალი სკოლა იყო, ჩვენ ხომ დაწყებითი სკოლა დავამთავრეთ და აპრილიდან ტეშიროგის საშუალო სკოლაში ვიწყებდით სწავლას. ბუნებრივია ყველას გვაინტერესებდა, თუ ვინ რა ბუკაცუზე შევიდოდა. ნაკაიგავას კალათბურთში არა უშავდა და თქვა, შეიძლება იქ შევიდეო. იუიას ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, სწავლა რომ დაიწყება, გავიხედავ, გამოვიხედავ და მერე გადავწყვეტო. ნაგისა ვიოლინოზე უკრავდა და სკოლის ორკესტრში აპირებდა შესვლას. „მე, ალბათ, ფეხბურთს გავაგრძელებ“, _ გავანდე ჩემი სამომავლო გეგმები. „მამაჩემსაც ძალიან უნდა, რომ ვითამაშო, თვითონ გულში ჰქონდა ჩარჩენილი, რომ ფეხბურთზე სიარული ვერ შეძლო და მეუბნება, ბაბუაშენივით, შენგან კარგი ფეხბურთელი გამოვაო“.

თუმცა, ყური მოვკარი, რომ ფეხბურთის ბუკაცუ არც თუ ისე ადვილია და პირველ წელს ძირითადად მეორე და მესამე კლასის თამაშებისთვის უნდა მეყურებინა. ახლად შესულებს ძირითადად ბურთები უნდა მიეწოდებინათ ვარჯიშის დროს. „ნეტა მართალია?“ - ცოტა არ იყოს ეჭვით ვკითხე ბიჭებს. „ჰო, ეგრეა, ეგეთი წესია, მაგრამ ნუ გეშინია, ფიზიკური ვარჯიში არ მოგაკლდება!“ - გამომეპასუხა ნაკაიგავა და უცებ გააგრძელა - „ამ დღეებში ჩვენგან რამდენიმე მშობელი აპირებს სკოლის დირექტორთან კანეკო-სენსეისთან მისვლას და ხელბურთის ბუკაცუს შემოღებაზე საუბარს“. „ვითომ ხელბურთს შეიტანენ ტეშიროგიში?“ _ უცებ წამოიძახა იმედით

იუიამ. „დედაჩემი მშობელთა აქტივის წევრია და ამ სისტემაში კარგადაა გარკვეული. ჰოდა, მან მითხრა, რომ შესაძლებლობა კი არის, მაგრამ ძალიან დიდი შანსები არა გვაქვსო“ - უპასუხა ჩუმამ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება სკოლისათვის იოლი საქმე არაა!“ - დაამატა ნაგისამ. „მოდი, დაველოდოთ რამდენიმე დღე და პასუხიც გვეცოდინება“.

ყველას კარგად გვესმოდა, რომ სპორტის ახალი სახეობის შეტანა არც თუ ისე იოლი საქმე იყო, ამიტომ დიდი ოპტიმიზმით არავინ იყო გამსჭვალული, მაგრამ შინაგანად რაღაც იმედი და სიხარულის მოლოდინი კი ყველას გაგვიჩნდა.

შეხვედრა სკოლაში

ცუკუბა, ცუკუბა! ნახევრად მძინარეს და მატარებლის მძღოლმა ცუკუბაში ჩასვლა გვაცნობა მგზავრებს. (ფიქრებში წასული, ისე ჩავედი ცუკუბამდე, რომ ვერც კი გავიგე, მგზავრობის 45 წუთი როგორ გავიდა... როგორც შეთანხმებულები ვიყავით, სადგურში დიდი ხნის უნახავი კიკუჩი დამხვდა. "ჰისაშიბური"![18] _ ორივეს გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა.

- კიკუჩი, ეს რა გიკეთია? არ გტკივა მაინც? - უნებურად მივახალე, როცა მის ტუჩებსა და წარბებში გაყრილი მეტალები დავინახე, - ისე კი, არა უშავს, გიხდება, შენს სტილში ზიხარ! - მერე დავამატე.

- დღეს კიდევ შევეცადე, მაინც სკოლაში მივდივართ და, აი, ხომ ხედავ, კოსტუმიც კი მოვირგე, - ღიმილით მიპასუხა კიკუჩიმ და მერე იმავე ტონით დააყოლა - ე! შენ სხვა დროს უნდა მნახო, მართლა ჩემს სტილში როცა ვარ... თემუკა, ცოტა მოსუქებულხარ... მადოკამ ალბათ გაიგო, ტკბილეული რომ გიყვარს და გიკეთებს ხოლმე, არა?!

- ჰო, ეგრეა, - დინჯად ვუპასუხე, - განსაკუთრებით - როცა - შერიგება უნდა, მაშინ ნახე! ჰოდა, მეც, ხომ იცი, ცდუნებას ვერ ვუძლებ და ეგრევე ვურიგდები ხოლმე... ისე, მაგარი ხელი აქვს, მაგას ვერ წაართმევ! - ვუპასუხე დაუფიქრებლად და თან გავიფიქრე: რა ადვილია მაინც ბავშვობის მეგობრებთან საუბარი... ბევრად უფრო გახსნილად და ლაღად ვლაპარაკობთ ერთმანეთში, სიტყვებს არ ვწონით, ვიცით, რომ, რაც არ უნდა ვიწვალოთ, ერთმანეთს მაინც ვერ ვაწყენინებთ...

---

[20] ***ჰისაშიბური*** **-** მიმართვა შეხვედრისას, კარგა ხნის განშორების მერე.

- აბა, წავედით! - მითხრა კიკუჩიმ და იქვე მდგარი მანქანისკენ გაიშვირა ხელი. მე მისი მანქანით აღფრთოვანება ვერ დავმალე, თან ჩაჯდომისას თამბაქოს სუნი რომ არ მეცა, ვკითხე:

- კიკუჩი, შენ რა, მანქანაში არ ეწევი?

- მანქანაში კი არა, საერთოდ აღარ ვეწევი... გახსოვს, ერთხელ შენ დაგიჯერე და სკოლის დროს ხელბურთის ხათრით სიგარეტს თავი დავანებე? მართალი გითხრა, ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, შენი და ხელბურთის მადლიერი! - ღიმილით მიპასუხა და მანქანა დაძრა. ძრავის ხმის გაგონებაზე უკვე მეორედ ვერ დავმალე ჩემი აღტაცება:

- მაგარია! გეტყობა, ძრავაზე მაგრად გიმუშავია, პირდაპირ მღერის!

კიკუჩიმ კმაყოფილებით ჩაიღიმა:

- რა თქმა უნდა, ავტომატიკა არაა...

- ამაში ეჭვიც არ მეპარება - ვუპასუხე, ვინაიდან კარგად ვიცოდი, რომ კიკუჩის ბავშვობიდანვე მანქანებზე გართულება ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ, როცა მამამ ვარჯიშზე წამიყვანა სადღაც, ისე მოხდა, რომ კიკუჩიც ჩვენ წამოგვყვა. მამას მაშინ სპორტული ნისან '„სკაილაინი“ ჰყავდა, იაფად იყიდა და სულ არ ენაღვლებოდა, სიჩქარის გადასართავი მექანიკა იყო თუ - ავტომატიკა. მანქანიდან რომ გადმოვედით, კიკუჩიმ მითხრა:

- რომ გავიზრდები და მანქანას ვიყიდი, მეც მექანიკური სიჩქარის გადასართველს ავირჩევ, ვერ ნახე, როგორ ლამაზად და მოხდენილად რთავდა მამაშენი ერთიდან მეორეზეო, თან როგორ გრძნობდა ამით მანქანასო! მაგარია რა! - აღტაცებულმა შესძახა.

ამის თქმაზე კიკუჩიმ შემომხედა და ჩემს გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ მანქანა მისი მექანიკური გადასართავიანად ძალიან

შორს იდგნენ ჩემი ინტერესების არეალისგან და უიმედოდ ხელიც კი ჩაიქნია. რაც თავი მახსოვს, სულ მამაჩემი მატარებდა აქეთ-იქით, თუმცა დიდად მისი ტარებისათვის ყურადღება არასდროს მიმიქცევია. მით უმეტეს, ბავშობიდანვე მის მანქანაში (და, საერთოდ, სხვა მანქანებშიც) სულ გული მერეოდა ხოლმე. ისე, ეგრეა, მერე და მერე რომ დავუკვირდი, სიჩქარეების ხელით გადართვას მართლაც რომ თავისი ჰეწი აქვს და მეც, სანამ ვინმემ არ მითხრა, მანამ ვერც კი შევნიშნე.

ასე, ლაპარაკ-ლაპარაკში, სკოლასაც მივუახლოვდით, ჩვენები უკვე იქ დაგვხვდნენ. სულ 7-8 კაცი შეიკრიბა, ესეც კარგი რაოდენობა იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოფილი ტეშიროგელები მთელს იაპონიაში იყვნენ მიმოფანტულები. ყოფილ კლასელებთან, განსაკუთრებით, ვისთანაც ახლოს ვიყავი, შეძლებისდაგვარად, კონტაქტს ვინარჩუნებდი, მაგრამ ბევრი კლასელი, რაც სკოლა დავამთავრე, საერთოდ არ მყავდა ნანახი. ჰოდა, რა თქმა უნდა, ერთმანეთის ნახვა ყველას ძალიან გაგვიხარდა.

რომ მივედი, იქვე ახლოს მდგომი ჯგუფი შემომეხვია, ერთმანეთს აღგზნებულები, ხმამაღალი შეძახილებით ველაპარაკებოდით. უცებ ოდნავ მოშორებით მდგარი ერთი მაგარი გარეგნობის გოგო შევნიშნე და... ნაგისა არ შემრჩა! „ნაგისა, ეს რა ქალი დამდგარხარ!“ - პირდაპირ მივახალე, ვერ დავმალე აღფრთოვანება. ნაგისა ჩვენი ბავშვობის მეგობარი და გუნდის „უდიპლომო" მენეჯერი იყო.

იაპონიის გარდა, არ ვიცი, სხვაგან თუ არის ასეთი პრაქტიკა: სკოლის ბოლო კლასებში სპორტის გუნდურ სახეობებში მენეჯერობის. ანუ, როგორც იაპონელები ეძახიან, „მანეჯას“ პოზიციაა შემოღებული, რომელსაც ძირითადად გოგონები

ასრულებენ. „უდიპლომო" იმიტომ, რომ საშუალო კლასებში ანუ ჩუ-გაკკო-ში ასეთი პოზიცია, პრინციპში, არ არსებობს და სკოლის ორკესტრში დაკავებული ნაგისა თავისი სურვილით გვეხმარებოდა ხოლმე; ის კი არა, ხშირად შეჯიბრებებზეც კი დაგვყვებოდა ხოლმე. სხვათა შორის, გუნდის მენეჯერების კისერზე საკმაოდ დიდი დატვირთვაა: შეჯიბრების განრიგების ორგანიზება, შეტყობინებების გაგზავნა, ვარჯიშებზე სასმელი წყლის მომარაგება, მოთელვაში დახმარება, დაშავებულის პირველადი დახმარება და კიდევ ათასი რამ... მოკლედ, ნაგისა გუნდის სული და გული იყო და მას ყველანი ძალიან ვაფასებდით. ისეთ ახლობლად მივიჩნევდით, რომ ხშირად ბიჭებს ქალადაც არ მიგვაჩნდა, უფრო სწორად, მისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება თავშიც კი არასოდეს გაგვივლია, რაც ნაგისას, როგორც ყველა მანდილოსანს, მგონი, მაინცდამაინც არ სიამოვნებდა...

- თემუკა! ერთი 5 წელი მაინცაა, რაც არ მინახავხარ. მადლობა კომპლიმენტისათვის! როგორც იქნა, დავიმსახურე შენი ყურადღება, - ღიმილით მიპასუხა და თან მის თვალებში თითქოს რაღაც ფარულმა სევდამ გაიელვა.

- შენი ამბები როგორაა? - ვკითხე ჯერ კიდევ თვალებგაფართოებულმა.

- კარგად, აგერ უკვე 2 წელია, რაც უნივერსიტეტის სემპაისთან[19] ვმეგობრობ. ძალიან კეთილი და ყურადღებიანი ვინმეა. მგონი

---

[21] ***სემპაი*** - იაპონურად _ - სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის შემთხვევაში იგულისხმება უფროსი კლასელი ან უფროსი კურსელი, რომელიც აკვალიანებს უმცროცკლასელს ანუ „კოჰაის“.

სერიოზულად ვაპირებთ ამ ურთიერთობის გაგრძელებას. უცებ მიპასუხა, თითქოს ეს სიტყვა დიდი ხნის მომზადებული ჰქონდა.

- ძალიან მიხარია, აუცილებლად გამაცანი, იქნებ როგორმე ტოკიოში შევხვდეთ, და სადმე ჩავუსხდეთ, მადოკასაც დავუძახებ.

- ჰო, შენს ამბებს ნაკაიგავასგან ვიგებ ხოლმე, ძალიან აქო შენი გოგო, მაგრამ ისიც დაამატა, დიდი ხასიათიანი ვინმე ჩანსო, - ჩაეცინა.

- ხასიათიანი რომელია! ერთხელ ისე მომშალა, რომ გამწარებულმა მობილური დავამტვრიე. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ, როცა შესაკეთებლად მივიტანე, ეგრევე მითხრეს, ალბათ იჩხუბებდი შენს გოგოსთანო... შენნაირი შემთხვევები დღეგამოშვებით არისო... კარგი, ნუ გამახსენებ, მოდი ხელბურთს დავუბრუნდეთ: ნახე, როგორ გვასახელეს ჩემპიონატზე?!

- აბა! ძალიან იყოჩაღეს. თემუკა, სხვათა შორის, პატარა წვლილი ამაში მეც მიმიძღვის: გამოდის, ტყუილად არ მიწვალია და მარტო შენ გამო არ წამოვიწყე ეს მენეჯერობა! – და ამჯერად ფართოდ გაიღიმა და მის ღიმილში ისევ ძველი ნაგისა შემრჩა.

გულში და თავშიც ერთდროულად რაღაცამ დამკრა, პირდაღებული უხერხულად გავშტერდი და, ბედზე სუგავარას ხმა მოგვესმა: „მოდი, ყველამ ერთად სურათი გადავიღოთო“ და ჩვენც სკოლის სპორტული დიდების, ხელბურთის ქანდაკების სანახავად მივედით. ეს (იყო) ქვისგან გამოთლილი ბურთისა და ხელის გამოსახულება(. ქანდაკება) მას მერე დადგეს, რაც ტეშიროგიმ სრულიად იაპონიის სკოლების ჩემპიონატის ფინალში ითამაშა

სემპაი/კოჰაის ურთიერთობა საკმაოდ გავრცელებული იერარქიული ფენომენია იაპონიაში.

ხელბურთში. მართლაც რომ დიდი გამარჯვება იყო ამ რამდენიმე წლის წინ.

- ხედავ, რა შედეგი აჩვენეს ზენგოკუზე[20]? ყოჩაღ ჩვენები! - უცებ თქვა ნობორიმ და იქვე სუგავარამაც დაამატა: - ახლა ტეშიროგის სახელი იაპონიაში, ვინც კი ხელბურთთანაა დაკავშირებული, ყველამ იცის.

- ჰმ, ყველამ იცის... ჩვენ და ონომურა სენსეი თუ ვახსოვართ ვინმეს? - უცებ ვიღაცამ ჩაურთო, მგონი იუიამ.

- შენ სულ შენს თავზე ფიქრობ, ახსოვხართ - არ ახსოვხართ, რა მნიშვნელობა აქვს! რაც მთავარია, ჩვენ ხომ ვიცით, რაც გავაკეთეთ! ტეშიროგიში ხელბურთი ჩვენ წამოვიწყეთ და, მგონი, ყველა ჩვენგანისათვის ეს ბედნიერი და დაუვიწყარი წლები იყო! - უპასუხა კიკუჩიმ. ჩვენ მერე ონომურამაც მალე დაანება თავი, მაგ დროისათვის ხელბურთს ტეშიროგიში უკვე მაგრად ქონდა ფესვები გადგმული და მან ბუკაცუ ახალ მასწავლებელს მიანდო.

- ეგრეა, ეგრე - დაადასტურა ნაკაიგავამაც - ტეშიროგის გამარჯვება სკოლამ სათანადოდ აღნიშნა, სათითაოდ ყველა ახსენეს, ვისაც კი რამე წვლილი ჰქონდა შეტანილი ამ საქმეში... მოთამაშეებიდან მასწავლებლებამდე _ ყველას მადლობა გადაუხადეს... აი, ჩვენ და ონომურა კი გამოვრჩით, იქ ვიყავი და ცოტა გული დამწყდა, რომ არ გავახსენდით... - თუმცაღა, კიკუჩი მართალია: რა მნიშვნელობა აქვს... ნახეთ, ახლა ხელბურთის მოედანი უკვე მთლიანი კორტია და მოედანს ჰგავს, გამოსაცვლელ ოთახშიც რომ შევიხედე, თვალში მომხვდა ნივთების სიმრავლე... ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ტეშიროგიში ხელბურთთან

---

[22] ***ზენგოკუ*** **-** სრულიად იაპონიის სკოლათაშორისი ჩემპიონატი.

დამოკიდებულება სათანადო დონეზე ავიდა. რაც მთავარია, მარტო სკოლა კი არა, ჩვენი გუნდით ხომ მთელი უბანი ამაყობს. მართლაც, ეს სიხარული ტეშიროგიში ხომ ყველამ გაიზიარა!

სკოლაში ხალხი ნელ-ნელა გროვდებოდა: ძირითადად მოსწავლეები და სკოლის აქტივის წევრი მშობლები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტოკიოდან ცუკუბა არც თუ ისე შორსაა, სკოლაში კარგა ხანია, არ შემივლია. სანამ ყოფილი გუნდელები გულს იჯერებდნენ ერთმანეთთან მონატრებული ლაპარაკით, მე დრო ვიხელთე და სპორტული მოედნისაკენ გავემართე. როცა მივუახლოვდი, ტანში სასიამოვნო ნაღველი ჩამეღვარა და ადრეული გაზაფხულის სურნელმა ოდნავ გამაბრუა.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მეცვა, ჩემი რეგალებით[21] მყარად დავდგი ფეხი მოედანზე, ანუ, როგორც ჩვენ ყველანი ვეძახდით - „გრანდოზე“[22]. ფეხსაცმელი ადრე გაზაფხულის ახლად გამოლღობილ ნიადაგში ოდნავ ჩამეზილა. ტანში კარგად გავიმართე, თითქოს მინდოდა, რაც შეიძლება ღრმად ჩამესუნთქა სკოლის სურნელი. „გრანდოზე“ ფეხის დადგმასთან ერთად, სადღაც შორიდან ჩამესმა მორბენალი ფეხის ხმა, ჩვენი გუნდის მოთელვა, რასაც ჩემი გუნდელი სუგავარას „ერთი-ორი, ერთი-ორი“ თან სდევდა...

---

[23] ***რეგალი*** – იაპონური ფეხსაცმლის მწარმოებელი კომპანია.

[24] ***გრანდო*** – ამ შემთხვევაში - სკოლის მოედანი (ინგლისურიდან გადმოტანილი).

გახსენება. ახალი სკოლა, ახალი ქვეყანა
და ფეხბურთის წლები

ონომურა სენსეი

ონომურა-სენსეი ჩვენი სკოლის მასწავლებელი იყო რომელთანაც საკმაოდ ახლობლური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. მის ცოლსაც კარგად ვიცნობდი და სკოლის დამთავრების შემდეგაც კი ურთიერთობას არ ვწყვეტდი. ერთხელ ერთი ორი წლის წინ, მათთან სტუმრობისას სადილზე ჩვეულებრივ სკოლის წლები გავიხსენეთ და ონომურამ თავის შესახებ მომიყვა. მომიყვა თუ როგორ აღმოჩნდა ჩვენთან და საერთოდ ტეშიროგის შესახებ. თურმე ტეშიროგიში თავიდან მას საკმაო სიძნელეების გადალახვა მოუწია. მას ახალ სკოლაში ანუ ტეშიროგიში, გადასვლისთანავე პრობლემები შეექმნა. რატომღაც მოსწავლეების ერთმა ჯგუფმა ეგრევე აითვალწუნა და ახლად გადმოსულ მასწავლებელს ყოველდღე ახალ-ახალ პრობლემებს ახვედრებდნენ. მართლაც რომ ძალიან ამწარებდნენ, საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ ჩოგბურთის ბუკაცუზე[23], რომელსაც ონომურა ხელმძღვანელობდა, მოსწავლეები მას საერთოდ აღარ უჯერებდნენ, თვითონ ვარჯიშობდნენ და მას იგნორირებას უკეთებდნენ. ბუნებით რბილი კაცი ასაკით უკვე 50-ს იყო

---

[25] ***ბუკაცუ*** - სკოლასთან არსებული სხვადასხვა კლასგარეშე წრეები (ძირითადად სპორტული, მუსიკალური, სამეცნიერო და სხვა სექციები), რომელშიც ყველა მოსწავლეა გაერთიანებული.

გადაცილებული და მისთვის სკოლაში ყოველი დღე წამებასავით იყო... ისიც ყოველ დილას დამძიმებული გულით მიდიოდა სკოლისაკენ. განსაკუთრებით გოგოები აქტიურობდნენ და მასწავლებელს ხან რასა და ხან რას ედავებოდნენ ხოლმე. თვითონ მათემატიკის მასწავლებელი იყო და გაკვეთილებზეც „ვერ ვიგებთ“, „რატომ დამიწერეთ დაბალი ნიშანი“ და ამ ტიპის მსგავსი ფრაზები ხშირად ისმოდა. ონომურამ უკვე აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ყველანაირი ხერხი ამოწურა, რომ მოსწავლეები შემოერიგებინა და საერთო ენა გამოენახა. მაგრამ მათთან არავითარი მიდგომა არ ჭრიდა _ არც კეთილი და არც მკაცრი. სხვა მასწავლებლებამდეც მივიდა ეს ამბავი, მაგრამ დიდად ვერც მათ უშველეს ვერაფრით. ზოგს თავისი საქმეები ჰქონდა თავზე საყრელად და მისთვის არ ეცალა, ზოგი არც იცნობდა წესიერად და არ უნდოდა ჩარევა. რამდენიმე მასწავლებელმა თითქოს სცადა დახმარება, ჭკუის დარიგება, მაგრამ ფუჭად: მდგომარეობა არ იცვლებოდა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ონომურას სახლშიც მივიდა და მისი ცოლიც საკმაო განცდებში იყო.

სკოლის კრება

ერთხელ, სასწავლო წლის დასაწყისის წინა დღეებში, სკოლის დირექტორმა კანეკო-სენსეიმ მორიგ კრებაზე მასწავლებლებს მიმართა, ჩემთან ახლად ჩარიცხული მოსწავლეების მშობლები მოვიდნენ და ხელბურთის ბუკაცუს გახსნა მთხოვეს... ამ განცხადებამ მოსალოდნელი რეაქცია მოახდინა და მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა იქ შეკრებილები.

- რაა, ახალი ბუკაცუ? თითქოს ყველა პოპულარული ბუკაცუ გვაქვს?! - წარმოთქვა ინგლისურის მასწავლებელმა.

- ჩვენი მოსწავლეები ისედაც ბედნიერები არიან და არ უნდათ ახალი ბუკაცუს გახსნა! - აუბა მხარი კონსერვატორმა მშობლიური ენის მასწავლებელმა.

კანეკო-სენსეიმ დიპლომატიურად გააგრძელა:

- თავიდან მეც ამდაგვარი პასუხი გავეცი მშობლებს, თან „ხელბურთი“ საერთოდ გაგონილიც არ მაქვს... როგორც ამიხსნეს, ფეხბურთია, ოღონდაც ხელით უნდა ითამაშოო, ან იგივე კალათბურთი, მაგრამ კალათის მაგივრად კარი და მეკარეაო... ჰოდა, ვერაფერი გავიგე და ვუპასუხე: ფეხბურთიცა გვაქვს და კალათბურთიც და ორივე ბუკაცუში შედით თუ გინდათ-თქო... მაგრამ მათ სახეებს რომ შევხედე, მივხვდი, რომ მაინცდამაინც ამ კალათბურთსა და ფეხბურთს შორის უნდათ არჩევა. ახალი ბუკაცუს გახსნა დიდი სირთულე არ უნდა იყოს, თან _ ან შეკრებენ ხალხს, ან _ ვერა, ჰოდა, მოდი, უარს ნუ ვეტყვით და ავუსრულოთ ნატვრა, იქნებ ერთი-ორი მოყვარულიც იპოვონ - უცებ, თითქოსდა თავისდაუნებურად, წამოსცდა ონომურას.

- რატომ უნდა ვიაროთ მათ სურვილებზე, აქედანვე თუ დაიწყეს, ვინ იცის, მერე და მერე რას მოგვთხოვენ! - თქვა იაპონურმა.

- მართალია, ისედაც ბევრი რამ ავუსრულეთ... თან სხვა მოსწავლეები და მათი მშობლები რას იფიქრებენ?! ხომ გვეტყვიან, რატომ აყენებთ ამ ხელბურთელებს სხვებზე მაღლაო? - დაამატა ინგლისურმა.

- დასაწყისში სემპაებიც (ანუ უფროსებიც) არ ეყოლებათ! ყველაფერს რომ ვუსრულებთ, იმიტომაცაა ჩვენი საქმე კარგად! - ახლა ჩაერია სხვაც და ასე ატყდა ერთი ჩოჩქოლი.

უცებ ყველა დირექტორის ხმამ დააშოშმინა:

- საკმარისია, მე მივიღე გადაწყვეტილება და მივცემ მათ ამის საშუალებას. მერე გამოჩნდება, მართალი ვიყავი თუ არა. ისე, რას ვკარგავთ, დაველოდოთ ერთი-ორი თვე და თუ ვერ იმუშავა, ორ კინკილა ბავშვს სხვადასხვა ბუკაცუში გადავანაწილებთ და საქმეც ამით მორჩება. მით უმეტეს, რომ ისეთი უნივერსალური სპორტი ყოფილა, რომ ყველაფრის თამაშს შეძლებენ. მოდით ამ საქმის სათავეში ჩადგომა ონომურა-სენსეის ვთხოვოთ, ერთადერთი პოზიტიური აზრი მარტო მაგან გამოთქვა.

- მე ხელბურთი საერთოდ პირველად გავიგე! - თქვა გაკვირვებით ონომურამ.

- ონომურა სენსეი, არა უშავს, არც ჩვენ ვართ დიდი ხელბურთელები: აიღეთ წიგნები, ვიდეომასალა, მადლობა ღმერთს, ინტერნეტიც არსებობს... ჰოდა, მოემზადეთ. აი, უსუი-სენსეიმ ეგრე ისწავლა სპორტული ორიენტირება და დღეს ჩვენები პრეფექტურის შეჯიბრებებზე წარმატებებსაც კი აღწევენ!

- მიაღწევენ, აბა რა იქნება, მაგათ გარდა სპორტულ ორიენტირებაში ჩვენს პრეფექტურაში არავინაა... - უკბინა ფიზაღზრდის მასწავლებელმა.

- ჰოდა, თქვენს ჩოგბურთის ბუკაცუს სპორტის სენსეის გადავცემთ და თუ ხელბურთი არ გამოვიდა, რამე სხვა ბუკაცუს ჩაგაბარებთ ან უკან დაგაბრუნებთ ჩოგბურთში.

ონომურას ჩოგბურთის გაგონებაზე გააჟრიალა და წარმოთქვა: „მე თანახმა ვარო“.

ონომურას პირველი შეხვედრა ხელბურთელებთან და პირველი გუნდის შეკოწიწება.

მეორე დღეს სკოლის დირექტორმა კანეკო სენსეიმ ახლადგამომცხვარი ტეშიროგელები (პირველკლასელები): მე, ნაკაიგავა, იუია და ჩუმა დაგვიბარა. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ნაგისაც მოგვყვა.

დირექტორის კაბინეტში შესვლისას ყველანი ვნერვიულობდით, დარწმუნებულები ვიყავით, რომ კანეკო-სენსეი უარით გამოგვისტუმრებდა და ხელბურთს არ შემოიტანდა. ჩვენში ყველაზე მაგრად ნაგისა იდგა, ეტყობოდა, რომ ბედს ადვილად არ შეურიგდებოდა და ბოლომდე აპირებდა „ბრძოლას". ოთახში კოჩო სენსეისთან ერთად ონომურა-სენსეიც იყო და ეს სიტუაციას კიდევ უფრო ოფიციალურს ხდიდა. მცირეოდენი პაუზის მერე კანეკო-სენსეიმ მოგვმართა: „ერთი გამაგებინეთ, ეს ხელბურთი რაა და ასე ძალიან რატომ გინდათ თამაშიო“. როცა ჩვენ ერთხმად დავუწყეთ ახსნა, ცოტახანი გვაცადა, მცირეოდენი ღიმილით თვალი ადევნა ჩვენს ემოციურ აყალმაყალს, მერე გაგვაჩერა და გვითხრა: „კარგი, ეგრე იყოს და სცადეთ, აი, ონომურა-სენსეი გიხელმძღვანელებთ. ოღონდ ბუკაცუში ერთი 9-10 კაცი მაინც თუ არ შეკრიბეთ, მაშინ არ შედგება და სხვაგან გადანაწილდებითო“. ონომურა-სენსეიმ _ „პირველი შეკრება სამ დღეში გექნებათ და, იმედია, გუნდი შედგებაო“, - თქვა და მიგვანიშნა, რომ შეხვედრა დამთავრებული იყო.

ჩვენ, ცოტა არ იყოს, გაგვაოგნა კანეკო-სენსეის ასეთმა უეცარმა დასტურმა, თან მის ოფისში უხერხულად ვიყავით და სიხარულის გამოხატვა ვერ გავბედეთ. მაგრამ, აი, როცა ოფისის კარი მოიხურა,

„იატაა!!!“[24] - ჩვენი ყიჟინა მგონი მეზობელ ქალაქში მოესმათ. რა თქმა უნდა, ამხელა შეძახილს კაბინეტის კარები და თხელი კედლები ვერ შეაკავებდნენ დაჩვენი აღტაცებული ხმები დირექტორის ოთახშიც შევარდა. დირექტორის ოთახის კარებიდან შემცბარმა ონომურამ გამოიხედა და გვანიშნა ჩქარა გაეცალეთ აქაურობასო. კანეკო სენსეი კი ალბათ ჩვენს ასეთ ასეთ რეაქციას ის, რასაკვირველია, ელოდა; აბა რის დირექტორი იყო!

აღგზნებულები გარეთ გამოვცვივდით, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ცოტა სული რომ მოვითქვით და რეალობას გავუსწორეთ თვალი, მივხვდით, თუ რა სიძნელეები იყო გადასალახავი: სულ ოთხნი ვიყავით და კიდევ 6 კაცი მაინც გვჭირდებოდა... არადა, ხალხის დაყოლიება არც ისე იოლი საქმე იყო, ვინაიდან უმეტესობას მომავალ ბუკაცუსთან დაკავშირებით უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. თან დროც არ ითმენდა; ეს ამბავი ხომ სამ დღეში უნდა მოგვესწრო. ყველას თავში დაიწყო კანდიდატების „სკანირება“, პირველ რიგში, მე უცხოელები გამახსენდა, ბრაზილიელი დენიში და რუმინელი ადრიანი. მაგრამ მეორე კანდიდატურა ეგრევე გამოირიცხა: ჩემზე ერთი წლით უფროსი ადრიანი, ჯერ ერთი, რომ ფეხბურთზე დადიოდა, მეორე და მთავარი: არდადეგებზე რუმინეთში იყო წასული და უკან ოთხ დღეში ბრუნდებოდა. მოკლედ, ბიჭებმა და, რა თქმა უნდა, ნაგისამ, ფუნქციები გადავინაწილეთ: დავიყავით და მომავალ ხელბურთელებზე „სანადიროდ" წავედით. ნაგისამ თავის ნაცნობებს გონებაში ერთი სამჯერ მაინც აუარ-ჩაუარა და მიხვდა, რომ ძირითადად მუსიკოსებს იცნობდა... მათ კი ნაღდად ვერ დაიყოლიებდა... ჰოდა, გადაწყვიტა, რომ ხალხის ძებნისა და

[26] *იატაა!* -იაპონური_ ომახიანი შეძახილი

დაყოლიების ნაცვლად, სკოლის ბუკაცუს დღისათვის, სადაც საბოლოოდ ხდებოდა გადანაწილებები, დიდი განცხადება-ფოსტერი მოემზადებინა ნაკაიგავასთან ერთად. ესეც საჩქარო საქმე იყო იმიტომ, რომ ბუკაცუს დღე სულ ახლოს იყო _ სულ რამდენიმე დღეში.

მომავალი გუნდის წევრებზე „ნადირობა“

მე იმავე საღამოს ჩემს ყველაზე „ძლიერ კანდიდატთან“, დენიშთან მივედი, კარები დედამისმა, ელიზაბეტმა გამიღო. დენიშის დედა ძალიან კეთილი ქალი იყო. ჩვენი ოჯახებიც მეგობრობდნენ, ჰოდა, ჩემს დანახვაზე გახარებულმა ელიზაბეტმა თავისებური აქცენტით შემომძახა „თემუუკა!" და ეგრევე საჭმელი შემომთავაზა.

- არა, გმადლობთ, მეჩქარება, დენიში სად არის? - საქმიანად ვუპასუხე.

- აბა, სად იქნება, - თავის ოთახში, როგორც ყოველთვის.

- შეიძლება?

- რა თქმა უნდა. მიდი, იქნებ გარეთ გაიყვანო, ან ფეხბურთი ათამაშე, ან სადმე გაისეირნეთ.

დენიში, როგორც ყოველთვის, გეიმში იყო „ჩაძირული“ და ეტყობოდა, რომ ზედმეტი მონდომებით თვალებსაც ძალას ატანდა, ამ გეიმების გამუდმებულმა თამაშმა მას, მგონი, მხედველობაც კი გაუფუჭა.

- დენიშ, ბუკაცუზე რას აპირებ?

- ჯერ არ გადამიწყვეტია! _ ისე მიპასუხა, რომ თამაში არ შეუწყვეტია.

- იქნებ ხელბურთში შემოხვიდე?

- ...რატომაც არა, შემოვალ, - მითხრა გარკვეული პაუზის შემდეგ, რომელიც უფრო თამაშზე იყო დამოკიდებული, ვიდრე იმის ფიქრზე, შევიდოდა თუ არა ხელბურთზე.

- მართლა? - იმედჩასახული ჩავეკითხე.

- ჰო მართლა, უემოციოდ თქვა და თამაშზე კონცენტრირებულმა ზედმეტი მონდომებით ენაც კი გამოყო.

- ჰოდა, მაშინ ზეგ მოდი პირველ ვარჯიშზე 9-ზე, არ დაგავიწყდეს, კარგი?!

- ჰო, არ დამავიწყდება. ისე მიპასუხა, რომ თამაშს, რა თქმა უნდა, არც მოწყდა.

ჰიროკიმ ეგრევე უარი მითხრა: „მე ფეხბურთი უნდა გავაგრძელო, ბოლო თამაშმა მაგარი რწმენა გამიჩინა და ნახე, როგორ ვითამაშებო“. მეზობელმა სომეიამ _ „ბეისბოლი“ თუ არ ვითამაშე, ხომ იცი, მამაჩემს და ბებიაჩემს ვერ გადავურჩებიო“...

საქმე ისე ვერ მიდიოდა, როგორც მე მინდოდა. ჯერჯერობით დენიშის მეტი ვერავინ დავიყოლიე და გულში მასზეც ეჭვი მეპარებოდა: ჯერ ერთი, გეიმში ჩაფლულს მეორე დღეს, მგონი, აღარც ემახსოვრებოდა ჩვენი საუბარი და მეორე: რომც ხსომებოდა, დენიშისთვის შაბათს დილის 9 საათზე გაღვიძება წარმოუდგენლად მიმაჩნდა... ჰოდა, სხვა გზა რომ არ მქონდა, საქმეში ბოლო იმედი, „დრაგონ ბოლის" კარტები ჩავრთე. ერთი 6 თვე ვაგროვებდი და კოლექციაში რამდენიმე იშვიათი ნიმუშიც მქონდა. ჰოდა, ავიღე ჩემი კარტები და ჩემს მეგობარ ჩუმასთან ერთად ჰიროიას მივაშურე. კარები ჰიროიამ გამიღო:

- ვა, თემუკა, ჩუმა, აქეთ საიდან მოხვდით?

ჩვენ უდარდელი სახე მივიღეთ და მე, ვითომც არაფერიო, წამოვიწყე:

- აქეთ ვსეირნობდით და გადავწყვიტეთ შენთან შემოვლა, რამე ახალი კარტი ხომ არა გაქვს?

- კი მაგრამ, მთელი ჩემი კარტები ორი დღის წინ არ განახე? ჰოდა, ასე მალე ახალი და თანაც საინტერესო საიდან მექნება, - გვიპასუხა გაკვირვებულმა ჰიროიამ. მე დაბნეულობა არ შევიმჩნიე და არ დავნებდი:

- აი, ჩუმასაც დააინტერესა და კარტების შეგროვებას აპირებს. ჰო ჩუმა?

- ჰო, აბა რა? ძალიან მაინტერესებს და შეგროვებას ვიწყებ! - სულმოუთქმელად მიპასუხა ჩუმამ, თითქოს მალე რომ არ ეპასუხა, არავინ დაუჯერებდა. აბა, მეც კიდევ ერთხელ მაჩვენე, კარგად აღარ მახსოვს-მეთქი - ვუთხარი.

ჰიროიამ კარტები გადმოიღო და ბიჭებმა თვალიერება დავიწყეთ, მეც ამოვალაგე ჩემი საამაყო კოლექცია. ჰო, მართლა, ხელბურთის ბუკაცუს ვაყალიბებთ და შენც ხომ არ შემოხვალ? - ვკითხე ვითომ გულგრილად.

- ხელბურთი? არა, ეგ ჩემი საქმე არ არის.

- იქნებ სცადო და მოგეწონება ნამდვილად! იმედით შევძახე, რასაც ჩუმამ ასევე სულმოუთქმელად დააყოლა - ნამდვილად მოგეწონება!

- რა ვიცი, ვცდი... აი, თუ კარტებს გამიცვლი, მოვიფიქრებ.

- აი, ამ კარტს მოგცემ, ნახე, რა მაგარია.

- ეგ არა, აი ამ კარტს კი ნამდვილად გაგიცვლიდი.

ეს თქვა და ჩემს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ კარტს დაადო ხელი. ცოტა ვიყოყმანე, გულში ჩავიქნიე ხელი და... კარტი გავუწოდე.

- ჰო, კარგი, გავცვალოთ, მაგრამ აუცილებლად მოდი, კარგი! და სანამ ჰიროიას დასტური არ მივიღე, კარტს ხელი არ გავუშვი.

- ჰო, კარგი, კარგი, - გამომგლიჯა გახარებულმა კარტი, - რა მაგარია! - იძახდა აღფრთოვანებული ჰიროია.

ჰიროიასაგან კმაყოფილები წამოვედით. კარტს არას დავეძებდი. ესეც ასე: ორი კაცი ძლივს შევაგროვე და ისიც ბოლომდე არ ვიცით, მოვლენ თუ არა. დენიშის არ ვიცი, მაგრამ ჰიროია თუ არ მოვა, მერე თავის თავს დააბრალოს, ნახოს, რას ვუზამ! - დავაყოლე გულიანად და ჩუმას დასტურიც მივიღე.

ბუკაცუს დღე და ხელბურთის ფოსტერი[25]

იმავე საღამოს ნაგისამ, იუიამ და ნაკაიგავამ პოსტერზე დაიწყეს „მუშაობა". ნაგისამ ტექსტი მოიგონა და ძალიან დიდი მონდომებით ლამაზად დაწერა, ნაკაიგავა და იუია გვერდზე იდგნენ და ყოველნაირად აქებდნენ ნაგისას შემოქმედებას. მეორე დღეს ხომ სკოლაში უნდა გაეკრათ და მოეზიდათ ბიჭები. იდეა ისეთი იყო, რომ ტექსტის გვერდზე ხელბურთელის გამოსახულება უნდა მიეწებებინათ. გამოსახულებაც მზად იყო და მარტო დაკვრა უნდოდა. ნაგისამ დაწერას დიდი დრო მოანდომა და კინაღამ გამორჩა მუსიკის გაკვეთილი. შეშინებული წამოხტა და ბიჭებს დაუბარა: „მე უნდა გავიქცე და თქვენ უნდა დაამთავროთ ფოსტერი, მარტო ხელბურთელის მიწებებაა საჭირო და აბა თქვენ იცითო“.

---

[27] *ფოსტერი* - პლაკატი.

- ნაგისა, შენ მაგაზე არ იდარდო, რა პრობლემაა, ისეთი ფოსტერი იქნება, რომ მგონი მოხალისეებს ვერ აუვალთ და აქეთ სახვეწარი გაგვიხდება, ნუღა ჩაეწერებით ხელბურთზეო! -უპასუხა ნაკაიგავამ.

- ჰო და ასე ვეტყვით, უკვე ადგილი არ გვაქვს და ფეხბურთზე ან კალათბურთზე გადანაწილდითო - არ დააკლო იუიამაც.

- იოცნებეთ იოცნებეთ, იცოდეთ, კარგად დააწებეთ, თორემ ვერ გადამირჩებით! - დაამატა ნაგისამ ოთახიდან გასვლისას.

როგორც კი ჩაიგდეს ხელში საქმე, ნაკაიგავამ და იუიამ დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ უნდა მიეწებებინათ ხელბურთელი სწორად და ლაპარაკი კამათში გადაეზარდათ, არა, ასე არა - ისე უნდა წაუსვაო, და შენ არ იცი მე წავუსვამო... ასე ძიძგილაობაში იუიამ ნაკაიგავას ჰკრა იდაყვი და ნაკაიგავაც ხელით პირდაპირ წებოიანი ხელბურთელის გამოსახულებას მიეკრა. საწყალი ხელბურთელი დაიჭმუჭნა და ალაგ-ალაგ დაიხა კიდეც.

- აუ ეს რა ჰქენი! - წამოიძახა შეშინებულმა იუიუამ.

- მე კი არა, შენ ჰქენი! - უპასუხა გაფითრებულმა ნაკაიგავამ და მიკრული ხელის გათავისუფლება სცადა. ხელბურთელის ნაწილი ნაკაიგავას ხელზე შერჩა...

- რა ვქნათ ახლა? - ჩაილაპარაკა დადარდიანებულმა. არც ერთს ფერი აღარ ედო სახეზე. - დროც არ გვაქვს... მოდი, ნაგისას დავუძახოთ - შესთავაზა იუიამ.

- რას ამბობ! ხომ არ გაგიჟდი, ხომ იცი, როგორია, რა დღეში ჩაგვაგდებს! -წამოიძახა ნაკაიგავამ, - მოდი, გავასწოროთ და მერე რაც აკლია, მივახატოთ, შენ ხომ ხატვა გეხერხება! -იმედიანად უთხრა ნაკაიგავამ იუიას.

- კარგი, ვცადოთ, - დაჭმუჭნულ-დახეული ხელბურთელი ნაწილ-ნაწილ მიაწებეს და დაიწყეს დაკარგული ნაწილების მიხატვა.

რაც უფრო მეტს ასწორებდნენ, მით უფრო უარესდებოდა ხელბურთელის სილუეტი. ბოლოსდაბოლოს, ხელბურთელს დაკარგული ხელი და ბურთი მიახატეს და მერე, მცირე ყოყმანის შემდეგ, ორმა ძმაკაცმა გადაწყვიტა, რომ პოსტერს არა უშავდა და სკოლაში გამოსაფენად მზად იყო.

მეორე დღეს სკოლაში, გაკვეთილების მერე, სხვადასხვა ბუკაცუმ თავთავიანთი კუთხე მოაწყო და მათი წევრები აქტიურად მუშაობდნენ ხალხის მისაზიდად. ხელბურთელებიც იქვე ვიყავით, ერთი მერხი, ორი სკამი ხელბურთის ბურთი და ფოსტერი გავაკარით. პოსტერმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხელბურთელებთან ყველაზე მეტი ხალხი იდგა დახარხარებდა. ნაგისა ჯერ მუსიკოსებთან მივიდა და მერე, როცა ხელბურთელებთან შეკრებილი ხალხი დაინახა, გაუხარდა და სიხარულით იქითკენ გაექანა. მაგრამ როცა პოსტერს გაუსწორდა და ხელბურთელი დაინახა, სიმწრისაგან ცრემლები წამოუვიდა... ხელბურთელს ხელი არაბუნებრივად ჰქონდა მიხატული და თან ბურთის მაგვარი შავი ლაქა ამშვენებდა. იუია და ნაკაიგავა დამნაშავე სახეებით იდგნენ და ნაგისას მზერას ერიდებოდნენ. ასე იყო თუ ისე, ამ ორიგინალურმა პოსტერმა თავისი სიტყვა თქვა და ჩვენს კუთხეს მაქსიმალურად ბევრი ხალხი ესტუმრა. ძირითადად ისტერიული სიცილი ისმოდა. თუმცა, მე და ჩემმა მეგობრებმა უკან აღარ დავიხიეთ, არ დავიბენით და ზოგს ხელბურთის ბურთი ვასროლინეთ, ზოგსაც კი ხელბურთის ქებით ტვინი გავუბურღეთ. ფოსტერის მთავარი დამსახურება ის იყო, რომ მის სანახავად მთელი სკოლა მოვიდა და, მეტ-ნაკლებად, ხელბურთი ყველას გავაცანით. რაც შეეხება შედეგს, ამას შემდეგ დილას, პირველი ვარჯიშის დროს თუ გავიგებდით...

„To be or not to be“

აი, დათქმული შაბათი დღეც დადგა და პირველები , რაღა თქმა უნდა, ნაკაიგავა და მე მივედით. ცოტა ხანში ონომურა სენსეიც გამოჩნდა და ოდნავ მოგვიანებით _ იუია, ჩუმა და ნაგისაც შემოგვიერთდნენ. ონომურა სენსეი კარგ ხასიათზე იყო და გვამხნევებდა, ხალხი აუცილებლად ჩაეწერებაო. და აი, გამოჩნდნენ კიდეც. ჩვენკენ რამდენიმე ბიჭი მოდიოდა. ყველანი სიმაღლით პატარები იყვნენ. ერთი კიკუჩი იყო შედარებით კარგი სიმაღლის.

- თემუკა, ნახე, კიკუჩია მოსული. მითხრა ნაკაიგავამ. -ჰო, ვიცნობ. ცოტა აცვენილია მაგრამ, ისეთი ბიჭია, გაჭირვებაში რომ არ მიგატოვებს. ჰიროია დამპირდა მოვალო და მაგის საფასურად ჩემი საუკეთესო კარტი მივეცი, ეგ კი არ ჩანს... ნახე მაგას რა ვუქნა! დავამატე გაბრაზებულმა და გავაგრძელე - დენიშიც შემპირდა, ნეტა თუ მოვა? ნამეტანი ჩართულია თავის გეიმებში და დღე და ღამე მაგას თამაშობს. გული დამწყდა, რომ თამაში არ გავაწყვეტინე და ისე არ ჩამოვართვი სიტყვა. ისე იყო გართული, რომ ალბათ ჩემი მისვლა და ხელბურთზე ლაპარაკი აღარც კი ახსოვდა.

კიკუჩის გვერდზე სუგავარა იდგა. სუგავარა მეგონა სიმღერაზე ან მუსიკაზე შევიდოდა; ისეთი ხმა აქვს, მგონი, თვითონაც ძალიან მოსწონს. შეხედე, მოტოკი და ნობორიც აქ არიან, სიმაღლით ძალიან პატარები არიან. ნობორი ვიცი, რომ მოთხილამურეა, შარშან თხილამურებზე ერთად ვიყავით და ძალიან მაგრად დგას!

მოსულებს ონომურა სენსეი მიესალმა.

- კარგი ჰქენით, რომ შემოხვედით. იქნებ ისიც მითხრათ, რატომ აირჩიეთ ხელბურთი?

სუგავარამაც არ დამალა თავისი ბუნებრივი მონაცემები და გვიპასუხა: მართალია, მე კარგი ხმა მაქვს და ვარჯიშის წაყვანა მიყვარს, „ერთი, ორი, ერთი, ორი" რომ ვიძახო, საკმარისია. სხვაგან მსგავსი „პოზიცია" ყველგან დაკავებული იყო, განცხადება ვნახე და ვიფიქრე, რომ ძალიან კარგად მოვერგები ამ ხელბურთს მეთქი, თანაც თემუკასთან და ნაკაიგავასთან ვმეგობრობ.

- მე მოთხილამურე ვარ და მარტო ზამთარში თუ ვსრიალებ, ჰოდა ვიფიქრე ხელბურთში შემოსვლა, - არც დაფიქრებულა, ისე დააყოლა ნობორიმ.

მოტოკი ძალიან კარგად სწავლობდა, რის გამოც პროფესორას სახელი დაიმკვიდრა. ყველას ეგონა, რომ კაგაკუ-ბუ-ში[26] ანუ სამეცნიერო წრეში შევიდოდა.

- როგორც კი გაკრული განცხადება დავინახე, ხელბურთზე ინფორმაცია შევისწავლე. საინტერესო სპორტი ჩანს, სწორი ტაქტიკა და ბევრი გათვლებია საჭირო, თამაში რომ მოიგო, ასე რომ, ძალიან დავინტერესდი - ისე დაბეჯითებით თქვა, რომ ნაკაიგავას გადავხედე და ჩურჩულით ვუთხარი: „ნაკაიგავა, მგონი, მე და შენ მათემატიკისა და პროგრამირების სწავლა სერიოზულად უნდა დავიწყოთ, თორემ ხელბურთს ნორმალურად ვეღარ ვითამაშებთ"...

- შენ, კიკუჩი?

- მე ნებისმიერი თამაში მიყვარს და სულ ერთი იყო, სად შევიდოდი. როცა დავინახე, რომ ხალხი გჭირდებოდათ, ავდექი და მოვედი.

---

[26] ***კაგაკუ-ბუ*** - იაპონური. სკოლის ბუკაცუში არსებული სამეცნიერო სექცია.

- კიკუჩი, მაგარი ხარ, მადლობა! - ვუთხარი და ნაკაიგავასთან ერთად კიდევ ერთხელ გადავითვალეთ მოსულები, თითქოს 8 კაცის ბევრჯერ გადათვლით რამე შეიცვლებოდა.

კიდევ ერთი კაცი მაინც გვჭირდებოდა რომ გუნდი შემდგარიყო. ონომურამ - წესი წესია და ერთი კაცი კიდევ უნდა იყოს, რომ კანეკო-სენსეის მოვახსენოო... და ჩვენთან ერთად, მგონი, თვითონაც დაიწყო ნერვიულობა. - ნუთუ მეტი არავინ მოვა? - ჩაერთო იუია, - ეჰ რამდენი შრომა და იმედი ჩაგვეყარა წყალში, - ჩაიბუტბუტა ჩუმამ და დაბალ ხმაზე სადღაც გაგონილი შექსპირის ფრაზა დააყოლა იაპონური აქცენტით: To be or not to be, this is a question!

- მოიცა, დრო კიდევ გვაქვს, - გულს არ იტეხდა ნაკაიგავა. ამ ლაპარაკში იყვნენ და უცებ ჩემი აღტაცებული შეძახილი გაისმა: „მოდის! მოდის!“ To be! To be! სკოლის ბოლოში დენიში გამოჩნდა. ისე მოაბიჯებდა, თითქოს ოლიმპიური ჩემპიონი ყოფილიყო ხელბურთში. ძალაუნებურად ყველას სიხარულის ჟრიამული ამოხდა, იმ წუთში ასე ძალიან, მგონი, არც ჯეკი ჩანის და არც ვინმე სხვა ცნობილი ადამიანის დანახვა გაგვახარებდა... აღარც ჰიროია მახსოვდა და აღარც ჩემს საუკეთესო კარტის გაცვლას დავეძებდი. დენიშს შემოვეხვიეთ და იმანაც მოგვიბოდიშა: დედაჩემს ვუთხარი, ხვალ ტესტი მაქვს და იმანაც შეშინებულმა მაღვიძა და მაღვიძა, რომ არ დამეგვიანაო. ონომურამაც შვებით ამოისუნთქა და კმაყოფილი იღიმებოდა, მერე უცებ სერიოზული დაიჭირა და თქვა, ორშაბათს პირველ ვარჯიშზე ვიკრიბებითო. მაშ ასე, გუნდი შედგა და ჩვენს სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა.

ონომურა და ხელბურთის ანაბანა

ონომურა სახლში გახარებული მივიდა და ცოლს სადილის დროს თავისი სიხარული გაუზიარა: შიზუკო, გუნდი შედგა და ხელბურთის ბუკაცუს უნდა ჩავუდგე სათავეში, თან ცოტა წაიტრაბახა, ვინაიდან პირველად ვიწყებთ ხელბურთს, ყველამ უარი თქვა და მე ძლივს დამითანხმესო... დიდი პასუხისმგებლობაა და, იმედია, თავს გავართმევ.

- კი მაგრამ, ეს ხელბურთი რა სპორტია? - ჰკითხა ცოლმა.

- ხელბურთი იგივე ფეხბურთია მაგრამ ხელით თამაშობენ, ან კალათბურთია და კალათის მაგივრად კარებია - ნიშნისმოგებით გაიმეორა სკოლის დირექტორის სიტყვები ონომურამ. მეტს ვერც დაამატებდა, ვინაიდან თავადაც არაფერი გაეგებოდა ხელბურთისა. ამ სიტყვების მერე, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდა: ვარჯიში როგორ უნდა ჩაეტარებინა, ნამდვილად არ იცოდა... მერე კიდევ: ერთი პრობლემა უნდა გადაეჭრათ _ სავარჯიშო ადგილი... თუმცა, სავარჯიშო ადგილზე ძალიან გაუმართლათ: ერთი ჩოგბურთის კორტი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და კარგა ხანია, იქ არავინ ვარჯიშობდა. ამ ადგილის აღება, პრინციპში, შეიძლებოდა, მაგრამ ის ნაწილობრივ ბეისბოლის მოედანს ებჯინებოდა და ძალაუნებურად ბეისბოლისტებთან სახვეწარი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა რომ უკვე ძილის დრო ახლოვდებოდა, ონომურამ ცოლს უთხრა, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო მაქვსო, მიუჯდა ინტერნეტს და დაიწყო ხელბურთზე ინფორმაციის ძიება. დიდი მონდომების მერე მიხვდა, რომ ინგლისურად სიტყვა „წაუიაპონურა“ და HANDOBALL-ში O ზედმეტი იყო. და აი, მეორე ცდით HANDBALL-ი სწორად შეიტანა.

პირველად ამერიკული ხელბურთი ამოვიდა (რომელსაც ნამდვილ ხელბურთთან საერთო არაფერი აქვს) და დაიწყო ონომურამ ამერიკული ხელბურთის შესწავლა! თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ამ საქმეს, ძირითად მოძრაობებს იმეორებდა, ცოტა კი ეპარებოდა ეჭვი, რაღაც მაინცდამაინც ვერც ფეხბურთს და, მით უმეტეს, ვერც კალათბურთს ვერ მიამსგავსა. მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ინტერნეტის ინფორმაციას ბოლომდე მიენდო. საკმაოდ დაღლილი იყო და უკვე მალე აპირებდა დაძინებას, რომ კიდევ ერთხელ ჩაათვალიერა ინტერნეტში ამოსული ინფორმაცია და... უცებ ევროპულ ხელბურთს მიაგნო! ახლა უკვე ონომურა საგონებელში ჩავარდა, მგონი ეს ევროპული სპორტი უფრო ახლოს იყო კოჩო-სენსეის ინფორმაციასთან: თამაშს ორი კარი ჰქონდა და გოლებიც გაჰქონდათ. ონომურას ჯერ ცივმა ოფლმა დაასხა, როცა წარმოიდგინა, რომ ორშაბათს სხვა ხელბურთზე დაუწყებდა გუნდს საუბარს... ბოლოს შვებით ამოისუნთქა: კი, ნამდვილად ეს უნდა იყოს. „კიდევ კარგი, რომ შემთხვევით ვიპოვე, თორემ ხვალ დასაცინი გავხდებოდიო“ - გაიფიქრა და დასაძინებლად წავიდა.

* * *

ორშაბათ დილას ონომურამ, კანეკო-სენსეის მხარდაჭერით, ბეისბოლის მასწავლებელი დიდი გაჭირვებით დაითანხმეს და გრანდოს ნაწილი ხელბურთელებთან გადმოვიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ხელბურთის ნახევარი მოედანი ეტეოდა. ხელბურთელებისთვის ესეც დიდი გამარჯვება იყო. ასევე, კარგი ამბავი ის იყო, რომ შაბათ-კვირაობით ბეისბოლისტებს ხშირად ჰქონდათ გასვლითი ვარჯიშები და ამ დროს ხელბურთელებს

შეგვეძლო მეორე კარის დადგმა. სხვა დროს კი ცალ კარში უნდა გვევარჯიშა. ამ ამბავმა მაინცდამაინც არ დაგვწყვიტა ახლად შექმნილი გუნდის წევრებს გულები და მოედნის გასუფთავება-გასწორებას ყველა დიდი ენთუზიაზმით შევუდექით. ნაგისაც, რა თქმა უნდა, ჩვენთან იყო; საპატიო მიზეზით გამოვიდა ორკესტრის რეპეტიციიდან და ენერგიულად შემოგვიერთდა. რა თქმა უნდა, სუგავარამ ჩაიგდო მომენტი ხელში და შევიდა თავის ამპლუაში:

- ერთი-ორი, ერთი-ორი! სუგავარა! გაჩერდი!

- რა დროს ერთი-ორია, ჯერ ვარჯიშიც არ დაგვიწყია, ამან კი თავისი „ერთი-ორით“ გაახურა საქმე!“ - უცებ შეუბღვირა კიკუჩიმ.

- კარგი, თუ ეგრე გიშლი ხელს, გავჩუმდები! - უპასუხა გულდაწყვეტილმა სუგავარამ.

- სუგავარა, მოდი, სჯობს, მოედნის დახაზვაში მომეხმარე, - გამოიყვანა კიკუჩის „რისხვიდან" პროფესორამ.

- ეს ნახაზი ამოვბეჭდე და დამხმარე მჭირდება.

- მოედნის დახაზვაზე წყნარად ვარ, რადგან პროფესორამ მოჰკიდა ხელი, კარგად გააკეთებს, - კმაყოფილმა გადავულაპარაკე იუიასა და ნაკაიგავას.

- ხედავ, ნაგისა და სუგავარაც ეხმარებიან. პროფესორას, მგონი, კარგად მისდის საქმე... დამატებით ცარცი ხომ არ მოგიტანო? - ჰკითხა გახარებულმა იუიამ. თან პასუხს არც დაელოდა და გავარდა ცარცის მოსატანად. ამ ერთიანი ძალისხმევის შედეგად მოედანი გარკვეულ კონდიციამდე მივიდა, ყველაზე ბევრი დრო „ქუსა ტორიმ"[27], ანუ სარეველა ბალახისაგან მოედნის ხელით გასუფთავებამ წაიღო, რადგან ადგილს დიდი დროის განმავლობაში

---

[27] ***ქუსა ტორი*** - იაპონური. ქუსა - ბალახი, ტორი - ამოღება, სარეველა ბალახის ამოგლეჯა.

არავინ იყენებდა, სარეველა ბალახი ბევრგან წამოზრდილიყო. ამ მართლაც რომ შრომატევადი საქმის მერე მე, დენიშმა და ნაკაიგავამ საქმე დავაგვირგვინეთ და კარებზე ბადე ჩამოვკიდეთ. საქმეს რომ მოვრჩით, გუნდი ჩამწკრივდა და თავის შემოქმედებას სიამოვნებით გადაავლო თვალი. მოედანი მზად იყო! ამის შემდეგ მოთელვა სირბილით დავიწყეთ,

- სუგავარა, ახლა დაიწყე შენი ერთი-ორი! - უთხრა კიკუჩიმ. სუგავარაც დიდად სახვეწარი არ გახდა და სირბილს ყველას გასაგონად „ერთი-ორი, ერთი-ორი“ დააყოლა. ყველა კმაყოფილი ჩანდა. მოთელვის შემდეგ ბიჭებმა ჩვენივე რამდენიმე ძველი ბურთით პირველად ვათამაშეთ ახალბედები პასებით. იქ, ძირითადად, ნაკაიგავა, იუია, ჩუმა და მე ვაქტიურობდით, სათითაოდ და მოთმინებით ვაჩვენებდით სხვებს სწორ მოძრაობას. ახლებს, განსაკუთრებით ფიზიკურად შედარებით მოუმზადებლებს, ბურთის სროლა უჭირდათ, მაგრამ არავინ იტეხდა გულს და ვარჯიშს ძალას სიამოვნებით ვატანდით.

* * *

მაშ ასე, პირველმა ვარჯიშმა კარგად ჩაიარა, ირგვლივ სხვა ბუკაცუს ვარჯიშები მიდიოდა და ყველა ახლებს, ხელბურთელებს გვაპარებდა თვალს. ზოგი გვამხნევებდა, ზოგიც რაღაცაზე იცინოდა, ყველაზე დიდი ოპოზიციონერები მაინც ბეისბოლისტები იყვნენ. ისინი ქალაქის დონეზე, ასე თუ ისე, წარმატებით თამაშობდნენ და რაღაც გაუგებარი სპორტიდან თვით ბეისბოლის მოსალოდნელი შევიწროება მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ. პირველი ვარჯიშის მერე ონომურამ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და სასწრაფოდ იყიდა ბურთები. ვარჯიშები ხალისიანად ტარდებოდა,

ონომურა ძირითადად ადმინისტრაციული საქმეებით იყო დაკავებული და გუნდის ვარჯიშების ორგანიზაციაში კი ნაკლებად ერეოდა. ბევრი ასეთი საკითხი თავად მოსწავლეებს მოგვანდო, თან იცოდა, რომ ნაგისაც იქვე იყო და ყველაფერში დაეხმარებოდა ბიჭებს. დროთა განმავლობაში ხელბურთელებს კიდევ რამდენიმე წევრი შემოგვემატა უფროსკლასელებიდან: რუმინელი და შინია-სემპაი გადმოვიდნენ ფეხბურთიდან, ხოლო ბეისბოლიდან _ კეიჯი-სემპაი. რუმინელის გადმოსვლას გუნდის ვარჯიშებზე რამდენიმე „ფურიო"[28] გულშემატკივარი გოგოც მოჰყვა. საქმე ის იყო, რომ ადრიანი პოპულარული ბიჭი იყო სკოლაში და ბევრ გოგოს მოსწონდა. თან ის, იაპონელი თანატოლებისაგან განსხვავებით, გოგოებს უფრო გაბედულად ელაპარაკებოდა და ესეც, რა თქმა უნდა, მისი პოპულარობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ. კეიჯი-სემპაისაც არა უშავდა: ის ბურთსაც კარგად ისროდა და, რაც მთავარია, ძალიან სწრაფად დარბოდა. კეიჯი-სემპაის დაცვა კარგად გამოსდიოდა და ონომურამ მას ხუმრობით „კედელიც“ კი დაარქვა. შინია-სემპაი ფეხბურთის ბუკაცუში მეკარე იყო და, ბუნებრივია, რომ მან ხელბურთშიც მეკარეობა არჩია. ჰოდა, გასაკვირი არ იყო, როცა ის ხელბურთსაც ფეხბურთის წესებით თამაშობდა, ბურთებს ნახტომში იგერიებდა დაზოგჯერ ავტომატურად ფეხითაც შემოჰქონდა თამაშში ბურთი. სანამ მიეჩვია, ძალიან სასაცილოდ მეკარეობდა, მაგრამ ბიჭები ამაზე ხუმრობითაც არ იცინოდნენ, შინია ხომ სემპაი იყო და, აბა, სემპაისთან უმცროსებისგან ასეთი ხუმრობები არ მოდიოდა. მხოლოდ სკოლის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ, იზაკაიაში შეკრებისას

[28] *ფურიო* -„ძველი“.

გავიხსენეთ ბიჭებმა შინია-სემპაის ასეთი თამაში და სიცილითაც გული ვიჯერეთ, თუმცა შინია-სემპაიმაც არ დაგვაკლო და, ჯერ ერთი, ვისაც მოგვწვდა, ერთი-ორ ჩვენგანს თავში ჩაგვცხო და მერე ყველას ჩვენ-ჩვენი ნაკლი გაგვახსენა. რაც მთავარია, მოყოლის დროს კიდევ მოძრაობა-მიმიკები არ დაიშურა და ბუნებით სერიოზულს იმ დროს ბახუსმა ხელ-ფეხი გაუხსნა და იმ საღამოს კარგა ხანს ყველანი სიცილისაგან ტატამზე ვეყარეთ.

* * *

პირველმა თვეებმა სწრაფად ჩაიქროლა, გუნდში დიდი ენთუზიაზმი იყო და, რაც მთავარია, ხელბურთი ყველას ძალიან შეუყვარდა. მუსიკის მერე ვარჯიშზე ხშირად ნაგისაც შემოგვირბენდა ხოლმე და ონომურაც ხან რას და ხან რას აბარებდა. ნაგისას გამოჩენა არ გამოეპარათ ფურიოებს, პირველად დაძაბულები იყვნენ, მაგრამ მერე დაუმეგობრდნენ და ზოგჯერ ეხმარებოდნენ კიდეც. ერთადერთი _ ხელბურთელები ჩვენი თანაკლასელის, სახელად კიმუს, მოსწრებულ ენას ვერ გადავურჩით. კიმუ ჩოგბურთის ბუკაცუში იყო ჩაბმული და კორტები ხელბურთელების ნახევარ მოედანს ებჯინებოდა. ჰოდა, ისიც იქიდან ხან რას შემოგვძახებდა და ხან _ რას. განსაკუთრებით, თუ „პატარებს" გამოიჭერდა, მერე _ კარგად მეყოლე! ენას ვერ აჩერებდა. მისი უსაყვარლესი ფრაზა იყო - „აი, გამოჩდნენ, გამოჩნდნენ! ნახევრად ხელბურთელები ნახევარ მოედანზე!" _ და მერე კიდევ აყოლებდა: „იცით რა? ეგრე კარგად გამოგდით და ხელბურთის წესები უნდა შეცვალოთ! ნახევარი მოედნების შეჯიბრი უნდა გამართოთ. მარტო თქვენ ვარჯიშობთ ასე და ვერავინ მოგიგებთ!"

მერე ცალ-ცალკე მოთამაშეებსაც არ აკლებდა კრიტიკას, ძირითად სამიზნედ ისევ თავისზე უფრო სუსტებს ირჩევდა და „აუ, ნობორი, ბადე არ გახიო, ისე მაგრად ისვრი, რომ მეც მეშინია, არ მომხვდეს _ ალბათ მომკლავს!“ „დენიშ, მგონი დილას არაფერი გიჭამია, რაღაც დღეს ისეთ მაგარ ფორმაში არ ხარ!“ _ ასევე, არ აკლებდა თავის მეზობელ დენიშს.

კიმუს ხუმრობები ბიჭებს არ გვწყინდა, ის კი არა, ხშირად პირიქით, გვეცინებოდა კიდეც... ვაღიარებ, ტეშიროგის წლები უმაგისოდ ვერც კი წარმომიდგენია. მაგრამ თუ ვხედავდით, რომ ზედმეტი მოსდიოდა, მე, იუია ან ნაკაიგავა ერთს შევუბღვერდით და ისიც უმალ მიუბრუნდებოდა ჩოგბურთის კორტს და ამას ისე სასაცილოდ აკეთებდა, რომ ბიჭებს მაგრად გვეცინებოდა. ყველაზე ძალიან კი შინია-სემპაის ერიდებოდა და ისეთ დროს ირჩევდა თავისი ოხუნჯობისათვის, როცა სემპაი ახლომახლო არ იყო. ასე, საერთო ხალისით მიდიოდა ვარჯიშები და გუნდის ყოველი წევრი ვარჯიშებზე თავს არ იშურებდა. ერთადერთი - ზოგჯერ დენიში აგვიანებდა. თავის გეიმებს ვერ ელეოდა და გვიანობამდე არ იძინებდა. თუმცა, ისიც, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმუმს აკეთებდა. ონომურაც ბედნიერი ჩანდა, მისმა ცოლმა უკვე კარგად იცოდა გუნდის თითოეული წევრის სახელი, მეტსახელი და მომზადების ყოველი დეტალი: ყოველ საღამოს, ვახშამზე ხომ მთავარი თემა ხელბურთი იყო! ვინაიდან გუნდი შედგა და ვარჯიშებზე ძალ-ღონეს არ ვიშურებდით, ნელ-ნელა ონომურამ და მისმა ახლად გამომცხვარმა გუნდმა პირველ ამხანაგურ თამაშზე დავიწყეთ ფიქრი და მზადება.

პირველი შეჯიბრი

ონომურა პირველი ამხანაგური თამაშის თაობაზე თავის კოლეგას, კუკიზაკის [29]ხელბურთის მწვრთნელს დაუკავშირდა. კუკიზაკი ცუკუბას გვერდზე ქალაქი იყო და იქ ჩუგაკკოში ხელბურთს საკმაოდ მყარად ჰქონდა ფესვები გადგმული. კუკიზაკელები ხშირად იბარაკიში საპრიზო ადგილებზე გადიოდნენ. მათთვის მიუწვდომელი მხოლოდ ქალაქ მორიას გუნდი იყო. აი, მორია კი მართლაც დიდი ტრადიციების მქონე გუნდი გახლდათ, რომელსაც მთელი იაპონიის ხელბურთის სამყაროში ჰქონდა სახელი განთქმული. იბარაკის ერთპიროვნული ჩემპიონი თითქმის ყოველ წელს იაპონიის საუკეთესო 8 გუნდში ხვდებოდა ხოლმე და ხშირად საპრიზო ადგილებსაც იკავებდა.

კუკიზაკი ახლოს იყო და ონომურამ გადაწყვიტა, პირველი ამხანაგური შეხვედრა მათთან გაემართა, ჰოდა, ერთ საღამოს სამასწავლებლოდან დაურეკა კუკიზაკელ კოლეგას, შინკაი-სენსეის:

- შინკაი-სენსეი, ტეშიროგი-ჩუს მასწავლებელი ონომურა გაწუხებთ. ჩვენთან ახალი ხელბურთის ბუკაცუ გაიხსნა და გვინდოდა კუკიზაკელებთან ამხანაგური შეჯიბრის გამართვა. ეს თქვა ონომურამ და ზედმეტი დაძაბულობისა თუ ზრდილობისაგან ყურმილმომარჯვებული ფეხზე წამოდგა.

- ძალიან კარგი, ონომურა-სენსეი, ვინ ავარჯიშებს ტეშიროგის გუნდს?

---

[29] ***კუკიზაკი*** - ქალაქი ცუკუბას გვერდზე, ამჟამად გაერთიანებულია ცუკუბაში.

- ტეშიროგელებს მე ვავარჯიშებ, მეც და ჩემი მოსწავლეების უმრავლესობასაც ხელბურთი ახალი დაწყებული გვაქვს, მაგრამ რამდენიმე წევრი დაწყებითი სკოლიდან თამაშობს, - დააყოლა ონომურამ, თანაც, უფრო დამაჯერებელი რომ გამოსულიყო მისი შეთავაზება, დაამატა - ვფიქრობთ, რომ თქვენთან პრაქტიკის გავლა ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

- მობრძანდით, გეთამაშებით, ჩემი გუნდი სერიოზულად ვარჯიშობს და კარგი სპარინგი ჩვენთვისაც აუცილებელია, - ოდნავ ამპარტავნულად უპასუხა შინკაი-სენსეიმ და დაამატა:

- ვეცდებით, პირველივე თამაშზე საუკეთესო შემადგენლობა გამოვიყვანო; სხვათა შორის, ჩვენ გუნდს ჩემთან ერთად ერთი აქაური ყოფილი ხელბურთელი ავარჯიშებს.

- მაშინ იქნებ მომავალ კვირას გვეთამაშა? - შეეკითხა ონომურა.

- კარგით, შევთანხმდით, კვირას დილის 9-ზე გელოდებით.

გახარებულმა ონომურამ შეჯიბრის ამბავი გვახარა.

- „კუკიზაკი“ მაგარი გუნდია და მაგათთან ამხანაგური თამაში ცოტა ნაადრევია! - ჩაილაპარაკა ნაკაიგავამ.

- ნაკაიგავა, მაგაზე ნუ იდარდებ, იციან, რომ ჩვენ ახალი დაწყებული გვაქვს და ამჟამად ჩვენთვის მთავარი პრაქტიკა და სწავლაა, - უპასუხა კმაყოფილმა ონომურამ, - თან მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღე დავნიშნავ ვარჯიშებს და ჩვენც სათანადოდ მოვემზადებით.

ონომურამ გუნდის კაპიტნად შინია-სემპაის კანდიდატურა შესთავაზა გუნდს და ყველა ერთხმად დაეთანხმა კიდეც.

* * *

ის ერთი კვირა ჩვენი გუნდი ძირითადად ფიზიკურად ემზადებოდა; სირბილსა და ბურთით კარში დარტყმაზე ვვარჯიშობდით.

ტეშიროგისათვის ეს პირველი შეჯიბრი დიდი მოვლენა იყო და კვირა დღეს პირველ თამაშზე ყველანი დიდი სიხარულითა და კარგი განწყობით გავემართეთ.

კუკიზაკი ცუკუბასთან იქვე იყო და კვირას მოთამაშეები მშობლებმა თავ-თავიანთი მანქანებით წაგვიყვანეს. თითო მანქანაში სამი-ოთხი ბიჭი იჯდა. გზას დიდი დრო არ დასჭირვებია, სულ რაღაც 15-20 წუთში უკვე კუკიზაკის საშუალო სკოლაში ვიყავით.

კუკიზაკელებს ეტყობოდათ, ვარჯიში კარგა ხნის დაწყებული ჰქონდათ. უმალ თვალში მეცა მათი მზისგან გარულჟული სახეები, რაც მზეზე ინტენსიური ვარჯიშებისგან იყო გამოწვეული. მათ ლამაზი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მყვირალა იასამნისფერი ფორმები ეცვათ. ჩვენ კი ხელბურთის ფორმები საერთოდ არ გვქონდა და პირველ შეჯიბრზე, ისევე, როგორც ვარჯიშებზე, სკოლის სპორტული ფორმებით გავედით. უმეტესობა ძალიან სასაცილო სანახავი იყო. მშობლები ამ ფორმებს სამი წლის გათვლით ყიდულობდნენ და ამიტომ ჩვენ ყველას ფორმები ერთი-ორი ზომით მაინც დიდი გვქონდა. ჰოდა მოედანზე რომ გავედით, ძალიან სასაცილოდ გამოვიყურებოდით, განსაკუთრებით კი - „პატარები". თამაშის წინ ონომურამ განაცხადა: „აბა, თქვენ იცით, ანგარიშს მნიშვნელობა არ აქვს, რაც მთავარია, ხალისით ითამაშეთო“.

კუკიზაკელების მწვრთნელს ეტყობოდა, რომ ამ თამაშსაც კი საკმაოდ სერიოზულად უდგებოდა და დაწყების წინ რაღაც დარიგებებს აძლევდა თავის გუნდს. აი, დაიწყო თამაში და ჩვენც

დავიწყეთ დაბნეულებმა აქეთ-იქით სირბილი. ამასობაში კი კუკიზაკელები გვიტანდნენ და გვიტანდნენ გოლებს. მიუხედავად იმისა, რომ სასაცილოდ ნამდვილად არ გვქონდა საქმე, თავისზე 2-3 ზომით დიდ და თანაც ახალ ფორმაში გამოწყობილი დენიშის ყურებით სიცილს მაინც ვერ ვიკავებდი. კიდევ კარგი, რომ კიმუ არ უყურებდა ჩვენს საცოდაობას, თორემ მერე გენახათ, დაცინვების სერიალები რომ დაიწყებოდა ყოველდღე სკოლაში. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ის პირველი თამაში კატასტროფული ანგარიშით: 32-4 წავაგეთ. იმ 4 ბურთის გატანაც კი მაშინ დიდ გმირობას წარმოადგენდა ტეშიროგის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კუკიზაკიმ მხოლოდ 4 გოლი გაუშვა, ყოველ გაშვებულ გოლზე მათი შინკაი-სენსეი ძალიან დრამატულად რეაგირებდა და ხან მეკარეს უყვიროდა და ხან - მოთამაშეებს. აი, ჩვენთვის კი ეს პირველი თამაში და პირველი წაგება სერიოზული გამოცდა გამოდგა. თამაშის მერე ონომურამ შეგვკრიბა და გვითხრა, „კუკიზაკი ძალიან ძლიერი გუნდია და ამ წაგებამ გული არ უნდა დაგვწყვიტოს; გავაგრძელოთ ვარჯიშები და ჩვენი ჯაფა შედეგს აუცილებლად გამოიღებსო“. და ბოლოს დაამატა: „ხვალ, ჩვეულებრივ, ყველას გელოდებით ვარჯიშზეო“. თავჩაქინდრული ტეშიროგელებისაგან ონომურას არავინ გამოეპასუხა, უმრავლესობას დანა პირს არ გვიხსნიდა, წაგებას კი, მაგრამ ასე წაგებას ნამდვილად არ ველოდით, ისეთი განწყობა გვქონდა, თითქოს აბუჩად აგვიგდეს მთელი გუნდი და მთელი სკოლა. ბიჭებს ხელბურთის დანახვა კი არა, გაგონებაც არ გვინდოდა.

* * *

ცუკუბაში დაბრუნებულები, მაცუშიროს შოფინგ-ცენტრის წინ სტიქიურად შევიკრიბეთ და მომავალზე დავიწყეთ ფიქრი. ლაპარაკი კეიჯი-სემპაიმ დაიწყო:

- ბიჭებო, ხელბურთზე რომ შემოვედი, მეგონა, რომ ხელბურთი ჩემი საქმე იყო და მჯეროდა, რომ ტეშიროგის გუნდი მაგარი გახდებოდა და ყველას მოუგებდა. დღევანდელი თამაშის მერე ძალიან გამიტყდა გული, მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ კუკიზაკის კი არა, საერთოდ ვერავის ვერ მოვუგებთ... - ნობორიმ:

- რაღაც ვერ გამოგვდის თამაში და ხომ არ დავიშალოთ? არა, მე თამაში მომწონს, მაგრამ თუ წარამარა წავაგეთ, აბა, რა აზრი აქვს, ისინი ჩვენზე ათი თავით მაღლა დგანან, დღეს თამაშობდნენ კი არა, დაფრინავდნენ... ამათ დონეზე, ალბათ, ვერასოდეს ვერ ავალთ... ნაკაიგავას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გავაჩერე:

- მოიცა, ნუ იტყვი ნურაფერს, ახლა ჩვენს აზრს მნიშვნელობა არ აქვს, ჯერ სხვებს მოვუსმინოთ, რას იტყვიან! - უცებ კიკუჩი წამოიწია:

- არა, ასე ადვილად მე თავს არ დავანებებ, თამაშიც მომწონს და, როცა ვვარჯიშობ, ვგრძნობ, რომ ყოველდღე რაღაცა მემატება და ეს სიამოვნებას მანიჭებს... ვარჯიშებზეც ჩემით დავდივარ, არავინ მაძალებს... არც მასწავლებელი და არც მშობლები! მე ვრჩები, ნელ-ნელა თამაშსაც ვისწავლით! - კიკუჩის სიტყვას თითქოს ელოდებოდა შინია-სენპაი, დამთავრებაც არ აცალა, თქვა:

- მე, როგორც კაპიტანი, წაგებას ჩემს თავზე ვიღებ, გუნდი სათანადოდ მზად არ იყო. ახლა რომ თავი დავანებოთ, არ იქნება მართალი ჩვენი მხრიდან. უფრო მეტიც, ეს ღალატი იქნება! ამით სკოლას, ონომურას, კანეკო-სენსეის და, რაც მთავარია, ჩვენს თავს ვუღალატებთ! კი, დღეს მაგრად წავაგეთ, მაგრამ ამ წაგებამ, პირიქით, მეტი ძალა უნდა მოგვცეს. კუკიზაკელები მაგრები არიან და ახლა

ზემოდანაც გვიყურებენ, მაგრამ დადგება დრო, როცა მაგათ ტეშიროგი მოუგებს, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები! ან თუ ვერ მოუგებს, თანასწორად ვეთამაშებით მაინც! ასე რომ, მე ვრჩები და გირჩევთ, რომ თქვენც გვერდით დამიდგეთ. ხვალ ყველანი მოდით ვარჯიშზე!

უცებ რატომღაც სუგავარას მიუტრიალდა და უთხრა:

- სუგავარა, ხომ გაიგე, რაც გითხარი?

- მე რა შუაში ვარ? მოვალ, აბა რას ვიზამ! უჩემოდ ვარჯიში ვერ ჩატარდება ნორმალურად, ვინ დაითვლის! - უპასუხა ცოტა არ იყოს შეშინებულმა სუგავარამ.

მეორე დღეს მართლაც ყველა მივიდა, ის კი არა, გუნდს მეტი მონდომება ეტყობოდა და მისმა წევრებმა 120%-იანი დატვირთვით ვივარჯიშეთ.

* * *

ამასობაში ონომურა აგრძელებდა თვითგანათლებას ინტერნეტისა და წიგნების მეშვეობით, რაშიც მისი ცოლიც კი ეხმარებოდა; იწერდა და იწერდა წიგნებს. ის კი არა, ფორმებზეც დაიწყო ფიქრი და აპირებდა მშობელთა კრებაზე ამ საკითხის დაყენებას, რომ უცებ ბედმა გაგვიღიმა: ფეხბურთელებს ძველი ფორმები ჰქონდათ შემორჩენილი და ონომურას გადასცეს. ფორმების გამოჩენით ყველამ გავიხარეთ, მერე რა, რომ ძველი და თან ფეხბურთისა იყო, ძალიან მოგვეწონა და, რაც მთავარია, სასაცილოდ მაინც აღარ გამოვიყურებოდით.

ონომურამ ერთხელ რაღაც საინტერესო ვარჯიში იპოვა ინტერნეტში და გადაწყვიტა, რომ ეს ნამდვილად დაეხმარებოდა ტეშიროგელებს ფიზიკურ მომზადებაში. მაგრამ ონომურამ ერთი

მნიშვნელოვანი რამ ვერ გაითვალისწინა: საქმე ის იყო, რომ ვარჯიში დარბაზში იყო რეკომენდებული და გუნდი კი გარეთ ვარჯიშობდა, სადაც ფეხი სხლტოდა.... ჰოდა, ონომურამ ჩანახატი ამობეჭდა და თავმომწონედ ბიჭებს აჩვენა. ჩუმამ და პროფესორამ ეგრევე თქვეს:

- ეს ვარჯიში საშიშია და, მოდით, სხვა რამე გავაკეთოთ...

- არა, კარგი ვარჯიშია! - დააწყნარა ონომურამ, - შეეჩვევით და ფიზიკურ მომზადებაში ძალიან დაგეხმარებათ.

პირველმა იუიამ სცადა, ფეხი დაუცდა და მიწაზე ცხვირით დაებერტყა. ახალი ნაწვიმარი იყო და, ყველაფერთან ერთად, იუიას სახე და სპორტული ფორმაც მაგრად გაუტალახიანდა. სხვა შემთხვევაში, მის მდგომარეობაში შევიდოდით, მაგრამ ტკივილისაგან შეწუხებული და ტალახში ამოსვრილი იუია ისეთი სასაცილო სანახავი იყო, რომ ბიჭებმა თავი ვერ შევიკავეთ და ავხარხარდით. ონომურა მივარდა იუიას და მისი დაწყნარება სცადა. ამით კი ცეცხლს ნავთი დაასხა, ამის დანახვაზე კიდევ უფრო გადავფიჩინდით. გამწარებული იუია იქვე მდგომ სუგავარას მივარდა და ჭიდაობა დაუწყო. ონომურამ სცადა სიტუაციის განმუხტვა, უკან დახევა არ უნდოდა და მე და ნაკაიგავას მოგვიბრუნდა:

- ნაკაიგავა, აბა, ახლა შენ და თემუკამ სცადეთ, ნამდვილად გამოგივათ! –

- არა ონომურა-სენსეი, ფეხი გვისხლტება, შეიძლება რაღაცა ვიტკინოთ! - სიცილით ვუპასუხეთ.

- კარგი, ერთხელ კიდევ სცადეთ და თუ არ გამოგივათ, თავი დაანებეთ.

ჰოდა, ვცადეთ და ჩვენც იგივე ბედი გვეწია: თავი ვერ შეიკავეთ და ორივენი ძირს დავეფერთხეთ. ნაკაიგავამ სახე დაარტყა მიწას და

ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. მეც ვერ შევიკავე თავი და დავეცი, მაგრამ როგორღაც მოვახერხე და არაფერი ვიტკინე. თუმცაღა, ორივენი ტალახში გვარიანად ამოვიგანგლეთ. ერთმანეთს რომ შევხედეთ, ერთდროულად ხმამაღალი სიცილი აგვიტყდა... გუნდელებმაც არ დააკლეს და უმალ შემოგვიერთდნენ, კიკუჩი და შინია სემპაი ძალით დაცვივდნენ და ტალახში გვარიანად ამოიგანგლნენ, მერე კი "სუფთებზე" დაიწყეს ნადირობა, რათქმა უნდა პირველ რიგში პროფესორა და დენიში ამოიღეს მიზანში, უფრო სწორად მათი ახალი ქათქათა ფორმები. სიტუაცია არაკონტროლირებადი გახდა - ძირითადად ყველანი მიწაზე ვეყარეთ, ზოგი ჭიდაობისაგან და ზოგიც - სიცილისაგან, ფეხზე ვეღარ დგებოდა. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ უცებ საიდანღაც კიმუ გაჩნდა, ეტყობა გაიგონა ჩვენი ხარხარი და ისიც ჩაერთო ჩვენს "ვარჯიშში". რა თქმა უნდა, ყველაზე სუსტ ნობორის მივარდა და მისი ტალახში წაქცევა სცადა. მაგრამ კიკუჩიმ და ჩუმამ არაგუნდელი დროზე შენიშნეს და მთელი ჯავრი მასზე იყარეს. ბოლოსდაბოლოს, ონომურამ ყველანი დაგვაშოშმინა. იმ საღამოს ვარჯიში ჩაიშალა, ტალახში ამოგანგლული გუნდის წევრები სახლებში დავიშალეთ, სადაც ტალახიანი ფორმების გამო დედების საყვედურები არ აგვცდა.

თემუკა

ფეხბურთზე, სათადარიგო სკამზე

თემუკა შეჯიბრზე

ახლად შეკოწიწებული ტეშიროგის გუნდი

გუნდი ახალ ფორმებში

ყოველდღიური ვარჯიშები სკოლაში

თემუკა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში

შეხვედრა ტეშიროგის სკოლის ხელბურთელებთან 2019

ნიკოლოზი

ნიკოლოზის გუნდი

ნიკოლოზი შეჯიბრზე



სკოლებთაშორისო ჩემპიონატზე

ონომურას ვიზიტი ცუკუბას უნივერსიტეტში და სენგოკუ-ქოუჩის გამოჩენა

მართალია, იმ ვარჯიშის დროს სერიოზული ტრავმა არავის მიუღია, მაგრამ ონომურამ საკმაოდ განიცადა ის ამბავი და, რაც მთავარია, მიხვდა, რომ მარტო მისი ძალები გუნდის სავარჯიშოდ საკმარისი არ იყო. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ონომურამ გადაწყვიტა ცუკუბას უნივერსიტეტში წასვლა და ხელბურთის გუნდისათვის დახმარების თხოვნა. ცუკუბას უნივერსიტეტს ხელბურთის საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდა და წარმატებით თამაშობდა უმაღლესი სასწავლებლების პირველობებზე.

ონომურამ გაიგო ვარჯიშის დრო და ადგილი და უნივერსიტეტის დარბაზს მიაშურა. ბუნებით მორიდებულმა კარი ფრთხილად შეაღო, სადღაც კუთხეში დადგა და ხელბურთელებს დაუწყო ყურება. დარბაზში გაცხარებული ვარჯიში მიდიოდა. ეტყობოდა, რომ იმ დღეს სტუდენტები თვითონ ვარჯიშობდნენ, მწვრთნელის გარეშე და გამორჩეულად ორი-სამი მოთამაშის შემახილები სჭარბობდა. ისინი, ალბათ, უფროსკურსელები იყვნენ და ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს თამაშისას სხვადასხვა დარიგებას აძლევდნენ. ვარჯიშის ბოლოს, როცა დაღლილი ხელბურთელები ერთად შეიკრიბნენ, ონომურამ გაბედა და მათთან მივიდა.

- გამარჯობათ, - მიმართა ჩვეული მორიდებით იქ შეკრებილებს, რაზეც ხელბურთელებმაც თავაზიანად უპასუხეს და ერთმა, ალბათ უფროსკურსელმა, ჰკითხა: - გამარჯობათ, მე გუნდის კაპიტანი, სახელად ჰატანი გახლავართ. აქაური ძველი ხელბურთელი ბრძანდებით?

- არა მე ტეშიროგის ჩუ-გაკკოს მასწავლებელი ონომურა ვარ. _ უპასუხა ონომურამ და გააგრძელა, _ საქმე ისაა, რომ ბუკაცუს გუნდს ვავარჯიშებ ხელბურთში და თქვენთან რჩევისა თუ დახმარებისათვის მოვედი.

- ხელბურთი ტეშიროგიში როდის დაიწყო? არც ვიცოდი! - უცებ წამოიძახა ერთ-ერთმა მოთამაშემ.

- წელს დავიწყეთ, ერთი-ორი თვეა, - უპასუხა ონომურამ. - ბიჭები ძალიან მოწადინებულები არიან...

- ჰო, ეგ კარგი საქმეა, ცუკუბას ჩუგაკკოებში აქამდე მგონი არც იყო ხელბურთის ბუკაცუ და ამის გამო მაღალ კლასებში, ხელბურთი სათანადო დონეზე ვერაა. - თქვა გუნდის კაპიტანმა, - ჩვენ რითი დაგეხმაროთ?

- რითი და _ თუ შეძლებთ, იქნებ თქვენგან ზოგჯერ ვინმე მოვიდეს და ხელბურთის სწავლებაში დამეხმაროს. მე თვითონ, რაც შემიძლია, ვაკეთებ, მაგრამ, მართალი გითხრათ, ხელბურთის ბევრი არა გამეგება რა, - უპასუხა ონომურამ.

კაპიტანმა თავისიანებს გადახედა და ყველას მაგივრად უპასუხა:

- დიდი სიამოვნებით, ყველანაირად დაგეხმარებით. ჩვენგან ვინმეს მოგამაგრებთ, ის კი არა, აქაც დაგპატიჟებთ ჩვენს ვარჯიშებზე დასასწრებად! _ ამ სიტყვებით კაპიტანმა თანაგუნდელებს გადახედა და მათ სახეებზე თანხმობა დაინახა.

- კარგი, მაშინ თქვენ წადით, ჩვენ აქ გადავწყვეტთ და ვარჯიშზე შაბათობით და ალბათ კვირაობითაც მწვრთნელი გეყოლებათ.

ონომურას სიხარულისგან ლამის ცრემლები წამოუვიდა:

- დიდი მადლობა, მაშინ შაბათს 9-ზე ტეშიროგიში სკოლის გრანდოზე გელოდებით! - ესღა უთხრა და დარბაზიდან ფრთებშესხმული გავიდა. ჰატანიმ და მისმა გუნდმა კი იმსჯელეს ამ

საკითხზე და არჩევანი სენგოკუზე გააკეთეს. სენგოკუ ხელბურთის მეკარე იყო და რამდენიმე თამაში იაპონიის იუნიორთა ნაკრებშიც კი ჰქონდა ნათამაშები. ასე რომ, მასზე არჩევანი მისი გამოცდილების მიხედვით გააკეთეს. თვითონ სენგოკუსაც გაუხარდა, ვინაიდან მომავალში მწვრთნელობას აპირებდა და ეს პირველი გამოცდილება მისთვის ძალიან სასარგებლო უნდა ყოფილიყო. ასე მოხვდა სენგოკუ-ქოუჩი ჩვენთან, ანუ ტეშიროგელებთან.

იმ საღამოს კმაყოფილი ონომურა თავის ცოლს დიდი ხალისით უყვებოდა, თუ როგორ დაიყოლია ცუკუბას უნივერსიტეტის გუნდი და შაბათიდან დამხმარე ეყოლებოდა... თან, რაც მთავარია, პროფესიონალი! მერე ისე გაერთო ამ მონაყოლით, რომ ცოლს ბრინჯის „ოკავარი"[30] ორჯერ გაამეორებინა. მერე, გონს რომ მოეგო, აქეთ უსაყვედურა, ქალო, ხომ ხედავ, როგორ გავსუქდი და რას მიმატებ, რომ მიმატებ, თან ასე გვიანო. ცოლი არ დაიბნა და ხუმრობით უთხრა - რას ამბობ, ხვალ ვარჯიშზე ალბათ იმდენ ენერგიას დახარჯავ, ის კი არა, ცოტა დაგიმატეო... ამით დამშვიდებულმა და თავმოტყუებულმა ონომურამ დარჩენილი ლუდიც მიაყოლა და კმაყოფილი დასაძინებლად გაეშურა.

---

[30] ***ოკავარი*** - დამატებითი ულუფის მოთხოვნა.

ხელბურთის მწვრთნელის გამოჩენა

ონომურამ გუნდი შაბათისთვის დაგვიბარა და თან შემოგვითვალა, აუცილებლად ყველა მოვიდეს, განცხადება უნდა გავაკეთოო. ჰოდა ბიჭებიც ადრე, ონომურას მოსვლამდე შევიკრიბეთ. ის კი არა, ნაგისაც კი მოვიდა, როცა გაიგო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა.

- ნეტავ რა უნდა, რა უნდა გვითხრას? - იკითხა ცნობისმოყვარედ სუგავარამ. - ისევ ის ვარჯიში თუ გაგვაკეთებინა, მერე ნახე! - დაამატა ჩუმამ ნახევრად ხუმრობით: „ძეტტაი მური!", ანუ „ვარიანტი არაა“ - კატეგორიულად თქვა იუიამ, რაზეც ნაკაიგავას სიცილი მოყვა და უცებ ონომურა რომ არ გამოჩენილიყო შეიძლება ისევ დაწყებულიყო კინკლაობა. ონომურა ვიღაც მაღალ ახალგაზრდა კაცთან ერთად გაბედულად მოაბიჯებდა. მისი მეგზური სპორტულ ფორმაში იყო ჩაცმული და აღნაგობითა და მიხვრა-მოხვრით ეტყობოდა, რომ სპორტსმენი იყო.

- თემუკა, ეს ხომ… ისაა, ჩვენ რომ პარკში შეგვხვდა! _ გადამომილაპარაკა თვალებგადიდებულმა ნაკაიგავამ.

- ჰო, ეგაა! ნეტავ რატომ მოვიდა?! - მერე სხვებსაც გადავხედეთ და ვანიშნეთ: ეს ის ხელბურთელია, მაცუშიროს პარკში რომ შეგვხვდა... - ეტყობა სენგოკუმაც შორიდანვე გვიცნო მე და ნაკაიგავა, გამოგვხედა და გაღიმებულმა, ოდნავ შესამჩნევად, თავი დაგვიქნია.

როდესაც მოგვიახლოვდნენ, ონომურა ბიჭებს მოგვესალმა და ნიშნისმოგებით გაგვიცხადა: - დღეიდან შაბათ-კვირას სენგოკუ-სან-ი დაგვეხმარება და გავარჯიშებთ. სენგოკუ მოკლედ მოგვესალმა გუნდის წევრებს, გვითხრა, რომ ცუკუბას უნივერსიტეტის გუნდის მეკარე იყო და ონომურა-სენსეის ნდობისათვის მადლობა

გადაუხადა. ასე გახდა სენგოკუ-მეკარე სენგოკუ-მწვრთნელი. ანუ, როგორც ყველანი ვეძახდით, სენგოკუ-ქოუჩი და გულმოდგინედ დაიწყო ტეშიროგის გუნდის მზადება.

* * *

სენგოკუ-ქოუჩის გამოჩენით აღტყინებულები კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით მოვეკიდეთ ვარჯიშებს. სენგოკუ, მართლაც, ძალიან კარგი მეკარე იყო, ცუკუბას უნივერსიტეტის გუნდის გული და სული, რამდენჯერ გადაურჩენია გუდი წაგებას. ტეშიროგელებსაც კარგად მოგვერგო და ბიჭებსაც თავი მალე შეგვაყვარა. რაც მთავარია, გამოცდილი მოთამაშე მართლაც რომ საჭირო დარიგებებს იძლეოდა და ბიჭებიც ყველაფერს ვუჯერებდით. კიკუჩი რომ კიკუჩია, ისიც კი პირნათლად ასრულებდა სენგოკუს დავალებებს და ვარჯიშზე არ აგვიანებდა. ის კი არა, თვით პოპულარული რუმინელიც კი არ აცდენდა ვარჯიშებს და მას ხშირად ფურიო გოგოებიც მოჰყვებოდნენ ხოლმე. აი, დენიშს კი ვერაფერი მოვუხერხეთ, ეგ და ხელბურთი დიდად განსხვავებული ცნებები იყო. მისი ნამდვილი ბუკაცუ გეიმები იყო და ისიც ძირითად დროს სახლში, გეიმებში ატარებდა. მაგრამ ვინმე თუ ჰკითხავდა, ყოველთვის სიამაყით პასუხობდა, რომ ხელბურთელი იყო. რაც მთავარია, მეგობრობის ფასი იცოდა და, საჭიროების შემთხვევაში, მასზე დაყრდნობა უპრობლემოდ შეიძლებოდა. აკი დაამტკიცა კიდეც ეს, როცა გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ამის გამო შაბათს სენგოკუ-ქოუჩის პირველ ვარჯიშზე დილის 8 საათზე მოუხდა გაღვიძება. უფრო სწორად, დედამისს დაუბარა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გამაღვიძეო და იმასაც დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა ეს, მაგრამ ბოლოს მაინც

გააღვიძა, ჩასძახა, ახალი გეიმი ვიყიდე და იქნებ ნახოო... ჰოდა, გეიმის გაგონებაზე დენიშმა დააჭყიტა თვალები, წამოდგა და, გონს რომ მოვიდა, სკოლაში გავარდა.

მართალია, გუნდს, მოედნის უქონლობის გამო, ძირითადად მაინც ცალ კარში გვიწევდა თამაში, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ვარჯიშის მერე მე და ჩემი დაღლილი თანაგუნდელები სახლებისკენ მიმავალ გზაზე ხელბურთზე ვსაუბრობდით და მიდიოდა ოცნებები, თუ როგორ გავიდოდით და ვითამაშებდით პრეფექტურის, კანტოს[31] ანუ აღმოსავლეთ იაპონიის ცენტრალური ნაწილის და საბოლოოდ ზენგოკუზე, ანუ სრულიად იაპონიის სკოლების შეჯიბრებებზე, სადაც საუკეთესოზე საუკეთესო გუნდები ხვდებოდნენ...

სკოლის წლები, ვარჯიში...

ასე მოახლოვდა ზაფხულის არდადეგები და ტეშიროგელებმა ახალი გასვლითი თამაში დავგეგმეთ ჩიოდას გუნდთან. ჩიოდას გუნდს არა უშავდა რა, მართალია კუკიზაკის ჩამორჩებოდა, მაგრამ გუნდი საკმაიდ შეთამაშებული იყო და რამოდენიმე კარგი გამთამაშებელი ყავდათ. ჩიოდას მწვრთნელმა ჩუგაკკოს პირველ-მეორე კლასელების შერეული ნაკრები გამოიყვანა ჩვენ წინააღმდეგ. ტეშიროგიმ იმ დღეს თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა. ჩიოდას გუნდს სამი თამაში ვეთამაშეთ და აქედან ბოლო ერთი მოვიგეთ. გოლები თითქმის ყველამ გაიტანა, ჩემი და ნაკაიგავას გარდა, ჩუმამ

[31] ***ოკავარი*** - დამატებითი ულუფის მოთხოვნა.

და კიკუჩიმ იყოჩაღეს, თავიანთი გოლები სუგავარამ და პროფესორამაც კი გაიტანეს და ორივე ძალიან გახარებული იყო. მაგრამ ყველაზე დიდი აჟიოტაჟი მაინც რუმინელის გოლმა გამოიწვია. თამაშზე ფურიო გოგოებიც წამოგვყვნენ და დიდი ჟივილ-ხივილი ატეხეს მისი გოლის მერე. კარში იუია და შინია სემპაი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. შინია სემპაიმ ერთი-ორჯერ „ვერ გაძლო" და ბურთები ნახტომში მოიგერია. ის პირველი პატარა წარმატება ყველას, ალბათ, დიდხანს დაამახსოვრდა. ონომურამ და სენგოკუ ქოუჩმა თამაშის მერე ყველანი შეგვაქეს და აღნიშნეს, რომ გუნდი აღმავლობის გზაზე იყო. საღამოსკენ ბიჭები ისევ საყვარელ ადგილას, მაცუშიროს შოფინგცენტრის წინ შევიკრიბეთ და დიდხანს ვუზიარებდით ერთმანეთს პირველი გამარჯვების დეტალებს; ერთმანეთსაც ვაქებდით, ჩიოდას მოთამაშეებსაც და ზოგ მათგანს დავუმეგობრდით კიდეც. რაც მთავარია, იმ საღამოს განწყობა რაღა თქმა უნდა განსხვავდებოდა იმ ატმოსფეროსაგან, გუნდში კუკიზაკისთან თამაშის მერე რომ სუფევდა.

იმ ზაფხულს ძალიან ჩამოცხა და გუნდს მზეში უხდებოდა ვარჯიში. იმ პაპანაქებაში მზისგან კანი ძალიან მიწითლდებოდა და ამაზე, რა თქმა უნდა, დედაჩემი ყოველთვის მიბრაზდებოდა. სულ გეუბნები, კრემი წაისვი და რატომ არ ისვამო. ამის გარდა, მზეზე მთელი ძალით ვარჯიშისას ხშირად მოთამაშეებს გულები უწუხდებოდათ, მაგრამ აქ ნაგისა ძალიან ყოჩაღობდა, მიუხედავად იმისა, რომ თავის ბუკაცუში დაკავებული იყო, მაინც ახერხებდა და სველ პირსახოცებს და, რაც მთავარია, მუგიჩას[32] დამზადებაშიც გვეხმარებოდა ბიჭებს. ვარჯიშისას, ისედაც გახურებულ სხეულზე,

---

[32] ***მუგიჩა*** - იაპონიაში გავრცელებული გამაგრილებელი სასმელი, ჩაი, დამზადებულია შვრიის ნაყენზე.

თან გაგანია სიცხეში მოწყურებულები, მუგიჩას რომ მივეწაფებოდით, აბა, მაგას ხომ არაფერი სჯობდა! რა გემო იყო! მუგიჩას დედაჩემიც ყოველთვის ამზადებდა სახლში, მაგრამ მე ყოველთვის ვუწუნებდი: „ეს ისეთი გემრიელი არაა, აი, სკოლის მუგიჩა ძალიან გემრიელია და ისეთი გამიკეთე-მეთქი“. შეწუხებული ლიკა ამბობდა, ერთი უნდა წავიდე სკოლაში და ვნახო, თუ რომელი კომპანიის მუგიჩას ხმარობენო. მაგრამ აქ მამაჩემი ერთვებოდა და ხუმრობით აბრაზებდა; „არა, ლიკა, სკოლის მუგიჩასავით გემრიელი მაინც არ გამოგივაო“, რაზეც მე და პატარა ნიკუშაც კი კვერს ვუკრავდით. „ერთხელ მეც გამასინჯა თემუკამ ის მუგიჩა და ძალიან მომეწონა!“ - პროვოკაციულად დაამატა პატარა ნიკუშამ, რაზეც ლიკას მოთმინება ამოიწურა: „ძალიან კარგი, მე მაშინ აღარ გაგიკეთებთ მუგიჩას და თქვენს თავს თვითონ მიხედეთო“... ასეთ რეაქციას ოჯახის მამაკაცები არ მოველოდით და ლიკას ხვეწნა-მუდარა დავუწყეთ, შენი მუგიჩაც ძალიან მოგვწონს და ამ სიცხეში მუგიჩას გარეშე ნუ დაგვტოვებო. ამის შემყურე, ლიკამ თავი გააქნიაა და მერე ამას გულიანი ღიმილი დააყოლა.

* * *

სკოლაში სწავლის საქმესაც არა უშავდა რა, პირველ ხანებში სწავლას საგრძნობლად მოვუკელი, მაგრამ მერე, რითმში რომ ჩავჯექი, ვარჯიშები სწავლაში ხელს აღარ მიშლიდა; პირიქით, უფრო მობილიზებული ვიყავი. გუნდთან ერთად დიდი მონდომებით დღეში ორჯერ ვვარჯიშობდი: ყოველ დილას, ზამთარ-ზაფხულ, სავარჯიშოდ 7-დან მივდიოდი, ერთი საათი ჯერ სკოლის გარშემო სირბილს და სხვა ფიზიკურ და მეორე ბურთთან ვარჯიშებს ვანდომებდით. სკოლის მერე დრო ძირითადად ისევ ბუკაცუზე

მიდიოდა. ონომურა-სენსეი, მართალია, 7-ზე უკვე სკოლაში იყო, მაგრამ არ ეცალა და ვარჯიშებს ვერ ესწრებოდა და დილის ვარჯიშს ძირითადად ჩვენ თვითონ, ბიჭები ვუკეთებდით ორგანიზებას. რასაკვირველია, განსაკუთრებით ზამთარში, სიბნელესა და სიცივეში ადგომა ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ ყველანი ამას პირნათლად ვასრულებდით... დენიშისა და რუმინელის გარდა. სხვათა შორის, ორივე ძალაუნებურად ჩამოშორდა გუნდს. მათი მამები მეცნიერები იყვნენ და ცუკუბაში რამდენიმეწლიანი კონტრაქტებით იმყოფებოდნენ. რუმინელი ოქტომბერში დაბრუნდა რუმინეთში, დენიშის ოჯახი კი დეკემბერში გაეშურა ბრაზილიაში. გუნდის წევრებმა მათ სათანადო გაცილება მოვუწყვეთ: ყველა ერთად წავედით პიცერია „შეიკში" ბაიკინგზე[33] და იმდენი ვჭამეთ, რომ ვხუმრობდით: „შეიკი" მგონი დიდ ზარალში ჩავაგდეთო. მერე შეგროვილი ფულით ორივეს ხელბურთის ბურთები ვუყიდეთ და ზედ სამახსოვრო წარწერებიც გავუკეთეთ.

სამაგიეროდ, ტეშიროგიში საიტამადან[34] კავამოტო გადმოვიდა. კავამოტო ხელბურთელი იყო! თან მაგარი და მაღალი! ის უმალ მოერგო გუნდს და გააძლიერა კიდეც. თანდათან თამაშის ხაზიც გამოიკვეთა, მე გამთამაშებელი ვიყავი, ნაკაიგავა და კავამოტო კი ინსაიტებზე განლაგდნენ, კიკუჩი და პროფესორა კუთხეებზე, ცენტრი ჩუმა იყო და კარებში კი, რა თქმა უნდა, იუია იდგა. ბენჩსაც არა უშავდა რა, ნობორი, სუგავარა, კეიჯი და სხვები კარგად შედიოდნენ თამაშში და შეცვლებზე ხშირად გამოდიოდნენ.

---

[33] ***ბაიკინგი*** - ეგრეთ წოდებული „შვედური მაგიდა“, როდესაც თანხის გადახდის შემდგომ ულიმიტოდ შეიძლება ჭამა-სმა გარკვეული დროის განმავლობაში.

[34] ***საიტამა*** – პრეფექტურა ტოკიოს მახლობლად.

კავამოტო ბიჭებსაც უცებ დაგვიახლოვდა, განსაკუთრებით კი იუიას დაუმეგობრდა, ვინაიდან სახლისაკენ ერთად მიდიოდნენ ხოლმე. გზაში მანგას[35] მოყვარული კავამოტო იუიას სულ ახლად გამოსულ ისტორიებს უყვებოდა. იუიამაც ძალაუნებურად ყველა ახლად გამოსული პოპულარული მანგები იცოდა. რაც მთავარია, ხელბურთი ტეშიროგიში თავის ადგილს ნელ-ნელა იმკვიდრებდა. სულ უფრო ხშირად ვმართავდით სავარჯიშო თამაშებს და ხშირად ვიგებდით კიდეც. სკოლაში ხელბურთის ვარჯიში უკვე არავის აღარ ეჩვენებოდა უცნაურად, კიმუფორეც კი აღარ ოხუნჯობდა ჩვენზე, პირიქით, ბიჭებს ეუბნებოდა, რომ, როცა ხელბურთის ვარჯიშს გავხედავ ხოლმე, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ერთი წლის წინ სკოლის იმ ადგილას სიცარიელე და მიგდებული ადგილი იყო და იშვიათად ბურთს გამოდევნებული ბეისბოლისტი თუ ჩაიქროლებდა ხოლმეო. სენგოკუ-ქოუჩიც საკმაოდ ბევრ დროს ატარებდა გუნდთან, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტშიც ძალიან დატვირთული იყო და თავის ვარჯიშებზეც დადიოდა. ბოლო ხანებში თავის მეგობარ გოგოს სათანადო დროს ვეღარ უთმობდა, თუმცა იუკო ამას გაგებით ეკიდებოდა და ხშირად ვარჯიშებზეც დაჰყვებოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ნაგისას ძალიან დაუმეგობრდა, ცოტ-ცოტას ეხმარებოდა კიდეც და, საბოლოო ჯამში, თვითონაც ჩაერთო და ერთობოდა კიდეც. ერთი-ორჯერ ვარჯიშზე დირექტორმა კანეკო სენსეიმაც კი მოგვაკითხა. ბიჭები შეგვაქო და ონომურას დაიმედებით უთხრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გუნდი იბარაკიში წარმატებას მიაღწევდა.

---

[35] *მანგა* – გრაფიკული ნოველები, ძალიან პოპულარულია იაპონიაში.

* * *

ასე მიდიოდა დრო ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა: ტეშიროგიმ უკეთ და უკეთ დაიწყო თამაში, იმაღლებდა დონეს და ნელ-ნელა იბარაკის საუკეთესო გუნდებს უწევდა კონკურენციას.

რაც მთავარია, ერთი წლის მერე გუნდს 7 ახალი წევრი დაემატა, ანუ ტეშიროგიში ახლად შესულთაგან 7-მა ხელბურთი აირჩია. აი, კიდევ ერთი წლის მერე კი უკვე 14 კაცი შემოვიდა... ჩემი და ჩემი გუნდელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელბურთის ტრადიციების ათვლა სკოლაში უკვე დაწყებული იყო და ეს პროცესი შეუქცევადი გახლდათ!

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როცა დილის ვარჯიში დამთავრდა, სენგოკუმ ონომურა-სენსეის ნებართვით, გუნდი დაიბარა და შოკირებული განცხადება გააკეთა - მე გადავწყვიტე, რომ დიდი ხელბურთი ვითამაშო, პროფესიული კლუბიდან შემოთავაზება მომივიდა და ცოტაოდენი ყოყმანის მერე დავეთანხმე. გუნდი შეკრებაზე აპირებს წასვლას და მეც, რაც შეიძლება მალე, მათ უნდა შევუერთდე. ბოლო სიტყვა რომ თქვა, გუნდს გადახედა. ჩვენ ყველანი დავიბენით, უცებ ვერ მივხვდით, ვერ წარმოგვედგინა, რომ სენგოკუ-ქოუჩი ჩვენს მიტოვებას აპირებდა და გვშორდებოდა. პირველი პროფესორა მოვიდა გონს:

- ქოუჩი, როგორ, ჩვენ აღარ გვავარჯიშებთ? - ამის თქმა და გუნდის ამოგმინვა ერთი იყო, სენგოკუ-ქოუჩმა ამ ერთი წლის განმავლობაში ძალიან შეგვაყვარა თავი.

- თქვენთან დაშორება ჩემთვისაც ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ წყნარადა ვარ, იმიტომ, რომ თქვენს მწვრთნელობაზე კატო-ქოუჩი დამთანხმდა, ის ჩემი კარგი მეგობარია და, რაც მთავარია, ძალიან გამოცდილი ხელბურთელია. ასე რომ, ამ მხრივ თქვენი დარდი აღარ

მექნება. მეც დროდადრო მექნება თქვენთან კონტაქტი და ცუკუბაში ყოფნისას აუცილებლად შემოგივლით ხოლმე, - ეს თქვა და ბიჭებს გადმოგვხედა, მაგრამ ცხვირჩამოშვებულ ტეშიროგელებს დანა პირს არ გვიხსნიდა.

უცებ იუკომ, სენგოკუ-ქოუჩის მეგობარმა გოგომ, სათნო ღიმილით ჩანთაზე მიანიშნა:

- ჰო, ამ ემოციებში კიდევ ერთი რამე კინაღამ დამავიწყდა: ამ ხნის განმავლობაში მეც თქვენგან ბევრი რამ ვისწავლე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გუნდის ვარჯიში ადვილი საქმე არაა. მადლობის ნიშნად, ჩემგან სამახსოვროდ, ეს მინდა გადმოგცეთ! - თქვა და იქვე დაგდებული თავისი სპორტული ჩანთა გახსნა; იქიდან ხელბურთის ლამაზი ფორმები ამოიღო:

- ეს ცუკუბადაის მოთამაშეებისგან სახსოვრად, სპეციალურად თქვენთვის შევუკვეთეთ, წინ ბევრი შეჯიბრი გელით და, იმედია, ამ ფორმებით ტეშიროგის ასახელებთ! - ეს თქვა და ერთ-ერთი სპორტული მაისური გაშალა, რასაც გუნდის ნომერი და წარწერა „ტეშიროგი" ამშვენებდა.

გაოგნებული ბიჭები სახარულისგან, მგონი, რამდენიმე წამით დავმუნჯდით. ეს ჩვენი ნორჩი ნერვული სისტემისათვის ნამეტანი იყო... ის კი არა, გამორჩეული თეთრი ქათქათა მაისური ნაგისასაც კი შეხვდა, უკან, ტეშიროგის გასწვრივ, პატარა ასოებით მანეჯა ეწერა. ნაგისაც სიხარულისაგან დაბნეული ჩანდა: ასეთ საჩუქარს ნამდვილად არ ელოდა. ბიჭები ადრე ვერიდებოდით, მაგრამ ეს წარწერა რომ დავინახეთ, ამის მერე ნაგისას ყველა მანეჯას ვეძახდით. ყოველგვარ მოლოდინს კი ონომურასთვის განკუთვნილმა საჩუქარმა გადააჭარბა, ტეშიროგის ცისფერ მაისურს

ასევე პატარა ასოებით ჰირაგანათი[36] გემოვნებით შესრულებული წარწერა „სენსეი" ამშვენებდა. ეს ბოლო ორი მაისური იმის მანიშნებელი იყო, რომ მისი მეპატრონეები, ისევე, როგორც მოთამაშეები, გუნდის განუყოფელი წევრები იყვნენ, ასე იყო და ბოლომდე ასე გაგრძელდა.

რამდენიმეწამიანი პაუზის მერე გახარებული და თვალცრემლიანი გუნდელები ჟივილ-ხივილით შემოვეხვიეთ სენგოკუ-ქოუჩს და ატყდა მერე მაისურების ფრიალი. რომ გეკითხათ, ასეთი ლამაზი ფორმა ნანახიც კი არ გვქონდა.

* * *

მართალია, გუნდელებიც წაეხმარნენ, მაგრამ სენგოკუ ქოუჩმა, მგონი, მთელი თავისი მოგროვილი ფული დაახარჯა ჩვენს ფორმებს. კარგად იცოდა, რომ ხელბურთის ფორმების არმქონე გუნდს ეს საჩუქარი ყველაზე მეტად გაახარებდა. რაც მთავარია, ფორმებზე ტეშიროგის სახელის დაწერაც კი შეუკვეთა. ეს ყველას სამუდამოდ ჩაგვრჩა მეხსიერებაში. გარდა ამისა, ამ პირველ მაისურებს ჩვენი სკოლა საკმაოდ დიდხანს ხმარობდა, ვინაიდან ისინი წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა და ტეშიროგის სიმბოლოდაც კი გადაიქცა. გამონაკლისი მარტო მანეჯას ფორმა იყო. ჩუ-გაკკოში ხომ მანეჯას პოზიცია არ იყო და ამიტომ ის საბოლოოდ ნაგისას სარგებლობაში დარჩა. ონომურასთვის მაისური კი ონომურას ბრენდად იქცა. ისე შეუყვარდა, რომ ვარჯიშებზე სხვა

[36] ***ჰირაგანა*** - = იაპონური ანბანი, ჰირაგანას გარდა იაპონელები დამწერლობაში ჩინურ იეროგლიფებსა და კიდევ კატაკანას ანბანს იყენებენ.

რამეს აღარც იცვამდა. ტეშიროგის ონომურა იმ მაისურის გარეშე უკვე ვერც კი წარმოგვედგინა.

* * *

სენგოკუს შემცვლელი კატო-ქოუჩიც ცუკუბას უნივერსიტეტიდან იყო და დროდადრო სხვადასხვა სკოლის ბავშვებს ავარჯიშებდა ხოლმე. ჩვენთანაც საკმაოდ ადვილად შემოვიდა კონტაქტში და მისმა გამოცდილებამ ბევრი რამე შეგვმატა. ბოლო წელიწადი გუნდს მასთან და, რა თქმა უნდა, შეუცვლელ ონომურასთან ერთად უნდა გაგვევლო და „დიდ“ შეჯიბრებებზე წარმატებით უნდა გამოვსულიყავით. კატო-ქოუჩი ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკა გვქონოდა და ამიტომაც ამხანაგურ მატჩებს თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ვატარებდით. გუნდიც თვალსა და ხელს შუა ძლიერდებოდა, ვინაიდან ამდენი ვარჯიში და წვრთნა თავის საქმეს აკეთებდა... რაც მთავარია, მოგებებით რწმენა გვემატებოდა და ბოლო პერიოდში სათამაშოდ სულ უფრო და უფრო ძლიერი გუნდები გვეძახდნენ. წინ ბევრი შეჯიბრი გვქონდა; მათ შორის გაზეთ „იომიურის“ პირველობა კანტოს რეგიონის სკოლებს შორის, რომელიც ყოველ წელს ზედ ახალი წლის წინ იმართება ტოკიოში. ამას გარდა, წინ ქალაქისა და პრეფექტურის სხვადასხვა დონის შეჯიბრი გველოდა, რომლებიც, ძირითადად, არდადეგების დროს იმართებოდა ხოლმე. მეორე წელს დიდი წარმატების იმედი ჯერ კიდევ არ გვქონდა, ვინაიდან ტეშიროგის ძირითადად მეორეკლასელები წარმოვადგენდით და ძირითადად მესამეკლასელების წინააღმდეგ გვიწევდა თამაში. ასე რომ, გუნდის პიკი და შესაძლებლობები ზაფხულის ბოლოდან უნდა გამოჩენილიყო, როცა საშუალო სკოლის ანუ ჩუ-გაკკოს

მესამეკლასელები ბუკაცუს თავს ანებებდნენ და კოკო-ში ანუ ჰიგჰ სცჰოოლ-ში ჩასაბარებლად რთული გამოცდებისათვის იწყებდნენ მზადებას.

ჩემი ჩუგაკოს ბოლო წელი ანუ ტეშიროგის აღმავლობა

აი, დადგა ჩვენი დროც, ანუ ტეშიროგი-ჩუში სწავლის მეორე წლის მეორე ნახევარი, როცა მესამეკლასელებმა დაანებეს თამაშს თავი და გამოცდებისათვის გრძელვადიანი მომზადება დაიწყეს. ასე რომ, მე და ჩემხელები უფროსებად დავრჩით. ჩვენი აზრით, გუნდს ძალიან კარგი შანსები ჰქონდა იბარაკის პრეფექტურის თამაშებზე და, ასევე, მიზნად დავისახეთ კანტოზე გასვლა. ჩვენ ყველას ამ თემაზე საუბარი და თუნდაც ოცნებები დიდ სიხარულს გვგვრიდა. თუმცა, ისიც კარგად გვესმოდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმე იყო; იბარაკიში ჩვენი ძირითადი კონკურენტები იყვნენ მიცუკაიდო, რომელიც იმ სეზონში ძალიან ძლიერი იყო, ასევე კუკიზაკი, ჩიოდა, ინაჰიგაში და, რა თქმა უნდა, აუღებელი სიმაგრე - მორიას გუნდი. გარდა ამისა, ნებისმიერი სხვა გუნდისგანაც ველოდებოდით დიდ წინააღმდეგობას, ვინაიდან ეს ხომ ყველასათვის ჩუგაკკოს ბოლო შეჯიბრებები იყო და ყველა ბოლომდე აპირებდა ბრძოლას.

თუ ადრე ტეშიროგელები ძირითადად ჩვენზე უფროსებს ვეთამაშებოდით (თუ ორ სემპაის არ ჩავთვლიდით), ახლა უკვე ვითარება გაწონასწორდა და ჩვენ პირველივე შეჯიბრება ძალიან იმედიანი შედეგით დავიწყეთ: გუნდმა წარმატებით ითამაშა საქალაქთაშორისო შეჯიბრი და მარტო ფინალი წააგო კუკიზაკისთან და ისიც - სულ ერთი ქულით!

მაცუშიროს შოპინგცენტრში შეკრებილებმა ერთხმად აღვნიშნეთ, რომ თუ ასე გავაგრძელებდით, კუკიზაკისაც მალე მოვუგებდით. კუკიზაკის მოგება ხომ ჩვენი აუხდენელი ოცნება იყო! ტეშიროგი უკვე მაგარ ძალას წარმოადგენდა და კატო-ქოუჩიც ამაში გვეთანხმებოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი მაინც დიდი ტურნირების გამოუცდელობა, უფრო სწორად, ტრადიციების არქონა იყო. ტეშიროგის ხელბურთი ხომ სულ ორი წლის იყო და ტურნირებისათვის ფსიქოლოგიურად ჯერ კიდევ არ იყო მზად. გუნდს ლიდერი სჭირდებოდა, ვინც რთულ ვითარებაში თავის თავზე აიღებდა თამაშს. მისი აზრით, ეს როლი მე და ნაკაიგავას უნდა გვეთავა.

ეს კარგი დასაწყისი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კოჩო სენსეიმ გუნდი საზეიმოდ ჩაგვამწკრივა გრანდოზე და მთელი სკოლის წინ მოგვილოცა სპორტული წარმატება. რა სიამაყით აგვევსო გული და მაშინ მგონი პირველად გავუსწორე წესიერად სკოლის გოგოებს თვალი.

სამწუხაროდ, შემდეგი ტურნირი მთლად ისე კარგად ვერ წარიმართა: გუნდს ნაკაიგავა დააკლდა: იმ ბოთემ ვარჯიშზე უაზროდ იტკინა ფეხი და შემდგომ შეჯიბრზე მიცუკაიდოსთანაც წავაგეთ და, რაც მთავარია, კუკიზაკიმ გაგვანადგურა დიდი ანგარიშით. ამ წაგებამ იმოქმედა ჩვენზე და იომიურის შეჯიბრებაზეც მაინცდამაინც ვერ ვისახელეთ თავი: ძალიან ადვილად მოვუგეთ იამანაშის გუნდს, მაგრამ მერე „საიტამასთან“ წავაგეთ და ტურნირსაც გამოვეთიშეთ.

მოულოდნელად გუნდს კიდევ ერთი პრობლემა დაემატა: კავამოტომ, ყველასაგან მოულოდნელად, ვარჯიშებს თავი დაანება, სახლში იჯდა, ძირითადად მეცადინეობდა და თავისუფალ დროს მანგას კითხულობდა. კავამოტოს არყოფნა გუნდს ძალიან დაეტყო. წინ სერიოზული შეჯიბრებები გვქონდა და ამიტომ მე, ნაკაიგავამ, იუიუამ და პროფესორამკავამოტოს სახლში მივაკითხეთ და მისი დაყოლიება ვცადეთ. გზაში მოვილაპარაკეთ, რომ, პირველ რიგში, შევეკითხებოდით მიზეზს და ეს როლი თავის თავზე იუიას უნდა აეღო. იუია დიდი მოლაპარაკე კაცი არ იყო და გვთხოვა, იქნებ სხვამ დაუსვას ეგ შეკითხვაო:

- პროფესორ, იქნებ შენ ჰკითხო, ლაპარაკი ჩემზე კარგად კი გეხერხება და... - მაგრამ პროფესორამ არც დაამთავრებინა და ცივი წყალი გადაასხა:

- მისი მანგას ნაკამა[37] შენა ხარ და კავამოტოსათვის ყველაზე სანდო პირად შენ ითვლები, ასე რომ, ეგ საქმე შენ უნდა იკისრო, - რაზეც ჩემი და ნაკაიგავას დასტურიც მოჰყვა.

- კარგი, რადგან ეგრე აჯობებს, დაველაპარაკები, მაგრამ თქვენც უნდა დამეხმაროთ...

- მაგაზე ნუ იდარდებ, დაგეხმარებით და, თუ საჭირო იქნება, ერთი-ორს წავუთაქებთ კიდეც, - გაიხუმრა ნაკაიგავამ.

ამ ლაპარაკში კავამოტოს სახლის წინ აღმოვჩნდით და ზარი გაუბედავად დავრეკეთ. კარი კავამოტოს მამამ გაგვიღო და შეგვიპატიჟა. გაკვირვებულმა კავამოტომ იქვე, სასადილო ოთახში დაგვსვა. ჩვენი ნახვა წამიერად გაუხარდა, მაგრამ მისვლის მიზეზს უმალ მიხვდა და ინდიფერენტული სახე მიიღო. ლაპარაკი ჩვეულებრივად დავიწყეთ სხვადასხვა თემაზე, თუმცა, საუბარიც

---

[37] ***ნაკამა*** - მეგობარი.

მაინცდამაინც იოლად არ მიდიოდა. კავამოტო ბევრს არ ლაპარაკობდა, ძირითადად გვისმენდა და შეკითხვებზე მოკლე პასუხებს იძლეოდა. სამაგიეროდ, იუია დაიქოქა და აღარ გაჩერდა! მანგაზე დაიწყო ლაპარაკი და მაქსიმალურად წელავდა თავისი „ძირითადი ფუნქციის" შესრულებას. როგორ არ ვეცადეთ მე და ნაკაიგავა, ხან ვანიშნეთ, ხან დავუბღვირეთ, ის კი არა, ფეხიც კი დავაბიჯე, მაგრამ იუია არ ჩერდებოდა. ბოლოს პროფესორა დაიღალა, იუია გააჩერა და კავამოტოს პირდაპირ მიმართა:

- კავამოტო ალბათ ჩვენი აქ მოსვლის მიზანს მიხვდი და იქნებ აგვიხსნა, რა მოხდა და ვარჯიშებზე რატომ აღარ დადიხარ? - ეს სიტყვები და იუიას შვებით ამოსუნთქვა ერთი იყო.

- დრო აღარ მაქვს, ვარჯიშებზე ძალიან ვიღლები და გაკვეთილებს ვერ ვასწრებ, ის კი არა, მანგასაც აღარ ვკითხულობ, - გაგვცა არაფრისმთქმელი პასუხი კავამოტომ, ისე, რომ თავიც არ აუწევია.

ეს სტანდარტული პასუხი იყო და თუ რა იმალებოდა მის უკან, არ ვიცოდით.

- გასაგებია, მაგრამ ახლა შენი დახმარება ძალიან გვჭირდება, მაგარი გუნდი გვყავს, ყველანი მაგრად ვვარჯიშობთ და გვინდა, ტეშიროგი ვასახელოთ, კარგი შედეგები ვაჩვენოთ, - ვერ მოითმინა ნაკაიგავამ და პირდაპირ მიახალა, - იქნებ დაბრუნდე ვარჯიშებზე?

მეც დავუკარი კვერი. კავამოტომ ყოყმანი დაიწყო და რამდენიმე ფრაზა ჩაილაპარაკა:

- არ ვიცი, მოვიფიქრებ... დაკავებული ვარ! - ამ ჩვენი საუბრის ბოლო ნაწილს ძალაუნებურად სამზარეულოდან გამოსული მამამისი შეესწრო და ჩვენთან ჩამოჯდა.

- მასაიუკი, მიმართა კავამოტოს, - მეგობრობასა და მეგობრების დახმარებაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს? ახლა შენს მეგობრებს სჭირდები და, მე მგონი, გვერდში უნდა დაუდგე. ამაზე მეტი როგორ გთხოვონ, ხომ ხედავ, სახლში მოგაკითხეს. თან ეს გუნდს ეხება, გუნდი ხომ ერთიანი უნდა იყოს!…

კავამოტოს მამის საუბარი ახლაც ხშირად მახსენდება, მაშინ ჩვენზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავისი შვილის მხარე არ დაიჭირა და ჩვენ მოგვემხრო. ამ შეხვედრის მერე იმედი მოგვეცა, რომ მასაიუკი დაგვიბრუნდებოდა, მაგრამ ერთი რამე ყველასთვის ცხადზე ცხადი იყო, დრო აღარ ითმენდა, უკვე მესამე წლის ბოლო, გადამწყვეტი შეჯიბრებები იწყებოდა და კავამოტოსთან ერთად თუ მის გარეშე _ ჩვენ ჩვენი მიზნისკენ მივდიოდით და წინ, მოწინაღმდეგის გარდა, სხვა ვერაფერი დაგვიდგებოდა.

ჩვენმა ასეთმა სულისკვეთებამ და მონდომებამ მალე კიდევ ერთი ნაყოფი გამოიღო, სამხრეთ იბარაკის ჩემპიონატზე, ანუ კენნანზე, მეორე ადგილი ავიღეთ: ნახევარფინალში „ჩიოდას“ მოვუგეთ და ფინალში კი მხოლოდ „მორიასთან“ წავაგეთ.

ბოლო შეჯიბრი

კენნანზე კარგმა თამაშმა ძალიან აღგვაფრთოვანა და გუნდმა პრეფექტურის ჩემპიონატისათვის დიდი მონდომებით მზადება დაიწყო. ფინალში გასვლის შემთხვევაში, გზა სანატრელი კანტოს ჩემპიონატისათვისაც გვეხსნებოდა. მზადებისათვის ორი კვირა გვქონდა და ჩვენც ვარჯიშებზე თავს არ ვიზოგავდით. კატო-ქოუჩი და ონომურაც კარგ განწყობაზე იყვნენ. ერთადერთ პრობლემას ისევ

კავამოტო წარმოადგენდა, ჩვენთან შეხვედრის მერე ერთი-ორჯერ მოვიდა და მერე ისევ სახვეწარი გაგვიხდა... ბოლო დროს ვარჯიშებზე აღარ დადიოდა. არადა, მისი პატარა ძმაც ჩვენთან თამაშობდა და, მიუხედავად იმისა, რომ პირველკლასელი იყო, ხშირად შეცვლაზე გამოდიოდა. მოკლედ, ბიჭებმა ისევ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ აღარ დაგვეძალებინა. „ერთხელ უკვე ველაპარაკეთ, თვითონ ძალიან კარგად იცის ამ შეჯიბრის მნიშვნელობა და ყურით ხომ არ წამოვათრევთო!“ - თქვა პროფესორამ.

- მართალია, თუ უნდა, მოვა და ითამაშებს ჩვენთან ერთად, პატარა ბავშვი არაა, რომ დავაძალოთ! - დაადასტურა იუიამ.

- ასეა თუ ისე, გავაგრძელოთ ჩვენი ვარჯიშები და მერე გამოჩნდება, მოვა თუ არა, - მეც დავამატე. გულის სიღრმეში ყველას მაინც გვჯეროდა, რომ მოვიდოდა. კავამოტო ძალიან მეგობრული, მაგრამ უთქმელი ვინმე იყო და დღესაც არ ვიცი ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ ან ვის გამო აითვალწუნა ხელბურთის თამაში. რაღაც მიზეზი ნამდვილად უნდა ჰქონოდა და ამიტომაც ვერაფერში ვერ დავადანაშაულებდი. ერთხელ ჭორის დონეზე ვიღაცამ მითხრა, რომ ნაგისას მიმართ გულგრილი არ იყო და მგონი წერილიც კი მიუწერია, რაზეც ნაგისას ცივი უარი მიუღია. მაგრამ მართალი იყო თუ არა ეს ყველაფერი, დღესაც არ ვიცი.

აი, მოვიდა პრეფექტურის ჩემპიონატის დროც. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იწყებოდა ხელბურთის დიდი მარათონი, პრეფექტურიდან კანტოზე ორი გუნდი გადიოდა და მერე კანტოდან საუკეთესო სკოლის გუნდებს საბოლოოდ ზენკოკუზე, ანუ იაპონიის ჩემპიონატზე ეხსნებოდათ გზა.

თამაშის წინა საღამოს ჩვენს „ბირჟაზე" შევიკრიბეთ მაღაზიის წინ, წვენები ვიყიდეთ და შეჯიბრზე დავიწყეთ ლაპარაკი და ოცნებები.

- ბიჭებო, რთული ჯგუფი შეგვხვდა და ფინალში გასვლა ადვილი არ იქნება, - წამოიწყო იუიამ.

- ჰო, ეგრეა, - ჩაერთო ნაკაიგავაც, მართალია, კეაკიდაის გუნდი სხვა ჯგუფშია, სამაგიეროდ ჩვენთან მიცუკაიდო, ინაჰიგაში და, რაც მთავარია, კუკიზაკია. ფინალში კვირისთვის უნდა გავიდეთ ყველა მოგებით, რომ პირველ თამაშში კეაკიდაის არ დავეჯახოთ. თუ კვირას პირველ თამაშს წავაგებთ, ცხადია, რომ ფინალში ვერ გავალთ და კანტოზეც ვეღარ ვითამაშებთ, - დაამატა ჩუმამ.

- ხვალ მაგრად დავდგებით, რაც მთავარია, კუკიზაკის უნდა გავუსწორდეთ, ბოლო-ბოლო გადამწყვეტი და ბოლო შეხვედრა იქნება მაგათთან და უნდა მოვუგოთ! - თქვა კიკუჩიმ.

- ისე, აქამდე სულ ვაგებდით, მაგრამ ბოლო დროს თამაშით გავუსწორდით და მაგათთან შეჯიბრზე ერთი ბურთით წავაგეთ, - დავამატე.

- ამ ტამურას დარტყმას რა გააჩერებს! - ჩაილაპარაკა ნობორიმ, ისე, რომ ჩვენს პასუხსაც არ დალოდებია.

- რა კი არა _ ვინ! ვინ და ჩვენი იუია გააჩერებს! - მოსწრებულად ჩაერთო სუგავარა.

- და დაცვაშიც დავეხმარებით. ძლივს რაღაცა ჭკვიანური არა თქვა! - წამოაძახა კიკუჩიმ, - ეჰ, მაგათთან მოგვაგებინა და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება! – ჩაილაპარაკა პროფესორამ და გადმოგვხედა.

ყველას სახეზე იგივე გრძნობა გვქონდა აღბეჭდილი. ჩვენი ჭკუით, ტაქტიკური მონახაზებიც გავაკეთეთ.

- ბიჭებო, თუ დავინახეთ, რომ დაცვაში საქმე ცუდად მიდის, 4+2-ზე დავდგეთ! - ვუთხარი დაიმედებულმა. დაცვის ეს სტილი ვარჯიშის დროს ჩვენ თვითონ შემოვიღეთ, ოთხნი უკანა ზონის ხაზის ირგვლივ ვიდექით და 2 კაციც წინ გვყავდა წაწეული და ამით გამთამაშებლებს საკმაოდ დიდ პრობლემებს ვუქმნიდით, ჰოდა, 4+2 დავარქვით. ფაქტობრივად, მოწინააღმდეგეს შიგნით შემოსვლა უჭირდა და ბურთის მოგერიებისას კარგი კონტრშეტევის საშუალება გვეძლეოდა.

- 4+2 სარისკოა, ჯერ თამაშის დროს არც კი გვიცდია, თან ონომურა და კატო-ქოუჩისათვის არც გვითქვამს და გაგვიბრაზდებიან, - წამოიძახა სუგავარამ.

- შენ ყოველთვის ეგეთი ფრთხილი ხარ, ოღონდ რამე არ გარისკო! - შეუტია იუიამ,

- მოიცა, ერთი! შენ, სჯობს, „ფარჩაკული" გოლები არ გაუშვა, - აქეთ შემოუტია ნაკაიგავამ, მერე სხვებიც ჩაერთნენ და ატყდა ერთი კამათი.

მაგრამ ვინ გაცალა, საიდანღაც კიმუ გაჩნდა, თურმე მაღაზიაში გაგზავნა დედამისმა და, რომ დაგვინახა, შემოგვიერთდა, კამათის მიზეზი კარგად ვერც გაარკვია, უცებ გაგვაჩერა, დაგვიწყო ხელბურთზე ლაპარაკი და „ჭკუის სწავლება", ხან ვის რა დარიგება მისცა და ხან - ვის; მოკლედ, იმდენი გვაცინა, რომ ყველას მუცლები ხელებით გვეჭირა. ჩემი კლასელისა და ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის - კიმუს გარეშე ჩვენი კლასი ვერც წარმომედგინა. მოუსვენარი, როგორც იტყვიან, კლასის სული და გული იყო. ახლაც თან გველაპარაკებოდა და თან ზედმეტი ემოციებისაგან სასაცილოდ იქნევდა პარკს დედამისის დანაბარები პურითა და რძით. ლაპარაკში კარგად შეხურდა და ეტყობოდა, კიდევ დიდხანს აპირებდა ჩვენს

გართობას და ჭკუის დარიგებას, რომ უცებ დაიქუხა: „ტაკეფუმი"! (ეს კიმუს სახელი იყო, ჩვენ კი მას გვარით მივმართავდით)... ლოდინით დაღლილმა დედამისმა ვერ მოითმინა და შვილის საძებნელად (უფრო სწორად - დასასჯელად) გამოვიდა. ამ ხმის გაგონებაზე კიმუს ფერი გადაუვიდა, თუმცა იუმორის გრძნობა მაინც არ დაუკარგავს:

- ცუდადაა ჩემი საქმე! - ჩაიბუტბუტა და თავჩაღუნული, ვითომდა დამნაშავის სახით მორჩილად გაჰყვა დედამისს. „აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!" - ესღა მოასწრო, სანამ დედამისის წინ გაჩნდა და თავის გამართლების მიზნით ახსნა დაუწყო დედამისს: ვითომ პროფესორასთან რაღაც მათემატიკის ამოცანაზე ლაპარაკობდა, თან ჩუმად ჩვენკენ აპარებდა თვალს და გვეჯღანებოდა. დედამისი მასამი წყნარად უსმენდა მის ახსნა-განმარტებას, რის გამოც ოჯახს სადილმა დაუგვიანა... ეს სიწყნარე კარგის მომასწავებელი არ იყო და სახლში მისვლისას კიმუს კარგი არაფერი ელოდა... უკვე სახლში მიმავალს უცებ ნაკაიგავამ სიცილით მიაძახა - კიმუ, ხვალ დილის 5-ზე გავდივართ და ჩვენი გაცილება არ დაგავიწყდესო!

ამის მერე ჩვენც დიდხანს აღარ შევრჩენილვართ და დავიშალეთ... თითოეული ჩვენგანი ხვალინდელ შეჯიბრზე ფიქრობდა. შეჯიბრი მორიას სპორტის დარბაზში ტარდებოდა და ორ დღეს გრძელდებოდა. პირველ დღეს, ანუ შაბათს, შესარჩევი თამაშები ტარდებოდა და პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები კვირას ფინალებს თამაშობდნენ ტურნირზე გასასვლელად. ჩვენ პირველივე დღეს ძალიან რთული თამაშები გველოდა, ვინაიდან ჩვენთან ერთად ჯგუფში ინაშიგაში, მიცუკაიდო და კუკიზაკი მოხვდნენ. ყველაფერთან ერთად, ფსიქოლოგიური ბარიერიც უნდა დაგვეძლია, მიცუკაიდოსთან ხომ ბოლოს წაგებული გვქონდა და, აი, კუკიზაკისთან კი არასდროს არ მოგვიგია.

დილას ადრე შევიკრიბეთ და ავტობუსთან მშობლებისა და გამცილებლების წინ ჩავმწკრივდით. კარგი ტრადიცია იყო: ვინც თამაშზე ვერ მოგვყვებოდა, გასაგები მიზეზების გამო, ხშირად გასაცილებლად მაინც მოდიოდა ხოლმე. აი შინია და სხვა რამდენიმე სენპაი ბიჭიც აქ იყო. შინიამ ერთი-ორჯერ სიტყვა ჩამომიგდო და მერე, რა თქმა უნდა, თავის „კოლეგა“ იუიასთან მივიდა და დარიგებებით აავსო. „აუ, ბიჭებო, მგონი კიმუც აქაა“, - უცებ ბინდში დაინახა ავტობუსისკენ მომავალი სილუეტი ჩუმამ. „ჰო, მე ვარ, მე, რაღაც ადრე გამეღვიძა და გამახსენდა, რომ დილას იკრიბებოდით. ხომ იცით, წასვლის წინ ჩემი დარიგება როგორი მნიშვნელოვანია თქვენთვის!“ - გაიხუმრა კიმუმ და გააგრძელა: „თუ გინდათ, რომ მოიგოთ... ბევრი გოლი უნდა გაიტანოთ!“

ამ სიტყვებს ბიჭების ხარხარი მოჰყვა: „ეს რა მაგარი რჩევაა, ჩვენ კი არ ვიცოდითო!“ - კიმუს რჩევამ თავისი საქმე გააკეთა, ყველანი კარგ ხასიათზე დავდექით: „კიმუ არიგატოუ!“[38]

ყველა იქ მყოფს თავისი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: მაგალითად, პირველ-მეორე კლასელები ძირითადად თამაშისთვის წასაღებ ნივთებს აგროვებდნენ.

- ბიჭებო, მგონი ვერ ერევიან, მოდით, დავეხმაროთ, - თქვა კიკუჩიმ და მომავალ პირველკლასელს ბურთების ერთი შეკვრა გამოართვა. მშობლებიც იქვე ფუსფუსებდნენ, ზოგმა საჭმელი ბენტოები[39] შეუკვეთა, ზოგმა პატარა პირსახოცები მოაგროვა. ყველაზე მნიშვნელოვანი - წყლის ფუნქცია ტრადიციულად ჩუმას მამას ჰქონდა თავის თავზე აღებული და ყოველთვის პოკარით[40]

---

[38] ***არიგატოუ*** - მადლობა.

[39] ***ბენტო*** - საგზალი კოლოფში.

[40] ***პოკარი*** - სპორტული სასმელი/

გვამარაგებდა. გასაკვირიც არაა, ვინაიდან ის „ოცუკაში"[41] მუშაობდა. გამახსენდა მამაჩემის მონაყოლი: ერთხელ, რომელიღაც მიღებაზე, მამაჩემს, როგორც უცხოელს, ჰკითხეს: „თქვენთვის იაპონური გემოს ასოციაციას მაინც რა იწვევსო", მამაჩემმაც არ დააყოვნა და უთხრა: „ასეთი რამ ბევრია, მაგრამ ჩემთვის მაინც „პოკარიაო"! იაპონელებმა უკბილოდ გაიღიმეს, ეგონათ, უცხოელია და ვერ გაგვიგო შეკითხვაო, უფრო პოპულარულ პასუხს ელოდნენ, რომელიც ძირითადად დიალოგის შენარჩუნების მიზანს ისახავს. ასეთი პასუხი უცხოელისაგან, ალბათ, არასოდეს მიუღიათ, ყველა ძირითადად სუშის ან საშიმის ასახელებს, რასაც შემდეგი კითხვები მოსდევს, „რომელი თევზის?" ან გაკვირვებული: „სუში გიყვართ?". ამიტომ პოკარის გაგონებაზე მთელი შემდეგი კითხვები ჩაუცვივდათ და პაუზაც კი ჩამოვარდა. მამაჩემმა კი აუხსნა: იაპონიაში პირველად რომ ჩამოვედი, პოკარი რომ გავსინჯე, ძალიან მომეწონა, ასეთი გემო ადრე ნაგემი არ მქონდა. ახლაც რომ ვსვამ, ხშირად ჩემი პირველი ვიზიტი და მაშინდელი ემოციები მახსენდება. „ნარუხოდო"*, ახლა კი გაიხსნენ იაპონელები და ხუმრობა დააყოლეს, „ეს რომ გვცოდნოდა, ამ მიღებაზეც მოგამარაგებდით პოკარითო“. მამაჩემისა არ იყოს, პოკარი გუნდელებს ყველას ძალიან გვიყვარდა და ჩუმას მამისაგან ამ საჩუქარს ყოველთვის სიხარულით ველოდებოდით...

აი, ჩასხდომის დროც მოახლოვდა, მშობლებს და ყველა გამცილებელს თავები დავუკარით და ავტობუსში მოვკალათდით. ერთმანეთთან კრინტი არ დაგვიძრავს, თუმცა თითოეულ ჩვენგანს ბოლომდე იმედი ჰქონდა, რომ კავამოტო მოვიდოდა, ამიტომ ავტობუსი რომ დაიძრა, ბიჭებმა ბოლო იმედით თავები უკან

---

[41] *ოცუკა* – იაპონური დიდი ფარმაცევტული კომპანია.

მოვატრიალეთ და გზას გავხედეთ... კავამოტო არ ჩანდა. ავტობუსში ნაგისას გვერდზე მოვხვდი. როგორც ყოველთვის, ნაგისა მხნედ იყო და ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა. იცოდა თავისი საქმე: ყინული და პატარა სველი პირსახოცები გულმოდგინედ გაამზადა. მე მეძინებოდა და ლაპარაკის თავი არ მქონდა. ნაგისა, ეტყობა, თამაშზე ნერვიულობდა, ჰოდა, მკითხა:

- თემუკა, რას ფიქრობ, მოვიგებთ? კანტოზე გავალთ?

- მოვიგებთ, აბა რა! - ვუპასუხე ნახევრად მძინარემ. ამის გაგონებაზე ნაგისა გაიბადრა.

- გამიხარდა, ეგრე რომ მიპასუხე! - მითხრა, პაუზის მერე კი დაამატა: - იცი რა, თუ კანტოზე გავალთ, რა გინდა, კვირას საღამოს „მაკდონალდსი“ ჩემზე იქნება. ლიო კუნი ვამეცადინე ვიოლინოში და დედამისმა ერთი თვის ფული გადამიხადა. ჰოდა, წავიდეთ... რა გინდა, მე გპატიჟებ!

- ვა, მაგარი იქნება! - ეს ვთქვი ნახევრად ბურანში და ჩამეძინა.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, ავტობუსის გაჩერებამ და ონომურას ხმამ გამომაღვიძა. კარგად გამოვიძინე, მაგრამ მაინც გულში თითქოს რაღაც მივლიდა. სპორტულ დარბაზში ფეხის შედგმისას ეს გრძნობა ერთიორად კიდევ უფრო გამიძლიერდა. ხელბურთის დიდ დარბაზში ჩვენზე ადრე მისული გუნდები უკვე გულმოდგინედ ხურდებოდნენ, ზოგი კარში დარტყმაზე და ზოგიც უბურთო მოთელვას აკეთებდა. ჩვენთვის ადგილი წინასწარ გამოყოფილი იყო და ჩვენც იქით გავეშურეთ. ონომურა-სენსეიმ თამაშის წინ ძირითადი შემადგენლობა დაასახელა. თამაშს მე, ნაკაიგავა, კიკუჩი, ჩუმა, ერთი მეორეკლასელი ვიწყებდით და, როგორც მოსალოდნელი იყო, კავამოტოს ნაცვლად პროფესორა იდგა და მას დროდადრო კავამოტოს ძმა ცვლიდა. ასევე, შეცვლაზე კიდევ ერთი

პირველკლასელი, იუიას ძმა შემოდიოდა ხოლმე. კარში, რა თქმა უნდა, იუია, რომელსაც ამავე დროს გუნდის კაპიტნობაც ებარა. ნელ-ნელა გულშემატკივრებმაც დაიწყეს მოდინება და ორი სექტორი ჩვენი და მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივრებით შეივსო.

* * *

პირველ დღეს პირველი თამაში მიცუკაიდოსთან გვქონდა, მეორე - ინაშიგაშისთან და ბოლო - კუკიზაკისთან. მიცუკაიდოსთან თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ახლაც კარგად მახსოვს ის თამაში: მე და ნაკაიგავამ ძალიან კარგად ჩავატარეთ, მაგრამ იმ თამაშის გმირი ნამდვილად იუია იყო. მან ორი პენალი აიღო და ისედაც ბევრი ბურთი გადაარჩინა. ამან ჩვენ წინ გასვლის საშუალება მოგვცა და საბოლოოდ გამარჯვებამდე მიგვიყვანა. თამაში ორი ბურთით მოვიგეთ. პირველმა გამარჯვებამ დიდი სტიმული მოგვცა და ინასიგაშისთან დასაწყისში საკმაოდ დიდ უპირატესობას ვფლობდით. თუმცა მეორე ნახევარში მოვდუნდით, დაცვაში შეცდომები დავუშვით და საბოლოოდ თამაში ფრედ დავამთავრეთ. ამასობაში, მიცუკაიდომაც ფრედ ითამაშა კუკიზაკისთან და ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოლო შეხვედრაში სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გველოდა: ორივე გუნდს ფინალში გასასვლელად მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა. ჰოდა, ასეთ მდგომარეობაში დავდექით დღის მიწურულს ძველი მეტოქეები ერთმანეთის პირისპირ...

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დაძაბულად დაიწყო და პირველად ანგარიში ტეშიროგიმ გახსნა. ნაკაიგავა შეეჭრა დაცვას

ინსაიტიდან და თავისი საყვარელი ლონგ-შუტო[42] გაიტანა. ბურთი ძელს მოხვდა და ისე შევიდა კარში. ისეთი დარტყმა იყო, რომ წინასწარ იგრძნობდი, გოლი იქნებოდა. ეს მისი საყვარელი დარტყმა იყო და ბევრს აოცებდა კიდეც. გოლის გატანას ეგრევე მოჰყვა ტეშიროგის ოენის[43] ხმა, რომელშიც განსაკუთრებით კარგად ისმოდა სუგავარას ნაის-შუტ!![44] სუგავარას, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ბენჩზე იჯდა, არანაკლები წვლილი შეჰქონდა ჩვენს თამაშში - ოღონდ, რა თქმა უნდა, ოენში.... არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ სად იყო ის, გუნდის ნაწილი იყო და გუნდისათვის თავს არ იშურებდა და არ თაკილობდა, რომ თავისიანებს ყველანაირად დახმარებოდა. ეს ყველამ კარგად ვიცოდით და ვაფასებდით.

ჩვენი გოლით კუკიზაკიმ ბრძოლისუნარიანობა ოდნავაც არ დაკარგა, პირიქით, ნაკაიგავას გოლს თითქოს ელოდნენ კიდეც. შეტევაში ერთი-ორი ბურთის გათამაშების შემდეგ, მოედნის კუთხიდან წამოიწყეს კომბინაცია. მათი მოთამაშეები ერთი მეორეზე გადაებნენ და ბოლოს ისე გაგვიტანეს, რომ ვერც გავიგეთ, თუ საიდან დაარტყეს. კუკიზაკის გუნდელები. მართლაც რომ, კარგად იყვნენ შეთამაშებულები და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით მათი შეტევის სტილი, მათ შეჩერებას მაინც ვერ ვახერხებდით. მაგრამ შეტევაში ჩვენც მაგრები ვიყავით და პირველი 5-6 წუთი თანაბარი თამაში მიდიოდა - არც ისინი იყვნენ წინ, არც ჩვენ... საერთო დაძაბულობა გრძელდებოდა და ძლიერდებოდა.

---

[42] **ლონგ-შუტო** - შორიდან დარტყმა (ინგლისურიდან).

[43] ***ოენი*** - გულშემატკივრობა

[44] ***ნაის-შუტ*** - კარგი დარტყმა (ინგლისურიდან)

მხოლოდ 10 წუთს რომ გადააცილა საათმა, კუკიზაკის ტამურამ გაგვიტანა თავისი პირველი გოლი ამ თამაშში. 11 მეტრიდან ამხტარმა იუიას იღლიის ქვემოთ გაურჭო ბურთი. ეს კარგის მომასწავებელი არ იყო, ამ ბურთით ვიგრძენით, თითქოს მძინარე ლომმა გაიღვიძაო……

ტამურაზე გამიგია, რომ პატარაობიდან ცურვაზე დადიოდა და ამიტომაც ჰქონდა ასეთი ძლიერი დარტყმა. მისი ტყვიასავით დარტყმა მთელ იბარაკიში იყო განთქმული. მართლაც, ისეთი დარტყმა ჰქონდა, რომ თამაშის დროს თვით ჩვენს კარში გატანილ ბურთზე ტაშის დარტყმა მინდებოდა ხოლმე,… მაგრამ გამონაკლისი მხოლოდ დღევანდელი შეხვედრა იყო, მისმა გატანილმა გოლმა ისევე შეარყია ჩვენი გულები, როგორც მისმა დარტყმულმა ბურთმა _ ძელი...

ამ ბურთის შემდეგ დაიწყო ტამურას „გოლების პარადი“. სულ ერთი და იმავე ტაქტიკით გვიტანდა, იუიას, რომელსაც უკიდურეს მდგომარეობაში უთვალავჯერ გადარჩენილები ვყავართ, სულ იღლიებში გასდიოდა ბურთი. თვითონაც შოკში იყო, მაგრამ გასაკვირი არც იყო, რომ ვერ იღებდა, ვინაიდან „ტყვიის“ ამღები მეკარე არავინ მეგულებოდა მთელს კანტოში...

კუკიზაკის ბიჭებიც, უკვე დაწყნარებულ სახეებით, მას სახელით მიმართავდნენ „ნაის-შუტ ტოშიჰიკო“. თანაც ამ გოლების შეფარდებით დაცვის ტემპსაც მოუმატეს. ჩვენ შეტევაში გავიჭედეთ. მე სისწრაფეს მოვუკელი, ნაკაიგავასაც კინჩო[45] დაეტყო და ადვილი

[45] ***კინჩო*** - ღელვა, “მანდრაჟი”

ბურთების გამაზვა[46] დაიწყო – ის მაინცდამაინც არ იყო „პრეშას“[47] მიმართ ძლიერი მოთამაშე. ჩუმა, რომელიც ჩვენ შორის ყველაზე დიდხანს დადიოდა ხელბურთზე და მისი მშობლები ყველაზე აქტიურად გვეხმარებოდნენ, საკმაოდ სუსტად თამაშობდა... ასეთი ბოთე ხელბურთელი მე არ მინახავს! პირველად სულ ტყუილად დაეცა და ბურთი სხვა მიმართულებით დაარტყა, გეგონებოდა, ჩვენს კარს დაუმიზნაო (რა თქმა უნდა, კუკიზაკიმ ეს შანსი არ გაუშვა ხელიდან და თავის სასარგებლოდ შეასრულა კონტრშეტევა). მერე კიდევ სულ ცარიელმა მიიღო ბურთი და პირდაპირ მეკარეს გადაუგდო ხელში... ეჰ ჩუმა, ჩუმა!

კიკუჩის ეტყობოდა, რომ ნელ-ნელა კონტროლს კარგავდა და გუნდში ყველას იმის შიში დაეწყო, რომ მას კიდევ რამე არ ჩაედინა. ვაპირებდი, რომ დამეწყნარებინა და ერთი-ორი სიტყვა მეთქვა, ვინაიდან გუნდში ყველაზე მეტად მე მიჯერებდა და ყველაზე ნაკლებად კი _ ონომურას. მაგრამ სანამ მე მოვასწრებდი რამის თქმას, კიკუჩიმ ველარ მოთოკა ნერვები და „გაგიჟება“ დაიწყო. მიზანში სწორედ ტამურა ამოიღო, რადგანაც ყველაზე ძალიან მისი შეჩერება გვიჭირდა. კიკუჩის ხასიათი ისევე იყო განთქმული მთელ იბარაკიში, როგორც ტამურას ტყვიისებური დარტყმები. ერთხელ ისე ატეხა ჩხუბი რომელიღაც გუნდის მოთამაშესთან, რომ მოჩხუბრები წითელი ბარათებით გააძევეს. თამაშის მერე მოწინააღმდეგეს მთელი გუნდი მივიდა კიკუჩისთან და ბოდიშის ნიშნად ბიჭებმა მას თავი დაუხარეს. ამჯერად, როგორც კი მიიღო

---

[46] ***გამაზვა*** – ქართულში გამოყენებული სლენგი, ნიშნავს გაფუჭებას, წახდომას.

[47] ***პრეშა*** – ზეწოლა

ტამურამ ბურთი, კიკუჩი კუთხიდან ცეცხლივით გავარდა მისკენ - რომ გავხედე, ტამურა უკვე ძირს ეგდო ბურთთან ჩახუტებული... კიკუჩის ბურთის ჩაჭრა უნდოდა და წამით ვერ მოასწრო, მიხვდა, რომ ამ შეცდომის მერე გახსნილი ტამურასთვის გოლის გატანას არაფერი ედგა წინ და ამიტომ ზედმეტი მონდომებისაგან სხვა გზა აღარ რჩებოდა, თავი ვეღარ შეიკავა, ტამურას წაჰკრა და ორწუთიანი გაძევებაც აიკიდა. ტამურას შეშინებული სახე დღემდე არ დამავიწყდება, მისკენ გაწეული კიკუჩი რომ დაინახა... მგონი, უფრო შიშისგან დაეცა, ვიდრე კიკუჩისთან კონტაქტის გამო. რა თქმა უნდა, კუკიზაკის ბიჭები აყვირდნენ თავიანთი ნოგუჩი-ქოუჩის მიყოლებით. კიკუჩის კარგად ვიცნობ და, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ დაუშვა, რომ გუნდს კიდევ ერთი ზედმეტი გოლი „ეჭამა“. ამიტომაც აიკიდა 2-წუთიანი.

ამ არეულობის დროს მივედი კიკუჩისთან და ვუთხარი, რომ ეს ორი წუთი დაწყნარებულიყო და მერე ბოლომდე უნდა შეგვებერა. ჯერ კიდევ გაწითლებულმა კიკუჩიმ დასტურის ნიშნად თავი დამიკრა. თამაშს მაგრად ვაგებდით, თუმცა, მოვახერხეთ და უმცირესობაში ყოფნისას კონტრშეტევის წყალობით ორი ბურთი გავიტანეთ და ერთი მივიღეთ.

აი, თამაშის პირველი ნაწილიც დასრულდა, რომელმაც გვაუწყა, რომ მეორე ტაიმს კუკიზაკი 4 ბურთის უპირატესობით იწყებდა, რაც ნიშნავდა, რომ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვიყავით. სულ 8 ბურთი გვქონდა გატანილი და 4 ბურთის სხვაობა როგორ უნდა ამოგვექაჩა?! თან ყველას მწარედ გვახსოვდა კუკიზაკისთან ბოლო გამანადგურებელი მარცხი. სასოწარკვეთილები კატო-კოუჩს ვუყურებდით. რამდენჯერ მოუცია დროული რჩევა და რამდენი რამ უსწავლებია ჩვენთვის. მაგრამ ამჯერად თვით კატო-კოუჩსაც რომ

ვერ შევატყვეთ ვერაფერი სანუგეშო, იმედი საბოლოოდ დაგვეკარგა და თამაშის გაგრძელების განწყობაც წაგვერთვა. მთელი გუნდი მდუმარედ იყო, ზოგი პოკარის სვამდა, ზოგი იწელებოდა, ზოგი პირსახოცით ოფლს იწმენდდა..... კუკიზაკელებს რომ გადავხედე, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და კარგ განწყობაზე იყვნენ. მეჩვენებოდა, თითქოს მოედნის შუახაზი მდინარესავით ორად ყოფდა იქაურ და აქაურ სამყაროს და ამ მდინარის გადალახვა შეუძლებელი იყო.

კიკუჩი გუნდელებისგან განმარტოებული თავჩაღუნული იჯდა ბენჩის ბოლოში და თავისი გრძელი თმა სახეს უფარავდა. უნებლიეთ, კიკუჩის შემყურეს, მისი და ონომურას დაპირისპირება გამახსენა. ონომურასათვის, როგორც ტრადიციული იაპონელი მასწავლებლისათვის, გუნდში წესრიგის დამყარების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი იყო. ვინაიდან ჩვენ მას დიდ პრობლემებს მაინცდამაინც არ ვუქმნიდით, ონომურა მთელ თავის სადარდებელს კიკუჩის გრძელ თმაში ხედავდა. მისი აზრით, ეს ფაქტი ძალიან უარყოფით გავლენას ახდენდა სხვა მოსწავლეების აღზრდა-განათლებაზე და საერთოდაც, ამობობდა, რომ არ მინდა რომ ტეშიროგელები სხვა სკოლელებზე ფურიოების შთაბეჭდილებას ტოვებდნენო. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ დაპირისპირებამ პრინციპული ხასიათი მიიღო და ონომურაც დათმობას არ აპირებდა. ჩვენ კი, როგორც ონომურა და მისი ხელბურთის მაისური გვქონდა გაიგივებული, ასევე კიკუჩიც ვერ წარმოგვედგინა მისი გრძელი თმების გარეშე. კიკუჩიც, თავის მხრივ, სულ არ აპირებდა ონომურას ჭკუაზე სიარულს და თმის შეჭრას. ის ხომ არავის უჯერებდა არც სკოლაში და არც სკოლის გარეთ..... ერთადერთი, ჩემი ხათრი ჰქონდა და ხელბურთის გამო თუ წავიდოდა რამე დათმობაზე. ეს

ონომურამ კარგად იცოდა და, ბოლოს და ბოლოს, გამოიყენა კიდეც „აკრძალული ილეთი“: ერთხელ, მნიშვნელოვანი თამაშის წინა დღეს, ვარჯიშის მერე დაუძახა კიკუჩის და მკაცრად მიმართა: „თუ თმას არ შეიჭრი, არ გათამაშებო“. აი, აქ კი გატყდა კიკუჩი, შეჯიბრზე თამაში ხომ უნდოდა და უნდოდა, მაგრამ, რაც მთავარია, გუნდს ხომ ვერ უღალატებდა! ჰოდა, მეორე დღეს სკოლაში გაკორტნილი კიკუჩის დანახვაზე იქვე ახლომახლო მყოფმა გოგოებმა, რომელთაც, ჩვეულებრივ, კიკუჩი შიშის ზარს სცემდა, სიცილი ვერ შეიკავეს.… შეჯიბრზე წასვლისას გაწითლებული კიკუჩი ავტობუსში განმარტოვდა და მთელი გზა თავჩაღუნული იჯდა. ეგ იყო და ეგ, იმის მერე კიკუჩის თმა მოკლედ აღარ შეუკრეჭია. ონომურაც მოეშვა და აღარ ეჩვენებოდა ეს საკითხი პრინციპულად; თუნდაც ერთხელ, მაგრამ რაც მთავარია _ ხომ მიაღწია თავისას. თან, ალბათ, მიხვდა, რომ ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად მოუვიდა...

შესვენებაზეც, როგორც მაშინ, ავტობუსში, სწორედ ისევე იჯდა ბენჩზე კიკუჩი, სასოწარკვეთილი და გამწარებული. მაგრამ მთელ გუნდს იგივე განწყობა გვქონდა. შესვენების დროც ნელ-ნელა იწურებოდა და დასაწყისამდე ერთი-ორი წუთი თუ რჩებოდა. უცებ კატო-ქოუჩმა ონომურას რაღაც გადაულაპარაკა, მერე დაგვიძახა და ყველანი მათ ირგვლივ შევიკრიბეთ. ვინაიდან დაღლილები ვიყავით, კატო-ქოუჩმა რამდენიმე ცვლილებაც განახორციელა: ჩუმას და პროფესორას ნაცვლად ორი პირველკლასელი დააყენა, იუიას ძმა ნაცუკი და კავამოტოს ძმა _ კენტა. ეს სარისკო, მაგრამ გამართლებული გადაწყვეტილება იყო. მერე კი თავისი „ისტორიული“ სიტყვა წარმოთქვა: - ერთი ცნობილ ჯგუფს კარგი სიმღერა აქვს, რომელშიც ამბობენ, რომ პირველობა აუცილებელი არაა: მთავარია, განსაკუთრებული და თვითმყოფადი იყო... და ამ

სიტყვებით წამოინთო და გააგრძელა: ეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ჯგუფია... მაგრამ იცოდეთ, მე ასეთ აზრს არ ვეთანხმები! თუ შეჯიბრია და პირველობაზე მიდის თამაში, უნდა ვიბრძოლოთ და ეს ბოლომდე უნდა გავაკეთოთ! და თუ წავაგებთ კიდეც, მაინც გამარჯვებულებმა უნდა დავტოვოთ მოედანი, ანუ ისეთი გრძნობით, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და დასანანი არაფერი დაგვრჩეს, წაგების გარდა...

ამ სიტყვებით მე გადმომხედა: - ერთხელ თემუკამ მითხრა, რომ ქართველები მისალმების დროსაც კი ერთმანეთს გამარჯვებას უსურვებენ. ძალიან კარგი, აბა, წინ მეორე ტაიმი გაქვთ და მოდით, ერთმანეთს გამარჯვება ვუსურვოთ. თემუკა, მიდი, აბა, როგორც იძახი ხოლმე?

- გაუმარჯოს!- ვუპასუხე აღელვებულმა, ყველანი, ონომურას და კატო-ქოუჩის ჩათვლით, წრეში დავდექით, გადავხვიეთ ერთმანეთს ხელები, ოდნავ ჩავიღუნეთ და მეც შევძახე:

- ტეშიროგის გაუმარ... - და ყველამ დააყოლა: ...- ჯოს, გაუმარ...ჯოს, გაუმარ...ჯოს!

ასე გამხნევებულები შევუდექით მეორე ტაიმს. მეორე ტაიმი პრესინგით დავიწყეთ, წინ და უკან გიჟებივით დავრბოდით, თუმცა კუკიზაკი კარგად იყო ამისთვისაც მზად და ტოლს არ გვიდებდა, პირველი წუთები ერთნაირი თამაში იყო და ანგარიშში სხვაობა არ მცირდებოდა. ვგრძნობდით, რომ ძალა გვეცლებოდა და რამე უნდა გვეღონა. ასე თუ გავაგრძელებდით, დიდხანს ვერ გავქაჩავდით... - მოდი, 4+2 ვცადოთ... - გადავუძახე ნაკაიგავას და კიკუჩის, იმათ თავი დამიქნიეს და სხვებსაც გადასცეს. წინ „ძმები", ანუ ნაცუკი და კენტა, დავაყენეთ. არ ვიცი, რით იყო ეს გამოწვეული, ასეთ შეჯიბრს პირველად თამაშობდნენ და რატომღაც საერთოდ არ ღელავდნენ. ასე

რომ, კუკიზაკის შეტევის დროს რკალში დავდექით და ყველანი ერთ მუშტად შევიკარით. წინ გაწეულმა ნაცუკიმ და კენტამ გაბედულად და ენერგიულად შეუტიეს მოწინაღმდეგეების გამთამაშებლებს. კუკიზაკელები ჩვენ წინააღმდეგ სათამაშოდ ძალიან კარგად იყვნენ მზად, მაგრამ, როგორც ეტყობა, ასეთ სიახლეს ჩვენგან არ ელოდნენ. მათი შეტევა აირია, გადაბმას ვეღარ ახერხებდნენ და, ის კი არა, ნაცუკიმ ბურთის ჩაჭრაც მოახერხა და კენტა სწრაფად გავიდა წინ, პასი მიიღო და ბურთიც გაიტანა...

ტეშიროგელების გულშემატკივრების ყიჟინამ კინაღამ დარბაზი დაანგრია. კარგად მომესმა სუგავარას ხმა და, რასაკვირველია, ნაგისას შეძახილი, მაგრამ ერთი მოულოდნელი ხმა ჩამესმა: ეს კავამოტოს ხმა იყო! გავხედე და – კავამოტო სუგავარას გვერდით იდგა და თავისი ბოხი ხმით გვამხნევებდა. ვიგრძენი, რომ ისევ ყველანი ერთად ვიყავით და ეს კარგის ნიშანი იყო! ამის მერე დაცვაში ძალიან გავაქტიურდით და კონტრშეტევებით კიდევ რამდენიმე ბურთი შევაგდეთ. კუკიზაკელები დაბნეულები ჩანდნენ. კუკიზაკელების თამაშით უკმაყოფილო შინკაი სენსეიმ წუთშესვენება აიღო, რის დროსაც კატო-ქოუჩმა გვითხრა, რომ შეტევა ბოლოში ფლანგებზე გადაგვეტანა, ვინაიდან მოწინააღმდეგეებს ცენტრი მაგრად ჰქონდათ ჩაკეტილი. წუთშესვენების მერე კუკიზაკიმ, ალბათ, შინკაი-სენსეის დარიგება მიიღო და ტემპის დაგდება დაიწყო, მაგრამ ჩვენ რაღა გაგვაჩერებდა! კენტა პროფესორამ შეცვალა და ჩვენც ფლანგებიდან შევუტიეთ, ანუ ბურთს ვათამაშებდით და დამაგვირგვინებელ დარტყმას ფლანგები აკეთებდნენ. კიკუჩის გაჩერება შეუძლებელი გახდა: ბუნებრივად მსუბუქი იყო და ნახტომების დროს პირდაპირ დაფრინავდა. ჯერ თამაში გავათანაბრეთ და მერე წინაც გავედით, ბოლომდე ძალიან

ყურადღებით ვთამაშობდით, რომ უპირატესობა არ გაგვეშვა ხელიდან. მეორე ტაიმში მე და ნაკაიგავამ მხოლოდ ორ-ორი ბურთი გავიტანეთ, ორი ნაცუკიმ და ერთიც - კენტამ. სამაგიეროდ, პროფესორამ სამი და გაგიჟებულმა კიკუჩიმ 5 ბურთი გაიტანეს. მეორე ტაიმში 14 ბურთი შევაგდეთ და სულ 5 მივიღეთ...

აი, მეორე ტაიმიც დამთავრდა და ტეშიროგიმ ის დაუვიწყარი თამაში 3 ბურთის სხვაობით მოიგო. გახარებულები ერთმანეთს ვულოცავდით. მოედანზე ონომურა, კატო ქოუჩი და მთელი ტეშიროგის გუნდი გამოვარდა თავისი გულშემატკივრებით. მერე, ცოტა რომ მოვედით გონს, მოთამაშეებმა, ტრადიციის მიხედვით, მოწინაღმდეგის ბენჩს მივაშურეთ, შინკაი-სენსეის წინ ჩავმწკრივდით და მას და იქ მყოფთ თავი დავუკარით. შინკაი-სენსეიმ სერიოზული სახით დაგვიკრა თავი, ეს უბრალო თავის დაკვრა არ იყო. მის ამ მოძრაობაში იგულისხმებოდა მეტოქის აღიარება და ჩვენ მიმართ პატივისცემა. მან ხომ კარგად იცოდა, თუ ვინ ვიყავით სამი წლის წინ და დღევანდელი შედეგის უკან რამხელა შრომა და თავდადება იდგა!

მერე ისევ ჩვენებისკენ გავეშურეთ და გავაგრძელეთ ერთმანეთის მოლოცვა. მოულოდნელად იუია მოვარდა და გვითხრა რომ ონომურა გვეძახდა და ჩვენც უმალ მას მივაშურეთ. ონომურას გვერდზე იშიკავა-სენსეი იდგა, ეტყობა, გამარჯვება მიულოცა. იშიკავა-სენსეი იაპონიის ხელბურთის წრეებში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. ის იბარაკის მრავალგზის და ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონს, ქალაქ ინას სკოლის მაღალ კლასებს ავარჯიშებდა. მასზე და მის ვარჯიშებზე რა არ გვსმენია და მისა და ონომურას წინ, ცოტა არ იყოს, გაოგნებულები და შეშინებულები ავიშოტეთ. რომ დაგვინახა, იშიკავა-სენსეიმ ღიმილით მოგვმართა:

დღეს ჩინებული და ძალიან საინტერესო თამაში გამოგივიდათ, მომილოცავს, კარგად ითამაშეთ და ღირსეული გამარჯვებაც დაიმსახურეთ. მცირე პაუზის და ჩვენი „არიგატოუ გოზაიმასუს“[48] მერე გააგრძელა: მომავალში რას ფიქრობთ? ინას სკოლაში არ აპირებთ ჩაბარებას? იქ, ჩემთან გავარჯიშებთ... ერთად ზენკოკუზე გავიდეთ, იბარაკი ვასახელოთ! და ისევ ცოტაოდენი პაუზის მერე დაამატა: „მოდი, შემდეგ კვირას სკოლაში გვესტუმრეთ და ჩვენს ვარჯიშს დაესწარით, შევთანხმდით?“ - და ჩვენც დიდი სიხარულით, მაგრამ, რა თქმა უნდა, თავაზიანად თავი დავუკარით და კიდევ ერთი „არიგატოუ გოზაიმასუ“ დავაყოლეთ. „ჰოდა, ძალიან კარგი, აბა, გელოდებით!“ - გვითხრა იშიკავა-სენსეიმ და დაგვემშვიდობა.

ამის მერე მოკლე შეკრება გვქონდა ონომურასთან და კატო-ქოუჩთან, მათ ისევ მოგვილოცეს და გვითხრეს, რომ ხვალინდელი ფინალებისათვის დაგვეზოგა ძალა. ვინაიდან ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ, კვირას ჩიოდას გუნდს ვხვდებოდით; გამარჯვების შემთხვევაში, მეორე ადგილი განაღდებული გვქონდა და კანტოზე ვიყავით გასულები. ჩვენი წარმატების ამბავი უცებ გავარდა ცუკუბაში და უკან რომ დავბრუნდით, სკოლაში ბევრი ხალხი დაგვხვდა. სკოლელები, ძველი ხელბურთელები და სხვა ხელბურთელების მშობლებიც კი. ცუკუბას ამ პატარა რაიონში ერთი ოჯახივით ვიყავით ყველანი და სიხარულს ერთად ვიზიარებდით.

ამ გამარჯვებას დიდი ხანია ველოდით და უზომოდ ბედნიერები ვიყავით. თუმცა მალე დავიშალეთ, ვინაიდან დილას ადრე ისევ მორიაში უნდა დავბრუნებულიყავით სათამაშოდ. სახლში ძალიან დაღლილი მივედი, მაგრამ მალე მაინც ვერ დავიძინე, თავში სულ თამაში მიტრიალებდა.

---

[48] ***არიგატოუ გოზაიმასუ*** - მადლობა, თავაზიანი ფორმა.

* * *

დილით ადრე ჩემებმა სკოლაში მიმიყვანეს და თამაშზე გამაცილეს. გუნდი თამაშის დაწყებიდან რამდენიმე საათით ადრე უნდა მისულიყო და ჩემი და სხვა მშობლები თამაშზე მოგვიანებით წამოვიდნენ. ვინ არ იყო ჩვენი თამაშის საყურებლად მოსული: ძველი მოთამაშეები, მშობლები, რამდენიმე მასწავლებელიც... სენგოკუ-ქოუჩიც კი ჩამოვიდა საიტამას პრეფექტურიდან და, რა თქმა უნდა, მაცუშიროს პატარა ხელბურთელებიც იქ იყვნენ. ჩემებიც მოვიდნენ ნიკუშასთან ერთად, მამაჩემი სენგოკუ-ქოუჩის გვერდზე დაჯდა, დროდადრო რაღაცებს ეკითხებოდა. რა თქმა უნდა, სენგოკუ-ქოუჩიც ხალისიანად პასუხობდა მის შეკითხვებს. ჩემები რომ დავინახე, უემოციოდ ხელი დავუქნიე და მოედანზე გავედი მოთელვაზე. ბიჭებმა, ტრადიციულად, კარში დარტყმების „კარუსელით" დავიწყეთ მოთელვა. ჩვენი მოწინააღმდეგე ჩიოდას გუნდი მეორე კარებთან განლაგდა და დაახლოებით ჩვენნაირ მოთელვას აკეთებდა. ჩვენი ძველი ნაცნობი ჩიოდას გუნდს იმ წელს არა უშავდა მაგრამ მათთან მოგება მაინცდამაინც არ უნდა გაგვჭირვებოდა, ვინაიდან ბოლო დროს ძირითადად ვუგებდით ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ გაგვიხარდა, როცა ფინალების პირველ თამაშში მათ და არა „კეაკიდაის“ ვხვდებოდით.

„ჩიოდასაც“ ბევრი გულშემატკივარი ჩამოჰყვა და მათ ჩვენ გვერდზე სექტორი დაიკავეს. როდესაც ადგილები დაიკავეს, მათ თავაზიანად, მაგრამ ოდნავ შესამჩნევად არამეგობრულად მოგვმართეს - იქნებ ცოტა იქით ჩაიწიოთ, გვეფარებით და მოედნის ნაწილს ვერ ვხედავთო. ჩვენებს ამის არავითარი სურვილი არ ჰქონდათ და რომც ჰქონოდათ, ვერ შეძლებდნენ, ვინაიდან თამაშის

დაწყებამდე სულ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. ამიტომ ჩუმას დედამ, ასევე თავაზიანად, მშრალი უარით გაისტუმრა. მოკლედ, თამაშის წინ ნელ-ნელა ვითარება მოედანზეც და ტრიბუნებზეც იძაბებოდა და უკვე ყველა მსაჯის სიგნალს ელოდა. აი, მსაჯმაც მოთამაშეები ჩაამწკრივა და ნანატრი სასტვენის ხმაც გაისმა... თამაში ჩიოდამ დაიწყო. დარბაზში დაძაბულობას გულშემატკივრების ორგანიზებული ხმაური კიდევ უფრო ზრდიდა. ჩემს ორივე მშობელს გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ყვირილი ერთი წამითაც არ ჩერდებოდა. ჩიოდელებმა პირველი შეტევა, ეტყობა, დამუშავებული კომბინაციით კარგად ჩაატარეს და მარცხენა ფლანგიდან გაიყვანეს 9 ნომერი დასარტყმელ პოზიციაზე. ამ დროს იუიამ იყოჩაღა და კარგი ბურთი მოიგერია. ჩვენ საპასუხო შეტევა მაინცდამაინც ვერ გამოგვივიდა, თამაშის დასაწყისში ყველანი ვღელავდით და შებოჭილები ვიყავით. ნაკაიგავამ შორიდან დაარტყა და კარს ააცილა. პირველი ორი წუთი ისე გავიდა, რომ ანგარიში არ გახსნილა. ჩვენი დარტყმები ძირითადად უშედეგო იყო. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ და აი, მორიგ შეტევაზე, გათამაშებისას, ბურთი შორიდან ვისროლე და გავიტანე მეკარისაგან დაბალ მარცხენა კუთხეში. ძალიან გამიხარდა, ჩვენი ტრიბუნები კინაღამ დაინგრა. ცოტა შევხურდით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გავიხსენით, ვღელავდით. აი, იმათი შეტევის დროს პროფესორამ დაცვაში „გააჩერა“ 7 ნომერი და პენალი და გაძევებაც აიკიდა. „აუ ეს მსაჯი რას აკეთებს!“ - წამოიძახა სენგოკუ-ქოუჩმა, „თამაში არ ესმის, რა!“.

მალე თამაში გათანაბრდა და ცოტა ხნის მერე ახლა მეც მომცეს ჯარიმა და გამაძევეს ორი წუთით. ეს უპირატესობა კარგად გამოიყენეს ჩვენმა მოწინაღმდეგეებმა და კიდევ სამი ბურთი გაგვიტანეს. ჩვენებმა, ნაკლებობაში ყოფნისას, ერთი ბურთის გატანა

მაინც შეძლეს. მერე, როცა ჩვენ შევემატეთ, თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მარცხენა ფლანგზე ვერ გვქონდა კარგად საქმე, იმათ დამუშავებული კომბინაციით კარგად გაჰყავდათ 9 ნომერი მეკარესთან პირისპირ და იმანაც რამდენიმე დარტყმის მერე იუიას სუსტი ადგილი გაუგო და უტანდა გოლებს.

- ჩიოდა შორიდან, ფაქტობრივად, არ ურტყამს და რატომ დგანან ჩვენები ასე შორს კარიდან? უკან რომ დაიწიონ, ისინი ასე ადვილად ვერ გაარღვევენ ჩვენს დაცვას, - ეუბნებოდა სენგოკუ-ქოუჩი მამაჩემს. ჩვენ უფრო ხშირად ვფლობდით ბურთს, ნელ-ნელა დავიწყეთ გატანა, ნაკაიგავამ, ჩუმამ და პროფესორამ თითო გოლი შეაგდეს, მაგრამ ძალიან ბევრს ვაფუჭებდით კიდეც. კიკუჩიმ და ჩუმამ რამდენჯერმე ააცილეს ბურთი. დაცვაში ძალიან მომატებული ჰქონდათ თამაში, როგორც კი ვინმე კარგ პოზიციაზე გადიოდა, ეგრევე ორი ან სამი კაცი აჩერებდა. პირველი ტაიმი იწურებოდა და ჩვენ 4 ბურთით ვაგებდით. ბოლოსკენ კიკუჩიმ ლამაზი ბურთი გაიტანა და პირველი ტაიმი 3 ბურთის სხვაობით დამთავრდა. შესვენების დროს ონომურა მაინდამაინც არ აქტიურობდა დარიგებებით, კატო-ქოუჩმა რამდენიმე კარგი რჩევა მოგვცა. ახლა რომ ვუფიქრდები, ონომურა, თავდადების მიუხედავად, არ იყო ხელბურთელი და ამაზე მეტს ვერ მოვთხოვდით. ჰოდა, შესვენების დროს ნაკაიგავას ვუთხარი, მეორე ტაიმში ჩვენს თავზე თუ არ ავიღეთ თამაში, საქმე ცუდად გვექნება, რაზეც ნაკაიგავა და ბიჭები დამეთანხმნენ.

მეორე ტაიმი ჩვენ დავიწყეთ და პირველივე შეტევაზე კენტამ გოლი გაიტანა. ძალიან კარგი, ბურთების სხვაობა ორ ქულამდე დავიდა და 14-12 გახდა. გავგულისდით, მაგრამ ისევ გაგვეპარა, ახლა უკვე ცენტრიდან, 7 ნომერი და ისევ გაძევება და პენალი ავიკიდეთ.

იუია საერთოდ მაგრად იღებდა პენლებს, მაგრამ ამათ შანსი არ დაუტოვეს, რამდენიც დაარტყეს, იმდენი გაუტანეს, ალბათ კარგად იმუშავეს პენლებზე. ორ წუთში პენლიანად 3 გოლი გაგვიტანეს, რითაც ჩვენ ნაკაიგავას ერთი გოლით ვუპასუხეთ და ანგარიში 17-13 გახდა. დრო უკვე ჩიოდაზე მუშაობდა და მათი მწვრთნელიც უკვე დაცვაზე მიუთითებდა თავის გუნდს, ფეხზე იდგა და ისე აძლევდა დირექტივებს, დაცვისას ხელები ზემოთ ასწიეთო. რთულია ამ თამაშის მოგება: დრო ცოტა რჩება - გადაულაპარაკა სენგოკუ ქოუჩმა მამაჩემს და დაამატა: - ამ მსაჯმა გააფუჭა მთელი თამაში, ამდენი გაძევება და პენლები არ გამიგიაო...

მართლაც, უკვე მეორე ტაიმის მეთორმეტე წუთი იყო. დარბაზი განუწყვეტლივ გუგუნებდა. ჩიოდა უკვე 18-13-ს იგებდა, ამ დროს დედაჩემმა თურმე ნერვიულობას ვეღარ გაუძლო და დარბაზიდან გავიდა. მეორე ტაიმის შუაში თამაში დაწყნარდასავით, გუნდებმა გოლები გავცვალეთ. ანგარიში თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 21-16 იყო. ბურთს ისინი ფლობდნენ შეტევაში და 3 ნომერი გარბენზე დააჯარიმეს. ჩვენ სწრაფად გავითამაშეთ ჯარიმა და პროფესორამ ბურთი გაიტანა. ამის მერე ჩიოდას შეტევა იუიამ კარგად მოიგერია და წინ მყოფ ნაკაიგავას მისცა პასი... იმან კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ანგარიში 21-ით 18 გახდა. ჩვენების ტრიბუნები გამოცოცხლდა და ამ დროს ჩიოდამ კიდევ ერთი, 22-ე გოლი გაგვიტანა ახლა მარჯვენა ფლანგიდან. მაგრამ თამაში ჩვენი იყო და მე მორიგი გათამაშების დროს ჩემი საყვარელი პოზიციიდან მეკარისაგან მარცხენა ცხრიანში გავიტანე, 22-19! თამაშის ბოლომდე წუთ-ნახევარი რჩებოდა, დრო თითქმის აღარ იყო, ჩვენს ტრიბუნებზე ყველა ფეხზე იდგა და გვამხნევებდა. ჩიოდას დაბნეულობა ეტყობა, პასებს ისე იძლეოდნენ, თითქოს ერთი სული

ჰქონდათ, რომ ბურთი მოეშორებინათ და თამაში დამთავრებულიყო. იმათი ოენის ხმაც აღარ ისმოდა და ჩვენებმა, სუგავარას თაოსნობით, დიდი ხანია, რაც გადაფარეს ისინი. 5-მა ნომერმა ბურთი გაუბედავად დაარტყა კარში, რაც იუიამ ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოიგერია. ჩვენი სწრაფი შეტევა ისევ კენტამ დაასრულა. ამასობაში ჩვენ კიდევ ერთი შეტევის საშუალება მოგვეცა, ჩუმამ გვერდიდან კარგ პოზიციაში ბურთი ვერ გაუტანა მეკარეს, უფრო სწორად, ცუდად დაარტყა ახლო კუთხეში და მეკარეს უფრო მოხვდა ბურთი, ვიდრე მოიგერია. ჩუმა უკან თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. ჩიოდამ კიდევ ერთი შეტევა გააფუჭა, 7 ნომრის დარტყმა კარს დიდი მანძილით ასცდა, არადა ოქროს შანსი იყო, ამ დროს გაფუჭება აღარ შეიძლებოდა. მათი გუნდი აშკარად უკვე გატეხილი იყო და ახლა მათ მარტო დროის უქონლობა თუ გადაარჩენდათ ტეშიროგის გრიგალისაგან. ამასობაში პროფესორამ მაგარი გოლი გაიტანა, აუღელვებლად დაარტყა კარში არც თუ ისე ძლიერად და ბურთი სუსტად, მაგრამ ზუსტად მეკარის მიერ დაუცველ დაბალ კუთხეში შევიდა. „შენი ჭირიმე, პროფესორა, ისე გამახარე, რომ აწი სულ ნამდვილ სახელს დაგიძახებ და. თუ გინდა. „სან"-საც მივაყოლებ-მეთქი“, გავიფიქრე.

22-21!!!

თამაშის დამთავრებამდე 25 წამიღა რჩებოდა. არ ვიცი, დაბნეულობით, ძალით აკეთებდნენ, მაგრამ ცენტრთან მისვლას და ბურთის თამაშში შეტანას არ ჩქარობდნენ. დრო მათზე მუშაობდა. მსაჯმა შენიშვნაც კი მისცა, მალე დაიწყეთ თამაშიო და, აი, დაიწყეს კიდეც შეტევა... უფრო ბურთს ათამაშებდნენ, ალბათ დარტყმას ბოლო წამზე აპირებდნენ, რომ ჩვენთვის არავითარი შანსი აღარ დაეტოვებინათ. თამაშის დამთავრებამდე 12, 11, 10 წამიღა რჩებოდა,

ჩიოდას გულშემატკივრები გაგულისდნენ და ქაუნთდაუნი წამოიწყეს. მაგრამ ჩვენები ისეთ აურზაურში იყვნენ, რომ მათი ქაუნთდაუნი ჩაძირული იყო, ანუ არ ისმოდა. ამ დროს მორიგი პასი, ფაქტობრივად, ხელიდან ავაცალე ჩემს მოწინააღმდეგეს და ბურთი მყარად დავიჭირე, ახლაც არ ვიცი, თუ რა ძალით და როგორ შევძელი ეს და მოედანს გავხედე... ეს ყველაფერი წამის მეათედებში მოხდა: წინ ნაკაიგავა მირბოდა და პასიც დაუყონებლივ მას მივეცი. კარგი პასი გამომივიდა, რამაც ნაკაიგავა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მთელი მოედანი გაირინდა, სანამ კარში დაარტყამდა... თითქოს ერთი წამი საუკუნედ გადაიქცა. ნაკაიგავა ერთი-ერთზე გასვლის ოსტატი იყო და ახლაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გაიტანდა. დაარტყა და.... რაღაც სასწაულად მეკარეს მოარტყა ბურთი.. 100%-იანი გოლი გაიმაზა. დარბაზის ერთმა მხარემ მწარედ ამოიგმინა, აი მეორე მხრიდან კი სიხარულის ყიჟინამ გადაგვფარა. რომ არსებობდეს ქალაქ ჩიოდას საპატიო მოქალაქის წოდება, ალბათ იმ მეკარეს მიანიჭებდნენ. ისეთი შეხურებულები ვიყავით, რომ ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებდით და ბოლომდე ვიბრძოდით. მაგრამ დრომ გვიღალატა... მსაჯმა თამაშის დამთავრება გვაუწყა. აი, მაშინ კი ჩაგვწყდა ყველაფერი, წყალში ჩაგვიცვივდა ის ჯაფა, რისთვისაც სამი წელი,ზამთარ-ზაფხულ, ასე თავდადებით ვვარჯიშობდით... ჩიოდა მოგებას ზეიმობდა, ჩვენ კი, ფაქტობრივად, მოგებული თამაში წავაგეთ. მოედანზე თითქმის მთელი გუნდი სასოწარკვეთილებისაგან ჩავიკეცეთ. ცრემლებს კი არა, ღრიალსაც კი ვერ ვიკავებდით. იმ წუთებში ჩემთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. თამაშის მერე ონომურასა და კატო-ქოუჩის ირგვლივ შევიკრიბეთ. ონომურამ შეგვაქო და გვითხრა, რომ ეს შედეგიც ჩვენთვის ძალიან დიდი წარმატება იყო და გულის გატეხა ამ წაგების

გამო არ ღირდა. მესამეკლასელებს გვირჩია, რომ მომავალზე გვეფიქრა და ბოლო წლის დარჩენილი დრო წარმატებით დაგვემთავრებინა. ონომურა კი გვაქებდა და გვანუგეშებდა, მაგრამ თვითონაც კარგა წახდენილი იყო, ეტყობოდა, რომ მასაც მოწოლილი ჰქონდა კაეშანი, მაგრამ როგორც ნამდვილი იაპონელი, ყველანაირად ცდილობდა, რომ დაემალა გრძნობები. ონომურას მერე კატო-ქოუჩმა მოგვმართა, მაგრამ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ამჯერად თამაშის გარჩევა არც უცდია, მანაც, ისევე, როგორც ონომურა-სენსეიმ, შეგვაქო და გვითხრა, რომ მისთვის ჩვენი მწვრთნელობა საამაყო იყო და თითოეული გუდის წევრით ამაყობდა.

იმ დღის მეორე ნახევარი ბუნდოვნად მახსოვს. სახლში მისვლისას ეგრევე ლოგინზე დავეგდე და დაძინება ვცადე. ძალიან დაღლილი ვიყავი და უცებ ჩამეძინა, თუმცა პერიოდულად მეღვიძებოდა და უსიამოვნო გრძნობა მივლიდა, მერე კი ისევ ძილქუში მერეოდა. ის რამდენიმე დღეც ძალიან უხალისოდ ვიყავი. ჩემების გადმოცემით, დაახლოებით 3 თვის განმავლობაში ძილში ვოხრავდი და იაპონურად ხელბურთზე ვბოდავდი. ეს მარცხი ჩემთვის პირველი სერიოზული ცხოვრებისეული გაკვეთილი გამოდგა. მიუხედავად მარცხისა და დარდისა, ამან უდავოდ დადებითი დაღი დაასვა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს. როგორც მოსალოდნელი იყო, დარჩენილი პერიოდი, ძირითადად, სწავლასა და მოახლოებულ გამოცდებს დავუთმე.

ბოლო სცენა

(ონომურას სკოლასთან გამოთხოვების ცერემონია)

გრანდოზე გაშეშებული ვიდექი, თითქოს არ მინდოდა, რომ ამ ცხადი სიზმრიდან რამე გამომრჩენოდა. ამ რამდენიმე წუთში მთელმა ბავშვობამ და ტეშიროგის წლებმა გაირბინა... ფიქრებში გართულმა გვერდზე ვიღაცის ლანდი ვიგრძენი; მივიხედე და ჩემ გვერდზე ნაგისა იყო. გამიღიმა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩემ გვერდით კარგა ხანია იდგა. თითქოს იცოდა, რა ფიქრებშიც ვიყავი და იქიდან ჩემი გამოყვანა არ უნდოდა. „თემუკა... იცი, რამდენჯერ მიფიქრია... მაშინ რომ მოგვეგო, „მაკდონალდსში“ ხომ წავიდოდით, არა? და ისევ თავისი ძველებური ღიმილით გამომხედა. ნუთუ… ვუყვარდი… თვალებში ჩავხედე, თბილად გავუღიმე და დასტურად თავი დავუქნიე. ერთი ვიცი, იმ მომენტში ნაგისას, როგორც რაღაც მშობლიური არსების, გულში ჩაკვრა მომინდა... ისე, გაუგებარი გრძნობით. იმ ერთ „მაკდონალდსში“ რამდენი რამ იგულისხმებოდა... მგონი, იმ მშვენიერ დღეს ჩემი ბედი სხვა გზას დაადგა. არც ცუდს და არც კარგს, უბრალოდ _ მიმართულება შეიცვალა. ამასობაში ნაგისამ გახედა სკოლას და მომმართა: „თემუკა, იწყება და შევიდეთო“. ჩვენ ყველანი ბოლო რიგებში დავსხედით, სადაც ძირითადად მშობლებისათვის განკუთვნილი ადგილები იყო. დარბაზში საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, ძირითადად, რა თქმა უნდა, მოსწავლეები, რომლებიც ავსებდნენ ადგილებს (ეს, ალბათ, მათი მთავარი ფუნქცია იყო) და, გასაგები მიზეზების გამო, მაინცდამაინც ონომურასთან ბევრი საერთო რამ არ აკავშირებდათ. მათ, უბრალოდ, იცოდნენ, რომ ვიღაცა ყოფილი მასწავლებელი თავს ანებებდა მასწავლებლობას და ესენიც

ესწრებოდნენ ამ ცერემონიას. ვინაიდან პროცედურა, ფაქტობრივად, ძალადატანებითი იყო, მოსწავლეების უმეტესობამ სკამზე დაჯდომისთანავე თავები ჩაქინდრა. ეს ფანდი მასწავლებლებისათვისაც კარგად იყო ცნობილი და ისინიც, რა თქმა უნდა, ამისათვის მზად იყვნენ: ერთი მორიგე მასწავლებელი გამოყვეს და ისიც დადიოდა რიგების გასწვრივ და დროდადრო მოსწავლეებს ჩუმად, მაგრამ საყვედურით აღვიძებდა. ჰოდა, ჩავლა-ჩამოვლის შორის შუალედი იყო ბავშვებისათვის ყველაზე მშვიდი დრო, როცა ერთი-ორი წუთით მაინც შეიძლებოდა მშვიდად ჩათვლემა. საერთოდ, იაპონელების უმრავლესობას ეს ჩვევა ბავშვობიდანვე გამომუშავებული აქვს. სადაც გინდა და რა მდგომარეობაშიც გინდა, ეგრევე შეუძლიათ დაძინება. რამდენჯერ არ ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მაგალითად, მატარებელში მჯდომი ადამიანისათვის (მით უმეტეს, ფეხზე მდგომისათვის) არც თუ ისე ადვილია ძილი; თან უნდა ტანი გქონდეს სწორად და თანაც გეძინოს?!

* * *

ამასობაში სკოლის კლუბში სიტუაცია ნელ-ნელა ხურდებოდა. სიტყვით გამოდიოდნენ მასწავლებლები, ასევე მოწვეული სტუმრები სხვა სკოლებიდან, ქალაქის მუნიციპალიტეტიდან და უკვე პენსიაზე მყოფი საპატიო პედაგოგები. ერთი სიტყვით, ყველაფერი პროცედურული ნორმების დაცვით მიმდინარეობდა. ონომურა წყნარი, მომღიმარი სახით იჯდა და თითოეულ სტუმარს, შესაბამისად, მადლობას უხდიდა. ამის შემყურეს, უცებ ონომურას ცოლი გამახსენდა, ძალიან კეთილი ქალი. წარმოვიდგინე, თუ როგორ გააცილა მისმა ცოლმა ამ დილას, უთქმელად, ბევრი ლაპარაკის გარეშე; ეს დღე, ალბათ, ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო

ცოლ-ქმრისათვის, წლების განმავლობაში მისი ცოლი მასთან ერთად განიცდიდა და გადიოდა ყოველივე ავ-კარგს.

უცებ გვერდზე მჯდარმა კიკუჩიმ ფრთხილად მხარი წამკრა და მანიშნა, რომ ონომურას გამოსვლის ჯერი დადგა. ონომურა წამოდგა, რატომღაც პიჯაკი გაიხადა და ისე გაემართა ტრიბუნისაკენ. დარბაზში აქეთ-იქიდან ოდნავ გასაგონი გაკვირვებული წამოძახილები გაისმა. კოჩო-სენსეიმ ღიმილით თავი გააქნია. აი, მე და აქეთ-იქით მჯდარი კიკუჩი დანაკაიგავა კი კინაღამ სკამიდან გადავცვივდით... ონომურას ხომ სენგოკუ-ქოუჩის ნაჩუქარი ხელბურთის მაისური ეცვა უკვე გახუნებული „სენსეის" წარწერით. ეს არაორდინალური გადაწყვეტილება სხვას რომ მიეღო, ცოტა არ იყოს, ხელოვნური გამოჩნდებოდა. მაგრამ ეს ონომურას არ ეხებოდა, ვინაიდან მან ხომ ეს გულით და, რაც მთავარია, ბუნებრივად გააკეთა. ყველასათვის ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს მაისური და მასზე წარწერა მისთვის ბევრ რამეს ნიშნავდა. მაისურის დანახვაზე ხელბურთელების უმრავლესობას გული აგვიჩუყდა, ნაგისას კი ცრემლებიც წამოსკდა.

აი, წარდგა სევდიანად მომღიმარე ონომურა აუდიტორიის წინაშე, ტეშიროგის ცისფერი მაისურით, ამაყად. როგორც ასეთ მდგომარეობას შეეფერება, განსაკუთრებით კი _ იაპონიაში, ონომურას კარგად მომზადებული სიტყვა ტრადიციულად და სტანდარტულად წარიმართა. ლაპარაკისას არ ჩქარობდა, ეტყობოდა, შინაგანად აღელვებული იყო, თუმცა მაქსიმალურად თავს იკავებდა. როცა მომზადებულ სიტყვას მორჩა, ეტყობოდა რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა... შინაგანად აფორიაქებულს უნდოდა, ეს ყველაფერი გადმოეფრქვია, ჩამოერთმია ყველასთვის ხელი, გულით მადლობა ეთქვა, ის კი არა, მზად იყო, ყველას

სათითაოდ გადახვეოდა, გადახვეოდა იმათ, მარტო იმის გამოც, ვისთანაც ყოველდღიურად რაღაც მაინც აკავშირებდა... ხომ ეხვევიან გოლის გატანის მერე ფეხბურთელები ერთმანეთს, მათ შორის იაპონელებიც? ისე, მართლა, რატომ აკეთებენ ამას იაპონელები? სხვებს ბაძავენ თუ ვერ თოკავენ ბუნებრივ ემოციებს? ეს თქვენთვის მომინდვია, ახლა კი ისევ ონომურას დავუბრუნდები...

ოფიციალური სიტყვის დამთავრებისთანავე, დარბაზში უხერხული წამიერი დუმილი ჩამოვარდა. დარბაზს სტანდარტულად მისი აპლოდისმენტებით გაცილება უნდოდა, მაგრამ ონომურას გამომეტყველების შემყურე დარბაზისათვის ეს ძნელი გადასაწყვეტი იყო, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გადაეწყვიტა, ჰოდა, ბოლოსდაბოლოს, ონომურამ ნელ-ნელა წამოიწყო მოუმზადებელი და ამჯერად არასტანდარტული სიტყვა:

- სკოლაში დიდხანს მომიწია მუშაობა, თუმცა, რა მალე გავიდა ეს დრო... ალბათ მასწავლებელთა უმრავლესობა კარგად გამიგებს, რომ ადამიანისთვის, რომელიც სამსახურში 12-14 საათს ატარებდა ყოველდღე, არ უნდა იყოს იოლი მისი დატოვება, პირადად მე ბავშვები არ მყავს, თუმცა ბედნიერი ადამიანი ვარ, ვინაიდან ყოველი მოსწავლე, ვინც ჩემთან იყო, საკუთარი შვილებივით მიყვარდა. ისევე, როგორც ყოველი მშობლისათვის, ჩემთვისაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, ბავშვი ბეჯითი იყო თუ ცელქი, ზარმაცი თუ მშრომელი, ნიჭიერი თუ ჩვეულებრივი, ზრდილობიანი თუ ონავარა, ყველას განურჩევლად ვექცეოდი, როგორც საკუთარ შვილს. ის კი არა, ხშირად, როგორც მრავალი მშობელი, მათ ნაკლოვანებებსაც ვერ ვამჩნევდი და თუ ვამჩნევდი კიდეც, ამაში საკუთარ თავს ვდებდი ბრალს. ბევრმა მოსწავლემ, მისდა დამოუკიდებლად... - აქ კიდევ

პატარა პაუზა გააკეთა, ეტყობა, გადაყლაპა მოწოლილი მღელვარება და გააგრძელა:

- დიდი სიხარული მაჩუქა, რისთვისაც მათ მადლობა მინდა გადავუხადო... მართალია, ძირითადად ჩემს ძალისხმევას მათემატიკის სწავლებას ვუთმობდი, ხელბურთის ბუკაცუს წლები ჩემი ბედნიერების წლებად მახსენდება, რაღა დასამალია, რომ იმ დროს მეც დიდი დახმარება გამიწიეს და დარწმუნებული ვარ, რომ იმ პირველი გუნდის თითოეული წევრი ამ და ნებისმიერი საზოგადოების სამაგალითო წევრები არიან. ამიტომ იყო ჩემთვის ყველაზე ძნელი და, ამავე დროს, საამაყო მარტის თვე, სკოლის დამთავრება, როცა ვხედავდი, თუ როგორ ადგებოდნენ ცხოვრების გზას ჩვენ თვალწინ გაზრდილი და ჩამოყალიბებული მოსწავლეები. ამიტომაც მგონია ჩემი თავი ასეთი ბედნიერი...

და, რა თქმა უნდა, ბოლოში ემოციურად დააყოლა: „მინასან ჰონტონი არიგატოუ გოზაიმაშიტა“ _ ანუ ყველას გულითადი მადლობა გადაუხადა და მადლობის ნიშნად დარბაზს თავი დაუხარა...

ამ მონოლოგის გამგონე თავჩაქინდრულმა აუდიტორიამ ნელ-ნელა გამოიღვიძა, თვალი გადავავლე დარბაზს და თითქოს ყველა ონომურას სიტყვაში მონაწილეობდა: მოსწავლეებიც, ყველაზე „მიძინებულებიც" კი ყურდაცქვეტილები უსმენდნენ გამომსვლელს. დარბაზი ნელ-ნელა შევიდა „ფორმაში“, და ონომურას სიტყვის დასრულებისას მდგომარეობა კულმინაციამდე მივიდა, სკოლა უკვე გოლგატანილ ფეხბურთის მოედანს ჰგავდა. ხალხი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა. ბევრი მოსწავლე თუ მასწავლებელი სტიქიურად შემოეხვია ონომურას; ზოგი ხელს ართმევდა და ზოგიც რაღაცას აღგზნებულად ეუბნებოდა. ონომურას ხელის ჩამოსართმევად

რიგიც კი დადგა. კოჩო სენსეი რიგის აქტიურ ორგანიზატორად მოგვევლინა. ჩვენც დავდექით რიგში და ნელ-ნელა წინ მივიწევდით, ჩვენ შორის ყველაზე წინ, რასაკვირველია, სუგავარა შეეკვეხა, მერე ნობორი, ჩუმა, კიკუჩი, ნაგისა და სხვები, მე და ნაკაიგავა ბოლოში მოვხვდით. მიახლოებისას ონომურას ბედნიერი სახე უფრო და უფრო იძენდა კონტურებს, ყოჩაღად იყო... და აი, მგონი დაგვინახა... არა, ნამდვილად დაინახა მისი საყვარელი გუნდის წევრები... სახე ერთიორად შეეცვალა, არ იცოდა, დარბაზში რომ ვიყავით, ალბათ არ გველოდებოდა, თან სხვას ელაპარაკებოდა და თან დაძაბულად აპარებდა ჩვენკენ თვალს... რომ მივუახლოვდით, რაღაც ჩაიბუტბუტა, „თქვენც აქა ხართო?..“ აი, ხელის ჩამორთმევის ჯერიც დადგა, ონომურამ ჯერ სუგავარას ჩამოართვა ხელი, მერე ნობორის უთხრა რაღაც, ეტყობოდა, რომ თითოეულთან შეხვედრა წვეთ-წვეთად ავსებდა მისი იაპონური მოთმინების ფიალას და ბოლოს, მე რომ გამისწორდა, თავი ვეღარ შეიკავა და თემუ-თემუ-ს ძახილით თვალცრემლიანი გადამეხვია... მერე ოდნავ შეიჭმუხნა და შემოგვძახა: „ტეშიროგი...“ მივხვდი და დავაყოლე „გაუმარ...“ და მომესმა ჩვენების „..ჯოს!“ ჰოდა, კიდევ დავაყოლე „გაუმარ-ჯოს“. და ყველანი უნებურად რკალში მოვექეცით, ხელები შემოვხვიეთ ერთმანეთს და ბოლოჯერ შევძახეთ:

- ტეშიროგის გაუმარ...ჯოოოს!

დაუვიწყარი დღე გამოდგა ყველა იქ მყოფისათვის, მართლაც რომ არაჩვეულებრივი გაცილების დღე ჩვეულებრივ იაპონურ „ჩუგაკკოში".

მაგრები არიან იაპონელები, საქმისათვის, დიდ თავდადებასთან ერთად, დიდი გრძნობების და სიყვარულის მატარებლები არიან.

ეპილოგი ავტორისგან

აი, დასრულდა ეს ისტორიაც, ძირითადად ნამდვილი ამბავი... ნამდვილი ამბავი თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი ეპიზოდი, ალბათ, მკითხველს თავის მასწავლებელს, მეგობარს, ბუკაცუს თუ სკოლის წლებს გაახსენებს. როგორც დრომ აჩვენა, ამ წამოწყებამ ფუჭად არ ჩაიარა: სკოლაში ხელბურთი აღმავლობის გზაზე დადგა, ტეშიროგის გუნდი საკმაოდ გაძლიერდა და თან გამოცდილებაც მიიღო. შესაბამისად, მომდევნო წლებში ტეშიროგიმ მრავალ წარმატებებს მიაღწია: მათ შორის გუნდი ორჯერ(!) გავიდა „ზენკოკუს" ფინალში რაც მთავარია, ამით მთელი პატარა ცუკუბა ასახელა.

თემუკამ გააგრძელა ხელბურთი, თამაშობდა სტუდენტობის დროსაც, ის კი არა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც კი ითამაშა.

თემუკას უმცროსმა ძმამ, ნიკოლოზმაც იგივე გზა აირჩია. ისიც, კინკილა ქართველი, ტეშიროგის კედლებში გაიზარდა, თამაშობდა ხელბურთს, უყვარდა თავისი სკოლა, ამხანაგები და მასაც ისეთივე თავდადებული მასწავლებელი ჰყავდა, რომელსაც დიდ პატივს სცემდა. მისი ოცნებაა, რომ თავისივე ძმასავით ითამაშოს საქართველოს ნაკრებში. ღმერთო აგვისრულე ოცნებები!

ნოემბერი, 2011 წელი

2016 წელი

წიგნის გამოცემა იაპონიაში
2019 წელი